მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები

III

ომის დღეები

გივი ღამბაშიძის მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ

თბილისი

2017

საქართველოს ეროვნული არქივი

წიგნს წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო
დიმიტრი სილაქაძემ

ტექსტი გადმოწერა და გამოსაცემად მოამზადა
თეონა გელაშვილმა

დიზაინერი: მარიამ შარაშენიძე
რედაქტორ-კორექტორი: მარიამ ჭანიკაშვილი

წიგნში გამოყენებული ძირითადი მასალა დაცულია
საქართველოს ეროვნულ არქივში
ფოტოების გარკვეული ნაწილი მოგვაწოდეს:
ნათელა ნიკოლაძე-ვილკურმა, ნინო ღამბაშიძემ და
ანა ჭეიშვილმა

გივი ღამბაშიძის დღიური ნინო ძანძავას მეშვეობით ეროვნულ
არქივს გადმოსცა ნინო ჭაყელმა

განსაკუთრებული მადლობა [რეზო ნიკოლაძეს] და ნათელა
ნიკოლაძე-ვილკურს

საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia

www.justice.gov.ge

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

www.archives.gov.ge

საქართველოს ეროვნული არქივი

წინასიტყვაობა

გიმნაზიის მოსწავლის, 18 წლის მოხალისე ჯარისკაცის, გივი ღამბაშიძის მოგონებები 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ქართველ საზოგადოებას მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის ომის მიმდინარეობასა და არმიასა თუ მოსახლეობაში არსებული განწყობის შესახებ.

მასში წარმოდგენილია სანგრებიდან დანახული ომი თავისი საშინელებებით: დახოცილი ადამიანებით, ტყვიების ზუზუნით, შეტევის, უკანდახევისა თუ დახვრეტის ეპიზოდებით; ასევე, იუმორით, ახალგაზრდული შემართებითა და იმედგაცრუებით სავსე.

გივი ღამბაშიძემ მოგონებების წერა 1921 წლის ივნისში კონსტანტინოპოლში ყოფნისას, დაიწყო. მოგონება დღიურის სტილშია დაწერილი და 1921 წლის 17 თებერვლიდან 7 მარტამდე პერიოდს მოიცავს. მასში ჩართულია უშუალოდ ომის პერიოდში - 24 თებერვალს - სანგარში გაკეთებული ჩანაწერი, ბოლოში კი დამატებული აქვს მცირე მოგონება მისი 1925 წელს საქართველოდან გაქცევის შესახებ.

გივი ღამბაშიძე დაიბადა 1902 წელს ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ღამბაშიძისა და ამერიკელი ვანდა ჰოპეს ოჯახში. ვანდა ჰოპე თბილისის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორი და წითელი ჯვრის აქტიური წევრი იყო[1]. გივი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. ის და მისი კლასელები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ნოე ჟორდანიას 1921 წლის 16 თებერვლის ცნობილ მოწოდებას: „შეაჩერეთ ჩვეულებრივი და საზოგადოებრივი მუშაობა და მოჰკიდეთ ხელი მარტოდ მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველდღე გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენ ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი.

[1] ნინო ღამბაშიძე, ვახტანგ ღამბაშიძე – ცხოვრება და მოღვაწეობა. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, N1 (7), თბ., 2010, გვ.220.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

14

ალბომი

გივი ღამბაშიძე ფორტეპიანოზე დაკვრისას
[1910-იანი წლები]

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ქართველო, ხელი ხმალს იკარ, მტერთა ისმიან ხმანია! საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება!“[2] 17 თებერვალს გიმნაზიის უფროსკლასელები და მასწავლებლები შეიკრიბნენ ჯარში ჩასაწერად ჯერ სკოლაში, ხოლო შემდეგ – მთავრობის სასახლესთან, სადაც მათ გვარდიის მეთაურმა – ვალიკო ჯუღელმა - სიტყვით მიმართა და მერე ისინი სხვადასხვა ათასეულში გადაანაწილეს. გივი მოხვდა თბილისში მდგარ მეშვიდე ათასეულში. 1921 წლის 19 თებერვლის დილას იგი გაიყვანეს ბრძოლის ველზე თბილისის თავდაცვის ცენტრალურ სექტორში, სადაც რამდენიმე საათით ადრე ქართველებმა რუსული არმიის ერთი მსროლელი ბრიგადა გაანადგურეს და ათასზე მეტი დატყვევებული რუსი ჯარისკაცი თბილისში შეიყვანეს.

საინტერესოა ფრონტზე მისული მოხალისე ჯარისკაცის დაკვირვებები მოწინააღმდეგეზე, ქართულ არმიაში არსებულ განწყობაზე: უფროსი თაობის რუსულ ჯარში ნამსახურები ჯარისკაცები მონუსხულები არიან რუსული იარაღის შიშით, ახალგაზრდებს კი, პირიქით, საკუთარი გამარჯვების სწამდათ.

გივი ღამბაშიძის მოგონებები, შეიძლება ითქვას, იშვიათი და საუკეთესო გამონაკლისია იმ თვალსაზრისით, რომ მასში აღწერილია სანგრებში არსებული ვითარება. დიდი ემოციითაა გადმოცემული, როგორ იყინებოდნენ თხელპალტოიანი ჯარისკაცები სანგრებში, რა გემრიელი იყო საჭმელი გაყინულ თხრილებში, რა მდგომარეობაში იყვნენ ოსიაურთან თოვლიან სანგრებში მწოლიარე ფეხშიშველა მეომრები. განსაკუთრებით ემოციურია წიფის სადგურის უკან 25 დეზერტირი ჯარისკაცის დახვრეტის სცენა: ისინი განაჩენის გამოცხადების შემდეგ ბავშვებივით აბღავლდნენ, ერთი მათგანი გაიქცა, სხვები გაეკიდნენ, მაგრამ იქვე ჩახოცეს ყველა. ასე შეხვდნენ ისინი სიკვდილს.

საინტერესოა რუს ჯარისკაცთა სახეები: ახალგაზრდა, ზოგჯერ უწვერული ბიჭები, რომელთაც ხელში იარაღი მისცეს და გამორეკეს უცხო მხარეში. ერთ მკვდარ 17-18 წლის რუს ჯარისკაცს ჯიბიდან ამოუღეს წერილი, რომელშიც დედას სწერდა, რომ მოკვდებოდა სომხეთში, სანაინთან. მას გადარჩენის იმედი არ ჰქონდა და ეგონა, პირველივე ბრძოლაში დაიღუპებოდა, პირველ ბრძოლას კი გადაურჩა, მაგრამ თბილისთან დასცა ქართულმა ტყვიამ.

დღიური საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს უშუალოდ საბრძოლო

[2] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფ. 1872, აღ.1, ს.22, ფ.22.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოქმედებების, საარტილერიო დუელების, შენაერთების განლაგების, ბრძოლის ტაქტიკის შესახებ, ამასთანავე კიდევ ერთხელ ადასტურებს ინფორმაციას საბრძოლო მასალების ნაკლებობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია 21 თებერვლის ვაზიანის ბრძოლის, 24 თებერვლის რუსული შტურმის, თბილისიდან უკანდახევისა და 4-6 მარტის ოსიაურის ბრძოლების აღწერა.

ვაზიანის ბრძოლის დროს ღამბაშიძე სოღანლუღის ფრონტის შემაღლებიდან ხელისგულივით დასცქეროდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გენერალ ჯიჯიხიას სექტორში მიმდინარე ბრძოლას, ქართული ჯავშანმატარებლებისა და ქვეითი ჯარის მოქმედებას. ამ ბრძოლის ასე დაწვრილებით აღწერა აქამდე არ გვქონია. თბილისიდან უკანდახევის ამბები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ყველა მსგავს ისტორიას, რომლებიც აქამდე ვიცოდით – გულგატეხილობა, დაბნეულობა, დეზერტირობა, შიდა ქართლის სოფლების მოსახლეობის არცთუ მაღალი სამოქალაქო შეგნება.

4-6 მარტის ოსიაურის ბრძოლაში ღამბაშიძე მეკავშირედ მსახურობდა გენერალ სუმბათაშვილის შტაბში; ასევე ეზიდებოდა საბრძოლო მასალებს სანგრებში გახურებული შეტაკების დროს. ოსიაურის ბრძოლაზე აქამდეც არსებობდა საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროები, რომლებშიც მოცემული იყო მხარეთა საბრძოლო გეგმები, ჯარების შემადგენლობა, საბრძოლო მოქმედებების მსვლელობა, სარდლობის მოგონებები, მაგრამ უშუალოდ ბრძოლის ველზე არსებული განწყობა, დაჭრილი ჯარისკაცები, მებრძოლთა სიკვდილის სცენები, ყუმბარებით გადათხრილი ბრძოლის ველი, ყუმბარებისა და შრაპნელის წვიმა, შეციებული და დამშეული ჯარისკაცები, ყუმბარით გაგლეჯილი ცხენი და სხვა ასეთი დეტალური თუ ემოციური სურათები ბრძოლის ველიდან აქამდე არ გვქონია. ოსიაურის შემდეგ იყო დახვრეტები და უკანდახევა დასავლეთ საქართველოში.

გივიმ დაპყრობილ საქართველოში ყოფნა არ ისურვა, იგი დედასა და დებთან ერთად ბათუმიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, მამა – ვახტანგი – მათ 1921 წლის ნოემბერში შეუერთდა. ოჯახი მოგვიანებით საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად, გივიმ კი ვერ გაძლო უცხოეთში და 1922 წელს დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ექვსი თვით ციხეში ჩასვეს[3]. 1925 წელს იგი მეგობართან, ეროვნულ-დემოკრატიუ-

[3] ნინო ღამბაშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 220-221; ჟორჟეტა ღამბაშიძე, მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე 1921 წლიდან 1937 წლამდე, ჩვენი მწერლობა, თბილისი, 2009, N3 (81), გვ.32.

ლი პარტიის წევრ გიორგი (გოგი) ჭაჭიაშვილთან ერთად ევროპაში გაიქცა. პარიზში საკუთარ ოჯახში ჩასვლის შემდეგ გივი გრენობლში წავიდა მექანიკოსის კურსებზე სასწავლებლად. საფრანგეთში ჩასულ გივის ოჯახის წევრები ველარ ცნობდნენ, იმდენად გაენადგურებინა და დაეთრგუნა საბჭოთა რეჟიმს[4]. მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა, დაპყრობილ საქართველოში გატარებული ურთულესი დღეები კარგად ჩანს მისივე მოგონებების ბოლო ნაწილში, როდესაც იხსენებს საქართველოდან 1925 წელს გაქცევას და საშინელი შურისძიებით იმუქრება: „მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა, რომ წითელ რუს-სომეხ ძაღლებს გავპაროდი და საზღვარგარეთიდგან ჩამეფურთხა მათს ჩირქიან პირსახეში. ეს ავისრულე. დღეს თავისუფალი ვარ, ბუზს ვერავინ ამიფრენს თვალწინ, ხმამაღლა ვერავინ დამელაპარაკება და აი, სანამ დავიწყებდე ამის წერას, ვუგზავნი სამშობლოს ვერაგ მტერს, რაც კი რამ მყრალი, გლახა და საშინელი არსებობს დედამიწაზედ. ამას ვუერთებ 10000 დახვრეტილი ქართველი მამულიშვილის წყევლა-კრულვას. დახვრეტილები არ კვდებიან, დახვრეტილები შურს იძიებენ, დახვრეტილებთან მთელი საქართველოა. მაშ ძრწოდეთ ლაჩარო, გაუნათლებელო, ბრიყვო მტერო!“

გივიმ დიდხანს ვერ გაუძლო ემიგრაციაში ცხოვრებას, სამშობლოს მონატრებას, იმ სულიერ ტკივილებს, რომლებიც ომში დამარცხებამ დაუტოვა, შემდეგ კი საბჭოთა რეჟიმში ცხოვრებამ თუ ციხეში ჯდომამ და 1930 წლის 13 მაისს 28 წლის ასაკში პარიზში, ქუჩაში, რევოლვერით მოიკლა თავი[5]. მის მძიმე სულიერ მდგომარეობას დაერთო ცალმხრივი სიყვარული, რომელიც დამატებითი ფაქტორი აღმოჩნდა თვითმკვლელობის გადაწყვეტილების მისაღებად. გიორგი კვინიტაძის ქალიშვილმა - თამი კვინიტაძემ - გივის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ასეთი რამ ჩაწერა დღიურში: „გივი მომკვდარა ორშაბათიდან სამშაბათის ღამეს. მას სურდა თინას გაცილება, მაგრამ პრინცმა წულუკიძემ არ დაანება, მაშინ მან პირში რევოლვერი დაიხალა (ტყვია არ გამოსულა) და იმ წამსვე მოკვდა ქუჩაში. მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს პოლიციელებმა სისხლის გუბეში“[6].

[4] ჟორჟეტა ღამბაშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 33, 37.
[5] იქვე, გვ. 36-37.
[6] თამი კვინიტაძის ფრანგულ ენაზე დაწერილი დღიური, სპეციალურად ამ გამოცემისათვის თარგმნა ანა ჭეიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას. დღიური დაცულია ანა ჭეიშვილის პირად კოლექციაში.

საქართველოს ეროვნული არქივი

გივი ღამბაშიძე მეგობრებთან ერთად
[1920-იანი წლები]

გივის პანაშვიდი პარიზში, ბიზეს ქუჩაზე მდებარე ბერძნულ ეკლესიაში გადაუხადეს და 16 მაისს ბატინოლის სასაფლაოზე დაკრძალეს. მის დასაფლავებას თითქმის მთელი ქართული კოლონია დაესწრო. ყველანი ტიროდნენ, განსაკუთრებით მამაკაცები[7]. 1963 წელს გივი ღამბაშიძე ლევილის სასაფლაოზე გადაასვენეს.

მართალია, გივი ღამბაშიძემ ვერ იძია შური იმ ხალხზე, ვინც მას ცხოვრება გაუმწარა და სამშობლოდან გააძევა, მაგრამ დღეს მისი მოგონებების გამოცემა მნიშვნელოვანი წყარო გახდება რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის ისტორიის გამოსაკვლევად და, ამავდროულად, ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობი, ტრაგიკული ცხოვრების მქონე ახალგაზრდა კაცის ისტორიის გასაცოცხლებლად.

დიმიტრი სილაქაძე

[7] თამი კვინიტაძის დღიური (იხ. N6 სქოლიო).

ომის დღეები*

გივი ღამბაშიძე

(კონსტანტინოპოლი 1921 წ., დავიწყე 1 ივნისს)

17 თებერვალი

თორმეტ თებერვალს[8] რუსეთმა მუხანათურათ აამოძრავა თავისი მშიერი ბრბო ახალგაზრდა საქართველოს ჩანსათქმელათ. ის აღფრთოვანება და ალიაქოთი, რომლითაც საქართველო შეხვდა ამ ამბავს, ენით გამოუთქმელია.

ომის დასაწყისის პირველ ხანებში საქართველომ დაამტკიცა თავისი ეროვნული ინსტიქტი. 117 წლის მონობამ ვერ ჩაუღჩო ქართველს ეროვნული სული. თითქოს 117 წლის განმავლობაში დაგროვილი ინსტიქტი ერთ დღეს გადმოიშალა.

ენით აუწერელია ის აღტყინება, რომელიც გამოიჩინა ქართველმა ერმა ომის დასაწყისში: დიდი და პატარა, ქალი და კაცი – სულყველა ომში ჩაება. მეტადრე, როდესაც თბილისის ქუჩებში წავიკითხე ჟორდანიას უკანასკნელი მოწოდება: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და სხვა[9]. მაშინ კი გადავსწყვიტე დაუყო[ვ]ნებლივ ბრძოლის ველზე გასვლა. 17 თებერვალს, დილით, მთელი მოწაფეობა შევიკრიბეთ გიმნაზიაში. **[გვ.2]**** ყოველ მოწაფეს რაღაც არანორმალური სახე ჰქონდა. ის მომენტი, როდესაც მაგონდება, ეხლაც ვღელდები, სულყველა რაღაცას განიცდიდა.

ბოლოს მოვიდა ჩვენი გიმნაზიის დირექტორი ნიკოლოზ ჩიგოგიძე[10]. საზოგადოთ, უნდა ვსთქვა, რომ ამგვარ შემთხვევებში ჩვენი გიმნაზიის დირექტორი მეტად დინჯი და აუჩქარებელი კაცი იყო, მაგრამ დღეს მასაც არაჩვეულებრივი იერი გადაჰკროდა.

…. ———————————— ….

* ტექსტი ქვეყნდება უცვლელად, ავტორისეული სტილისა და ორთოგრაფიის დაცვით.

** გამოცემაში დამოწმებულია დედნის გვერდები.

[8] 11-12 თებერვლის ღამეს.

[9] ავტორი გულისხმობს ნოე ჟორდანიას 16 თებერვლის ცნობილ მოწოდებას, რომლითაც მან ერს თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდა, სცსა, ფონდი 1872, აღწ.1, ს.22, ფ.22, იხ. წინასიტყვაობა, გვ.3).

[10] ნიკოლოზ ჩიგოგიძე, თბილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი.

საქართველოს ეროვნული არქივი

მთელი მოწაფეობა შევიყარეთ ერთ საერთო დარბაზში. აქ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, დირექტორმა მკვეთრი ხმით მოგვმართა მოწაფეებს. აგვიხსნა მომენტის სიდიადე და მოგვიწოდა, ვისაც კი შეგვეძლო იარაღის ხმარება ბრძოლის ველზედ. დასასრულ, ასე დააბოლოვა – სიტყვა, რომელიც სააქაოში ყოფნამდის არ დამავიწყდება: „მაშ, ახალგაზრდებო, წავიდეთ ეხლავე ყველანი ჩვენს მთავრობასთან. ჩვენ, მასწავლებლებიც, თქვენთან ერთად წამოვალთ და განვუცხადოთ მას, რომ ჩვენ მზათა ვართ მამულისათვის თავი დავსდოთ“. ყველას მოთმინება დაგვეკარგა, ჩვენი ფიქრი უკვე იქ იყო, სადაც **[გვ.3]** უკვე მრავალი ქართველი სამშობლოს ეწირებოდა. იგრიალა დაუსრულებელმა ტაშმა. ყველანი დავიშალენით და უმფროსი მოწაფეები სამხედრო იერით გავემწკრივეთ სასახლესთან დასაშვებათ.


„საქართველო ხალხო ხელი ხმალს იკარ, მეფერთა ისმენ ხმანია“ საქართველო მოკვდება, მაგრამ მეფერს არ დანებდება!
მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ - 1921 წლის 16 თებერვალს ერს თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდა

აქვე უნდა ავღნიშნო ერთი გარემოება: პატარა მოწაფეები, 12-14 წლისანი, ერეოდნენ ჩვენს რიგებში, ვითომცდა ჯარში წასასვლელათ, მაგრამ, რასაკვირველია, უმფროსების დარიგებით ისინი ჩამოგვშორდნენ. აქ არ მოვყვები იმას, თუ რა შეხედულება ჰქონდა მაშინ ჩვენს პროცესიას, ამას მარტო იქ დამსწრე თუ წარმოიდგენს.

საშინელი ჩქარი ნაბიჯით, აღელვებით დავეშვით სასახლემდის. იქ უკვე შეკრებილიყვნენ სხვადასხვა მოხალისეთა ჯგუფები. მოწაფეობა გავჩერდით სასახლის მოედანზე; იმ მოედანზე, საიდგანაც პირველად 1918 წ. 26 მაისს მოვისმინეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს de facto-თ აღიარება და შემდეგში კი საქართველოს de iure-თ ცნობა. სწორედ ამ დროს ფრონტიდგან მოვიდა სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი და მასთან **[გვ.4]** ერთად ზოგიერთი დამფუძნებელი კრების წევრი. ყველანი მოველოდით უმფროსის განკარგულებას.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნოე ჟორდანია
საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე
1918 წლიდან

ვალიკო ჯუღელმა[11] თავისი ჩვეულებრივის გამოთქმით მოგვმართა: „აბა, მარჯვეთ, ახალგაზრდებო! იარაღში, ყველა იარაღში! მაგათ ჩვენ დავამარცხებთო“. ყველანი მხურვალე ტაშით შევეგებენით. მე პირადათ თითები გაფუჭებული მქონდა (წინა დღით სომხურ საბჭოთა მისიაზედ წარწერის გლეჯის დროს გავიჭერი), მაგრამ მაინც მხურვალე ტაშით შევეგებე ამ მომართვას. ჩვენ გარშემო მრავალი ხალხი მოგროვილიყო.
რამოდენიმე ხნის ლოდინის შემდეგ მოვიდა ვიღაც სამხედრო პირი და მთელი ახალგაზრდობა ხელმეორედ გადაგვარჩია. გაგვყო და გაგვფანტა სხვადასხვა ათასეულებში. 5-თი მოწაფე მასწავლებლითურთ მოვედით მე-7 ათასეულის

[11] ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი (1887-1924) - ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. სახალხო გვარდიის მეთაური 1918-1921 წლებში და დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921) სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. 1921 წლიდან ემიგრაციაში იყო საფრანგეთში; 1924 წელს დაბრუნდა საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ 6 აგვისტოს დააპატიმრეს და მალევე დახვრიტეს. ვალიკო ჯუღელი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცითა და დიდი ავტორიტეტით. მის შესახებ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე 1920 წელს საიდუმლო ანგარიშში წერდა: „სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი დიდი მონაცემების მქონე პიროვნებაა, ძალიან მიზანდასახული; აქვს დიდი პირადი სიმამაცე, გამბედაობა და გამხნევების უნარი ... სამხედრო საქმეს იცნობს პრაქტიკიდან საკუთარი სიმამაცის წყალობით, ბრწყინვალე ბელადია“ (სცსა, ფონდი 1874, აღწ.1, ს.2, ფ.185).

საქართველოს ეროვნული არქივი



დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს.

პატივი გვაქვს [illegible] გაცნობოთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, [illegible] სტუდენტური [illegible] ბატალიონი:

ა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-საასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ. უნივერსიტეტის სამეთაო-მამაკაცო- საბუნების მეტყველთა ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებათა-თვის.

რექტორი, პრო ფ. [illegible]

საბჭოს მდივანი [illegible] პრ ო ფ. [illegible]

[illegible]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის - ივანე ჯავახიშვილის - წერილი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს
1921 წლის 16 თებერვალი

საქართველოს ეროვნული არქივი

მე-5 გუნდში[12]. უმფროსმა ჩაგვაბარა ათასეულების ჯარისკაცებს და მთელი რიგები მოხალისეებისა დავიფანტენით ქალაქის სხვადასხვა ყაზარმებში, ვინაიდგან მე-7 ათასეული იდგა არსენალში, მე-7 ათასეულში გადაგზავნილნი ჩქარის და ნერვიულის [გვ.5] ნაბიჯით გავემართეთ არსენალისაკენ. სულ ფრენით ავიარეთ არსენალის აღმართი. იქ, როდესაც მივედით, უკვე მრავალი მოხალისე სტუდენტობა და მოსწავლეობა მოყრილიყო. ჯერ ყველანი უპატრონო ცხვრებივით აქეთ-იქით ვეცით. შემდეგ, როგორც იქმნა, ყველას მიგვიჩინეს ბინა. საღამომდის მოუნდნენ რეგისტრაციას, გუნდებათ და ასეულებად დაყოფას, სანამ ამოირჩევდნენ ათისთავებს, ზემდეგებს და ოცისთავებს. როგორც იქმნა, საღამოს დასრულდა ყოველივე ეს და კაპიტან ანდღულაძემ ყველანი პატიოსანი სიტყვის ქვეშ გაგვიშვა თავ-თავიანთ სახლებში. დილით დაგვიბარეს 6 საათისათვის.

18 თებერვალი

წინა დღეს დაღალული, თითქმის ღამე, ექვსის ნახევარზე, გამოვედი სახლიდგან. ჩვენებს კიდევაც გამოვეთხოვე, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული, თუ როდის წავიდოდით ბრძოლის ველზედ. გავუარე ჩემ ამხანაგ შალიკო მაყაშვილს[13] (ჯარში ერთად ვიყავით ჩაწერილი) და ჩქარის ნაბიჯით გავემართეთ არსენალისაკენ. იქ თითქმის ყველანი უკვე მისულიყვნენ. აგრეთვე არსენალის ბაქანზე [გვ.6] მუშაობდა მრავალი ახალგაზრდა; სტვირთავდნენ ყოველივე საომარ მასალას: ზოგს ფრონტისათვის, ზოგს კიდევ ქუთაისში შესანახად.

დილით მოხდა ხელმეორე გადაჯგუფება. კაპიტან ანდღულაძემ წინადადება მისცა ყველა ომში ჯერ არამყოფთ, რათა გამოსულიყვნენ მწკრივიდგან. ეს იმითი ახსნა, რომ მდგომარეობა შედარებით ძლიერ გაუმჯობესებულია და ამიტომ ასე ერთბაშად არ გაიგზავნება პოზიციებზედ ჯარიო. ნახევარი მწკრივი გამოვიდა. მე შეურყეველ მდგომარეობაში ვიყავი, არ ვიცი, რა გადამეწყვიტა, არ ვიცოდი, რომელ მოქმედებით უკეთეს სამსახურს გავუწევდი სამშობლოს: დარჩენით თუ წამსვე წასვლით. ბოლოს მაინც გადავსწყვიტე

[12] მეშვიდე ათასეული (ბატალიონი) შედიოდა მეორე ქვეით ბრიგადაში. ათასეულის განთავსების მუდმივი ადგილი იყო თბილისი. მშვიდობიანობის პერიოდში ათასეულში შედიოდა: 5 ქვეითი გუნდი (ასეული), ტყვიისმფრქვეველთა გუნდი, მზვერავთა მცირე გუნდი, მეკავშირეთა მცირე გუნდი, არასამწყობრო მცირე გუნდი, მესაკრავეთა მცირე გუნდი. სულ 683 კაცი. ათასეული რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისას სადახლოში იდგა და 11-16 თებერვლის ბრძოლებში მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა, ამიტომ თბილისთან, ფაქტობრივად, თავიდან დაკომპლექტდა (ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, 1 აგვისტო, 1919 წ., ქ. თბილისი, N162, გვ. 50-54).

[13] შალვა მაყაშვილი (1903-1990) - ცნობილი ქართველი მხატვარი, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის შვილი და საქართველოს ეროვნული გმირის - მარო მაყაშვილის ძმა.

საქართველოს ეროვნული არქივი

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი
1921 წლის საომარი მოქმედებებისას
თბილისის თავდაცვის ცენტრალურ სექტორს
მეთაურობდა, სწორედ ამ სექტორში მებრძოლ
მეშვიდე ათასეულში გაამწესეს გივი ღამბაშიძე
[1910-იანი წლები]
საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ფოტო

დაუყონებლივ ბრძოლის ველზედ წასვლა. დავრჩით 250 კაცამდე, რომლებიც მოწადინებული ვიყავით პოზიციაზედ წასვლას. ამ 250 კაცს იმ დღესვე დაგვირიგეს ყოველივე სამხედრო ტანისამოსი და საგზალი. აგრეთვე დაგვირიგეს, ესე იგი ჩაგვაბარეს ინგლისური თოფები[14]. ამან ძლიერ დააღონა ყველანი, იმიტომ **[გვ.7]** რომ თითქმის არავინ იცოდა მისი ხმარება და როგორც ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებმა გადმოგვცეს, ინგლისური თოფი არაფრათ არ ვარგებულა ბრძოლის დროს. ჯერ ეს ერთი, ძალიან მიზეზიანი თოფია, ჩქარა იცის გაფუჭება; ამასთანავე, მძიმეა და ხიშტიც არაფრად არ უვარგა. მომენტი ისეთი სერიოზული იყო, რომ თოფის დაწუნება სისულელე იყო. ამასთანავე, ჩვენ მთავრობას არ ჰქონია თურმე საკმარისი თოფ-იარაღი[15].

ყოველივე ეს ღამის 11 საათამდი გაგრძელდა. 11 საათზედ კაპიტანმა ნება მოგვცა დილის 6 საათამდი სახლში წასვლისა, თუმც სამხედრო დისციპლინას ეს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ, როგორც მოხალისეებს, პრივილეგიები მოგვანიჭა. ამასთანავე, უნდა ავღნიშნო, რომ მთელი დღე გვავარჯიშეს ველზედ და განცვიფრებაში მოვიდა კიდეც აფიცერი, ასე თუ ისე, სამხედრო წესები

[14] 1920 წლის ივლისში დიდმა ბრიტანეთმა იარაღის მოზრდილი პარტია გაუგზავნა სომხეთს, საიდანაც 27% საქართველოს დარჩა ამ იარაღის საკუთარ ტერიტორიაზე გატარების სანაცვლოდ. სწორედ აქედან მოხვდა ბრიტანული შაშხანები საქართველოს ჯარში (დიდი ბრიტანეთის საგარეო სამინისტროს არქივი FO 371/4945/1/E10762/58; სცსა, ფონდი1864, აღწ.2, ს.312, ფ.38-40).

[15] ქართული არმია ომის წინ შეირაღების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. 1921 წლის 20 იანვარს ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა კავკასიაში, პოლკოვნიკმა სტოქსმა, საკუთარ მთავრობას საქართველოს მიერ მოთხოვნილი იარაღის ნუსხა გაუგზავნა. საქართველოს მთავრობა დიდ ბრიტანეთს სთხოვდა 75 000 შაშხანას, 150 მილიონ შაშხანის ვაზნას, 470 ან 550 ტყვიამფრქვევს, ტყვიამფრქვევის 8 მილიონ ვაზნას, 96 ქვემეხს 444 000 ჭურვით. რესპუბლიკის მთავრობას ამ იარაღის მესამედის მიღება კი სასწრაფოდ სურდა (გია გელაშვილი, რამდენიმე დოკუმენტი ბრიტანეთის ეროვნული არქივიდან; ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1 (14), თბ., 2014, გვ.365-366).

საქართველოს ეროვნული არქივი

თითქმის ყველას გაეგებოდა ცოტათ თუ ბევრად. მდგომარეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისა მეტად რთული და გამოურკვეველი ყოფილა, ჩვენ არ ვიცოდით, როდის გაგვიწვევდნენ პოზიციებისაკენ. წავედით სახლში.

19 თებერვალი

[გვ.8] ღამის ასე 3-4 საათი იქმნებოდა, შუშების ზანზარმა გამაღვიძა. მამა აივანზე გასულიყო, სახლში ყველას ეღვიძა, ყველა რაღაც გაქვავებულიყო. მე კი მეძინა და რაღაც უცნაურათ გამოვახილე თვალები. მტერი შუა ადგილას შეტევაზედ გადმოსულიყო, ზარბაზნების და ტყვი[ი]ს ხმა მკაფიოდ მოისმოდა თბილისის განათებულ, გაჩუმებულ არემარეში. პატარა ხანს ასე გამოურკვეველ მდომარეობაში ვიყავი; არ მჯეროდა, თუ მტერი ასე ჩქარა, ასე ახლო მოიჭრებოდა თბილისში[16]. გუნებაში გადავწყვიტე, რომ მტერი უკვე თბილისში შემოიჭრა და ქალაქი აიღო. ელდანაკრავივით წამოვვარდი. ეხლაც ვერ ვერკვევი, თუ რა დამემართა მაშინ: გული საბრალოდ მომეკუმშა. ვგრძნობდი, რომ რაღაცა გვემართებოდა. სიჩქარით ჩავიცვი ჩემი ტანისამოსი, რაც დამჭირდებოდა აუცილებელი, სახლიდგან წავიღე და, რაღაც ბურანში გახვეული, გავექანე კარებისაკენ. ფიქრშიაც არ მომივიდა, რომ შეიძლება სამუდამოთ მოვდიოდი. დედამ **[გვ.9]** შემაჩერა და გამომეშვიდობა. გამოვემშვიდობე აგრეთვე მამას და დებს. თუ რას განვიცდიდი მაშინ, რატომ არ გამოვემშვიდობე ჩვენებს, ამას ეხლაც ვერ ავუხსნი ჩემ თავს.

ქუჩაში მოისმოდა შეიარაღებულ ხალხის სირბილი. ჩვენ ქუჩაზედ მდგომი მოხუცები, რომლებიც ჩაწერილნი იყვნენ თბილისის დამცველ რაზმში, საითღაც გარბოდნენ და თანაც ხალხს ამშვიდებდნენ. ყველას ეღვიძა, ან ვის დაეძინებოდა ამისთანა მომენტში. გამოვ[ვ]არდი სახლიდგან და გავექანე შალიკოსაკენ. ქუჩაში შეიარაღებული ხალხის მეტი არავინ იყო; სამხედრო წესები იყო გამოცხადებული, მაგრამ მე, როგორც ჯარისკაცს, ხმა არავინ გამცა. მივედი შალიკოსთან, ეს უკვე მზათ დამიხვდა, მისიანებსაც ყველას ეღვიძა, ისიც ჩემსავით მოდიოდა, გამომშვიდობება მასაც ავიწყდებოდა. დედამისიც, ისე, როგორც დედა, გამოეთხოვა მას. ორივენი ჩქარის ნაბიჯით, თითქმის სირბილით, ოფლიანები გავექანეთ არსენალისაკენ.

მე არ ვიცი, რა ქართველი უნდა ყოფილიყო ის ქართველი, ვისაც მართლა [გვ.10] შეეძლო იარაღის ხმარება და იმ ღამეს დამშვიდებით იჯდა სახლში.

არსენალის აღმართი სასწრაფოთ ავიარეთ. გზადაგზა შევხვდით ერთმანეთს რამოდენიმე ერთი გუნდის ჯარისკაცები. როდესაც მივაღწიეთ არსენალს, იქ დაგვჭირდა „პროპუსკების“ ჩვენება, ვინაიდგან საფრთხილო იყო არსე-

[16] 11-17 თებერვლის ბრძოლებში მიღწეული წარმატების შემდეგ რუსულმა სარდლობამ ჩათვალა, რომ 18-19 თებერვლის ღამეს გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებდნენ თბილისს და 19 თებერვალს ქალაქს აიღებდნენ (იხ: Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, с. 387-391).

საქართველოს ეროვნული არქივი

ნალში საზოგადოთ შესვლა. ჯერ კიდევ სრული ღამე იყო, როდესაც ოთახში შევედით. ყველა მოსულიყო, ერთი კაცი არ დაჰკლებოდა, 250-ივე მოვიდა. ამან ძლიერ ასიამოვნა ჩვენი უფროსი და, მით უმეტეს, ყველას გვიამა. სუყველას აეღო თავ-თავისი თოფი, სწმენდდა, აჩხაკუნებდა და სხვა. ჩვენ-ჩვენი იარაღი მოვნახეთ. გამოგვიცხადეს გენერალური შტაბის ბრძანება, რომ დილით ბრძოლაში წავსულიყავით. შეიქმნა ერთი ალიაქოთი და მზადება. დაგვირიგეს, ვისაც რა გვაკლდა: ტანისამოსი, პური და სხვა. გათენებისას დაგვირიგეს ტყვიები, პური და კონსერვები. ყველას გვიხაროდა წასვლა, მაგრამ იყვნენ იმისთანებიც, რომლებიც სახლში არც კი წასულიყვნენ ან არ გამომშვიდობებოდნენ თავიანთებს **[გვ.11]**, მაგრამ აბა ამეებისთვის ვის ეცალა.

გათენდა. უკვე რვა საათია. სულყველანი მზათ ვართ. გაისმა ბრძანება. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი ვაჩნაძე, მოვიდა[17]. მან დაკვირვებით აგვათვალ-ჩაგვათვალიერა, გამოგვკითხა, თუ ვის რა აკლდა. შემდეგ გვითხრა პატარა სიტყვასავით და სულყველანი მწყობრათ დავეშვით არსენალის ეზოში. მე-7 ათასეულის 6 გუნდი უკვე გამზადებულიყო. ტევა არსად იყო. ამდენ დასვენებულს და ახალს ჯარს რომ ხედავდი, გული სიამოვნებით გევსებოდა. 2-3 საათი მოვუნდით კიდევ ეზოში მზადებას. კიდევ დაგვირიგეს თასმები, ხელთათმანები, ქალმები და ბევრი კიდევ წვრილმანი ჯარისკაცის მოწყობილებიდან.

ვიდექი მე, ვუყურებდი ამდენ ხალხს, რომელიც მიდიოდა ბრძოლის ველზე და თითქოს მიდის რამე ექსკურსიაზედ, ისე ფიქრობს ყოველ წვრილმანზე. მე პირადად, რაც მეკიდა, ისიც მემძიმებოდა. ყოველივე ეს ხდებოდა ზარბაზნების გრიალში. ხალხი ადიოდა არსენალის მაღლობ სერებზედ და იქიდან სცდილობდა დაენახა არტილერიის ცეცხლი, ისე ახლო ხდებოდა ყოველივე ეს. **[გვ.12]** სიმართლე უნდა ვსთქვა, გულჩვილი არა ვარ, მაგრამ ამ სამზადისში უკანასკნელათ მინდოდა მენახა ჩვენები. შეიქმნა ჟრიამული.

მე-7 ათასეული დაიძრა პოზიციებისაკენ. აუარება ხალხს მოეყარა გარს თავი, დაიძრა ათასეულის I გუნდი, ბრძოლაში ნაცადი ძველი ჯარისკაცები. ამაზედ ყველა დანარჩენმა გუნდებმა ვიგრიალეთ ძლიერი: ვაშა! დაიძრა მეორე გუნდი, მასვეც ვაშას ძახილით შევხვდით. დარჩა უკანასკნელი, რომელსაც ვაშა დარჩენილმა ხალხმა უყვირა. სიმღერით და ზეიმით დაიშალა ვეებერთელა ათასეული არსენალთან მიმავალ ვიწრო ქუჩებში. ქუჩების ორივე მხარე გაჭედილი იყო ხალხით. ისმოდა ვაშას ძახილი, ბებერი ქალების ამო[ო]ხვრა და ერთი ჟრიამული. სამწუხაროთ, ჩვენ მოგვიხდა გავლა სრულებით არაქართულ უბნებისა, როგორიც არის არსენალის გასწვრივ მიმავალი ქუჩები და ავლაბარ – მეტეხის ციხე – მაიდანი; ცოტა არ იყოს, გვენატრებოდა უკანასკნელათ ჩვენ ქართულ უბნების ქუჩებში გავლა, სადაც გამცილებლები იყვნენ ქართველი საზოგადოება, ქართველი ხალხი **[გვ.13]**.

.... ———————————————— ....

[17] პოლკოვნიკი ვაჩნაძე მეთაურობდა მეშვიდე ათასეულს (ბატალიონს). ომის დროს ათასეულები (ბატალიონები) უნდა შევსებულიყო და გაშლილიყო ლეგიონებად (პოლკებად), ხოლო ბრიგადები - დივიზიებად, რაც ფაქტობრივად ვერ მოხერხდა მთელი ომის განმავლობაში.

საქართველოს ეროვნული არქივი

მეტეხის ციხის ჩასავალთან შეგვხვდა ერთი პატარა ჯგუფი დამფუძნებელი კრების წევრებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. ამან ძლიერ გვასიამოვნა. ეს პატარა ჯგუფი აუწერელი აღფრთოვანებით შეგვხვდა ისე, რომ სულყველა ჩვენც ავყვირდით. ჩავცილდით მეტეხის ციხის ისტორიულ მიდამოებს. გავედით ავლაბრის ძველ გამწვანებულ ხიდზე. ბნელი გასავლის და ხილის მოედნის შესახვევი გაჭედილი იყო ხალხით. ესენი იყვნენ ამ უბნის მცხოვრები მუსლიმანობა. აქვე შეგვხვდნენ ქართველთაგან ჩვენი გიმნაზიის ინსპექტორი სეით იაშვილი[18] და ჩვენივე ყოფილი მასწავლებელი შალვა შარაშიძე[19]. ამათ წამსვე იცნეს ჩვენი მოწაფეები და ჩვენთან მომავალი მასწავლებელი ტროფიმე ხუნდაძე[20]. მე თითქმის ხელიც კი ვკარი მათ, მაგრამ ვერ შემამჩნიეს. ძალიან აღ[გ]ვაფრთოვნა მუსულმანების ამგვარმა გაცილებამ. მართალი რომ ვსთქვათ, არ მოველოდი ასეთ მხურვალე გაცილებას მათ მხრივ: გვესვროდნენ პაპიროსების არა კოლოფებს, არამედ მთელ შეკვრებს. აგრეთვე მოცვივოდა უფულოდ ვაშლები, არასგზით ფულს არ იღებდნენ. მოიდანთან **[გვ.14]** შეგხვდნენ თათრების კავალერისტები, რომლებ[მ]აც წინ ჩაგვიქროლეს. ჩვენი მომღერლები გახურებული მღეროდნე[ნ]. ასე ამგვარად გავცდით თბილისს, ჩავიარეთ ორთაჭალის ბაღები და შევუდეგით ფრონტის გზას. გზაზე გვხვდებოდნენ ავტომობილებით მიმავალ-მომავალნი, აუარებელი კერძო პირები, საზოგადო მოღვაწეები, მთავრობის წევრები და სხვა. ყოველ შეხვედრაზედ იგრიალებდნენ ძლიერ ვაშას, გეგონებოდათ, სადმე ზეიმში მივდივართო.

ამ დროს შევჩერდით საგუბერნიო ციხეებთან[21]. რამოდენიმე ცხენოსანი მორბოდა თბილისისაკენ და საჩქაროდ გადმოგვძახებდა: „გავსრისეთ, გავსრისეთ სამუდამოთო! ...“ დიდი ორომტრიალი ასტყდა. მოჰყავდათ ტყვეები. სულყველანი გზის ცალ მხარეზე დაგვაყენეს და თანაც წინადადება მოგვცეს, რომ არც ერთი უშვერი სიტყვა არ გვეთქვა მათთვის. ყველას ძალიან გვეინტერესებოდა მათი ნახვა, ვისაც ასე უნდა ჩაეყლაპა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა. გა-

.... ———————————————— ....

[18] სეით იაშვილი (1875-1963) - ცნობილი ქართველი პედაგოგი და ქიმიკოსი; 1897 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტში; სტუდენტთა გაფიცვებში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს მცირე ხნით; ციხიდან გამოსვლის შემდეგ სწავლა განაგრძო; მესამე კურსზე სპეციალობად ქიმია აირჩია; 1902 წელს წარმატებით დაასრულა უნივერსიტეტი და საქართველოში დაბრუნდა; ამავე წელს დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა თბილისის ქართულ გიმნაზიაში; ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას; დაწერა რამდენიმე სასკოლო სახელმძღვანელო, მათ შორის აღსანიშნავია „ბუნებისმეტყველება“ და „ბოტანიკა“; თარგმნა დარვინის, ოპარინისა და როკოვის ნაშრომები; 1954 წელს გამოიცა მისი წიგნი „მასალები ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის“.

[19] შალვა შარაშიძე (1880-1934) - მწერალი, იუმორისტი, რეჟისორი და პედაგოგი; წერდა „თაგუნას“, „ამურის“ და „კუპიდონის“ ფსევდონიმებით; რედაქტორობდა იუმორისტული ხასიათის ჟურნალ „ეშმაკის მათრახს“. მისი პიესა „ავგაროზი“ 1921 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე; იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ეთნოგრაფის - გიგო შარაშიძის შვილი და პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრების, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძისა და დავით შარაშიძის ძმა.

[20] ტროფიმე ხუნდაძე - ცნობილი პედაგოგი, ისტორიკოსი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

[21] იგულისხმება ორთაჭალის ციხეები.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოჩნდა საბრალო ბრბო, დაღლილი, დაქანცული, ტალახში ამოსვრილი, რომელიც თავჩაქინდრული მოჩანჩალებდა. სულყველამ პირები დავაღეთ.ყოველ **[გვ.15]** შემთხვევაში, მე პირადათ. მე მეგონა, რომ ვნახავდი ველურ, ზორბა და გააფთრებულ რუსებს, რომლების შეხედვაც კი შიშს მომგვრიდა. ის კი არა, ვნახე დაღლილ-დაქანცული ბრბო 16-17 წლის რუსის ბიჭებისა. მაშინ კი გული მომეცა; ვთქვი: მაშ, ესენი ყოფილან ჩვენი მტრები-თქო. ზოგ ადგილას ჩვენმა ჯარისკაცებმა ლოცვა-კურთხევა გაუგზავნეს, მაგრამ მაინცდამაინც ძლიერ არ შეუმკიათ, ვინაიდგან ეს დაშლილი იყო [22].

„გრუზოვიკებით“ ჩამოატარეს დაჭრილი და მკვდარი რუსები, რომლებიც საბრალოდ გმინავდნენ. როგორც იქმნა, ბლომათ სიარულის შემდეგ მივაღწიეთ ფრონტს. ეს იყო სოღანლუღის პოზიცია. ის პოზიცია, სადაც 6 საათის წინეთ ცხვირ-პირი ჩაემტვრა ბოლშევიკურ არმიის ოთხ პოლკს, სახელდობრ, 172, 173, 174 და 171 [23]. შორიდგან გამოჩნდა მთის ნაკეცები ყვითლად ამოვსილი ჩვენი ჯარისკაცების მიერ. სულყველანი ერთ ფაციფუცში იყვნენ. ბრძოლა დიდი ხანი არ იყო, რაც გათავებულიყო. დაჭრილები მოჰყავდათ, მკვდრებს კი სამარეს აბარებდნენ. რამოდენიმე მატარებელი იდგა სოღანლუღის სადგურზე[24]. ჩვენ ჯერ კიდევ სულ ახლოს არ მიგვიყვანეს თხრილებთან. დასასვენებლათ [გვ.16] დავეყარენით სულყველანი თხრილების უკან მდებარე დაბლობში, რეზერვში ისე ვიყავით სულ დაღამებამდის[25]. ჩამობნელდა კიდეც. ყოველი ოცეული ჩავემწკრივეთ ერთ ჩაყოლებაზედ. თოფები ჯვარედინათ მივაყუდეთ ზეზე ერთი მეორეზე და მივუჩინეთ ყარაულები. ჩვენ თითონ კი მივწექით იქვე. ცა მოწმენდილი იყო და საგრძნობლად ციოდა. სულ ყველანი ვიწექით მიწაზე. მაშინვე გამახსენდა ერთ ფრანგ მხატვრის სურათი, რომელზედაც ფრანგ ჯარისკაცებს სძინავთ ისე, როგორც ჩვენ გვეძინა და ფიქრობენ მომავალ ბრძოლაზედ. თითქმის არავის არ დაგვძინებია, სულყველანი რაღაც უცნაურმა ფიქრმა წაგვიღო. ვფიქრობდით ყველა-

.... ——————————————— ....

[22] სხვადასხვა მონაცემით, ტყვეთა რაოდენობა მერყეობდა 1000-1600 კაცამდე. რუსთაველის გამზირზე, გზის ორივე მხარეს, ჩამწკრივებული ხალხი ზიზღით უყურებდა ტყვეებს. ნოე რამიშვილმა მათ შეკითხვა დაუსვა: „რას გვერჩით? რისთვის მოდიხართო“, ტყვეებმა კი უპასუხეს: „ჩვენ რა ვქნათ, მობილიზაციით გამოგვრეკეს, მეტი გზა არ იყოო ...“ (იხ: დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921), თბ., 2013, გვ. 423).

[23] სოღანლუღში მარცხი განიცადა მეთერთმეტე წითელი არმიის მეოცე მსროლელი დივიზიის 58-ე მსროლელმა ბრიგადამ, რომელშიც შედიოდა 172-ე, 173-ე და 174-ე პოლკები. 171-ე პოლკი შედიოდა 57-ე ბრიგადაში, რომელიც თბილისთან არ იბრძოდა (იხ: Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, с. 389-391).

[24] სადგურის დაცვასა და მოწინააღმდეგის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა ჯავშნოსანმა მატარებელმა (მიხეილ ბახტაძე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბ., 2013, გვ. 52; აკაკი კვიტაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს; საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, ჟურნ. „განთიადი“, N2, თბილისი, 1990, გვ.126).

[25] მეშვიდე ათასეული თბილისის თავდაცვის ცენტრალურ სექტორში განლაგდა; სექტორს გენერალი მაზნიაშვილი მეთაურობდა. სექტორი იწყებოდა თელეთის ქედზე არსებულ ტრიგონომეტრიულ პუნქტთან, გაივლიდა შავნაბადას მონასტერს და ჩადიოდა მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე.

საქართველოს ეროვნული არქივი

ფერზე: სახლზე, ჩვენიანებზე, ნაცნობებზე, ჩვენ სამშობლოზე, რომელსაც ასეთი დიდი საფრთხე მოელოდა, ასეთი დიდი უბედურობა, ასეთი დიდი შეურაცხყოფა უცხოტომელი ბარბაროსებისაგან. ვფიქრობდით მომავალ ბრძოლაზე, საქართველოს ბედზე, ბრძოლის შედეგზე და ჩვენ ბედ-იღბალზე.

ამასობაში გათენდა. გათენდა და თანაც ძლიერ აცივდა, მაგრამ ვინაიდგან ჯარისკაცის ცხოვრებაში არ უნდა იყოს აღნიშნული არც სიცივე და არც სიცხე, ამიტომ არც ჩვენ გვციოდა, ჰა[ე]რიც შეთბა და (20 თებერვალი) [გვ.17] რადგანაც სახლიდგან ჯერ კიდევ გამოგვყვა ცოტაოდენი სისუფთავის გრძნობა და საპნის ნაჭერი, პირველად და უკანასკნელათ „განვიბანეთ პირნი და ხელნნი ჩვენნი“ მტკვარში. ეს იყო და ეს. მას შემდეგ მე მტკვრის წყლისათვის არც ხელი და არც პირი არ მიხლია.

სულყველა ჯარისკაცები ნერვიულობას განვიცდით. ჯერ კიდევ თბილისში სახლში ვერ შევდიოდი, სულ ქუჩაში გამოვდიოდი ახალი ამბის შესატყობად. ფრონტზე კი სულ მოწყვეტილი ხარ ყოველიფერს, არაფერი არ იცი საქმის ვითარებისა. ამ დროს გამოჩნდება შორიდგან კორიანტელი; ნამდვილათ თბილისიდან ავტომობილი მოდის. მოლოდინი მართლდება, რომელიმე საზოგადო მოღვაწე ხტება ავტომობილიდან და იქ დამსწრე ჯარისკაცებისა და ოფიცრობის თანდასწრებით ჰკითხულობს ახალ ცნობებს მარცხენა და მარჯვენა ფრთის მდგომარეობაზედ. მრავალი სასიხარულო ამბავი მოჰქონდათ ამგვარ შიკრიკებს, მაგრამ, ვაი რომ, ყოველივე ეს მწარე სინამდვილემ შთანთქა. ყოველივე ახალი ამბავი ერთ წამში გადაეცემა მოწინავე თხრილში მყოფ ჯარისკაცებს და აგრეთვე დანარჩებსაც.

სამწუხაროდ, ჩვენ შორის მოიპოვებიან [გვ.18] პესიმისტები ან შეიძლება ქალა ...[26], რომელნიც წამსვე მოჰყვებიან ყოველივე სასიამოვნო ამბის აღმოფხვრას და დახურდავებას. მე რომ უფროსი ვიყო, ამგვარ ჯარისკაცებს ერთ საათს არ გავაჩერებ თხრილში, იმიტომ რომ 1 000 სულს ამგვარ ჯარისკაცს ისევ სჯობია 10 თუნდ ჩემსავით გამოუცდელი, ბრძოლაში არმყოფი ჯარისკაციც კი. გული შუა მეხლიჩებოდა, როდესაც გავიგონებდი ამგვარ ჯარისკაცების ლაპარაკს. სისხლი ყელში მომებჯინებოდა.

როგორც იქნა, გავიდა ეს დღეც. სუყველაფერმა წყნარათ ჩაიარა, მაგრამ ეს სიწყნარე დიდხან არ უნდა გაგრძელებულიყო. ეხლა კარგად აღარ მახსოვს რა დროს, რა დროდან, რომელ დრომდი, ამიტომ ვიტყვი: საერთოდ, მისვლისთანავე და დახევამდე თითქმის არ შეწყვეტილა ყუმბარების სისინი და შხუილი. მეორე დილითვე სულყველანი დავეშვით უფრო დაბალ ადგილას, მტკვრის ნაპირას. დილის ასე 9-10 საათი იქნებოდა, როდესაც იმათმა ყუმბარებმა დაიწყეს საშინელი ხათქახუთქი იმ ვაკე მი[ნ]დორზედ, სადაც ჩვენ ვიყავით რეზერვში დაბანაკებული და ვემზადებოდით სავარჯიშოთ. მთელი ჯარისკაცობა დაფეთებული მით, რომ მტერმა ასე [გვ.19] უეცრად და მალე მოგვძებნა, იქით-აქეთ მიაწყდ-მოაწყდა. ყუმბარები ცვივოდა შიგ ჯარისკაცებში და ბევრი წაიქცა და მიწაც დაეყარა, მაგრამ იმ დღეს, საბედნიეროდ,

.... ———————————— ....

[26] სავარაუდოდ, ავტორი შემდეგ სიტყვას გულისხმობს: ქალაჩუნები.

საქართველოს ეროვნული არქივი

არავინ არ დაჭრილა და არც მომკვდარა. ისე კი ზოგი სასწაულით გადარჩა, თითქმის ცხვირთან გაუსკდათ ყუმბარა. ოფიცრებმა დროზე გონს მოიყვანეს ჯარისკაცები მკაცრი ყვირილით. კაპ. ანდღულაძემ დაგვიყვირა: ეს ჯერ არაფერია, მხოლოდ ინათლებითო, ჩვენ დავშოშმინდით. უმრავლესობა კედლებს ამოვეფარეთ. მახარაძე ჯერ ჩუმათ იყო, მიზანს იღებდა. ამ დროს ოთხმა სამთო ზარბაზანმა, როგორც ერთმა, ერთად დაიჭექა. სუყველა გავმხნევდით. ჩვენ ყუმბარებს სხვადასხვა შელოცვით ვაგზავნიდით მტერთან და სულგანაბულნი ყურს ვუგდებდით, თუ მტრისაკენ როგორ სკდებოდა ჩვენი ყუმბარები. არტილერიის ცეცხლი დილის 10-დან თითქმის 3 საათამდე გაგრძელდა. მახარაძემ ორასამდე ყუმბარა გაუგზავნა. ასე რომ, ყურები სხვებს არ ვიცი და მე პირადათ სულ გამოტენილი მქონდა, აღარაფერი მესმოდა.

ამ დროს გაიცა ბრძანება, რომ სულყველანი ავსულიყავით [გვ.20] და მთის კალთებისათვის შეგვეფარებია თავი. ლამაზი სურათი იყო, როდესაც ეს ამდენი ჯარისკაცები ერთად დაიძვრა და გაემართა მთის კალთებისაკენ, რათა იქ შეეფარებია თავი, მთის ნაკეცებში. არტილერია მაინც არა სცხრებოდა. სანამ მთის კალთებს თავს შევაფარებდით და იქიდან თავიდან ბოლომდის გავხდებოდით მოწმე ვაზიანის გმირული გამარჯვებისა, საჭიროა მოკლედ მოვიხსენოთ, თუ რა გავაკეთეთ ამ ორი დღით რეზერვში დგომის დროს, ვინაიდგან ვერ მოვასწარით დიდხანს ვარჯიში არსენალში და ჩვენ შორის ბევრი იყო გამოუცდელი ჯარისკაცი. შემდეგ, თოფებიც ყველასათვის ახალი ხილი იყო, ამიტომ თავისუფალ დროს სულ სამხედრო ვარჯიშს ვანდომებდით, ვსწავლობდი შეტევაზე გადასვლას, ხიშტის ხმარებას, სხვადასხვა გარემოებებზე გადარბენას და სხვა მრავალს ჯარისკაცის ხელოვნებიდან. ასე თუ ისე, ყველამ ვიცოდით, ცოტათი თუ ბევრად, იარაღის ხმარება. უმთავრესი ის იყო ოფიცრისათვის, გულმოდგინეთ გვეგდო ყური, თორე სხვაფრივ არაფერი გვიჭირდა. [გვ.21] თავისუფალ დროს კიდევ გულმოდგინეთ ვწმენდით ჩვენს თოფებს და ბევრსაც ვაჩხაკუნებდით, ვინაიდგან ხშირად ფუჭდებოდა თოფი და კიდევ დრო იყო გამოსაცვლელად.

აქვე უნდა ავწერო ერთი სამწუხარო ინციდენტი, რომელმაც თითქმის იმსხვერპლა ჩემი ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი: როდესაც ჩვენ ვემზადებოდით, რათა თავი შეგვეფარებინა მთის კალთებისათვის, მაშინ შალიკო მაყაშვილი იყო წყლის პირად. მას თან ახლდა ვახტანგ გეგელაშვილი. უმრავლესობა ყუმბარებისა ვარდებოდა შიგ მდინარეში და მის ზვირთებს გეიზერივით ზევითკენ ისვროდა. ამ დროს მოირბინა გეგელაშვილმა და გვაუწყა, რომ ერთი ყუმბარა მოხვდა სწორედ იმ ადგილს, სადაც (ყუმბარა) მაყაშვილი და მე ვიყავითო. ორივე წაუქცევია ტალახში ყუმბარას. გავიდა რამოდენიმე ხანი და მაყაშვილი არ მოდიოდა. მე უკვე შევწუხდი: ვაითუ რამე მოუვიდათქო. მინდოდა მის სანახავად წასვლა მტკვრის პირს. ამ დროს ამოვიდა იგიც და თან მოჰქონდა მოზრდილი გაჭყლეტილი, მაგრამ გაუმსკდარი ყუმბარა, თანაც ლოყები ასწითლებოდა აღელვებისაგან; [გვ.22] ცოტაღა უკლდა, ის იმ ყუმბარამ კინაღამ გაჰგლიჯა. როდესაც მინდორზედ ამოვიდა, კიდევ ჩაუქროლა ცხვირწინ ყუმბარამ, წააქცია და მიწა გადააყარა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამან ანდღულაძის ყურადღებაც მიიპყრო და სთქვა: მაყაშვილი სულ არ უნდა იყოს აქ, შარია. რაღა მაინცდამაინც მაგას კინაღამ მოჰხვდა ორჯერ

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი სამხედროები ბრძოლის ველისაკენ
მიემართებიან
თბილისი,1921 წელი

ზედიზედ; ყოველი ფრონტი მაყაშვილით უნდა გაიხსნასო; შარია, წავიდეს სახლშიო. მაგრამ, რასაკვირველია, ამას ყურადღება არავინ არ მიაქცია.

ყველანი ავეფინეთ მთის კალთებს. სწორედ ამ დღეს იყო, რომ ვსთქვი, ზარბაზანი რა ყოფილა, იმდენს არა სწვიმს, რამდენსაც ჰქუხსო. მთელი დღე ყურები გაგვეჭედა მათი ქუხილით და შედეგი კი არაფერი არ მოჰყოლია: არც ერთი დაჭრილი, არც ერთი მოკლული. ყოველივე ამის შემდეგ უნდა აღვწერო ის საგმირო გამარჯვება, რომელიც წილად ხვდა ამ დღეს მარცხენა

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ფრთას და რომლის მოწამეც მე გახლდით სოღანლუღის მაღლობიდან და დაწვრილებით ვხედავდი ყოველივეს. ძალიან [გვ.23] ძნელია ყოველივე იმის, რაც მე იქ ვიხილე, აწერა. მერე კიდევ, რაც უნდა კარგათ ავწერო ვაზიანის ბრძოლა, მაინც შთაბეჭდილება ისეთივე არ დარჩება. იქნებოდა ასე შუადღე, სხვათა შორის, სრულებით ვერ ვსაზღვრავდით მაშინ დროს, სრული სიჩუმე იყო. ყველანი ჩაფიქრებულნი ვისხედით თხრილში და ვფიქრობდით ბევრ რა-მეზედ, სისწორით რომ ვსთქვათ, ყველაფერზედ.

21 თებერვალი

მე ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ ასე მშვენიერად ვიხილე მთელი ბრძოლის მიმოსვლა, ასე თუ ისე სამშვიდობოში მყოფმა, ვინაიდგან ჩვენსკენ არავითარი ბრძოლა არც სწარმოებდა. შეტევაზედ გადმოვიდა მტერი ვაზიანთან, საშინელი ტყვი[ი]სმფრქვეველთა ცეცხლით და ზარბაზნების მოქმედებით[27]. პირდაპირ ისეთი ხშირი სროლა ასტყდა, რომ ხმები ერთმანეთში ერეოდა. რუსები დიდი ენერგიით გადმოვიდნენ შეტევაზე ისე, რომ ჩვენებმა ბევრი სროლისა და გამკლავების შემდეგ თითქმის სოღანლუღის ხიდამდე დაიხიეს. მაშინ კი ჩვენ დიდი მღელვარება აგვიტყდა, მტერი გვჯობნიდა და თითქმის ზურგს გვივლიდა. წამსვე ჩვენთანაც ერთი ფაციფუცი შეიქმნა, ყველანი საჩქაროდ **[გვ. 24]** მოგვამზადეს: თუ ვინიცობაა, ჩვენები დამარცხდებოდნენ, იმ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირიდგან მტრის გვერდში დაცხება. ტყვიისმფრქვეველები სულ იქით იყო მიშვერილი და მომენტს უცდიდა.

ბრძოლა ძლიერ გამწვავდა, ნაპოლეონივით ვიყავი ზევით მაღლობზედ და დავსცქეროდი ბრძოლას, რომელსაც უნდა კინაღამ თბილისის ბედი გადაეწყვიტა. ჩვენ აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც ჩვენები გადავიდნენ კონტრატაკაზედ. რუსებმა უწესრიგოთ იწყეს უკან დახევა. მანძილის გამო ადამიანები პატარა შავ წერტილებათ მოსჩანდა, მაგრამ მშვენიერად ვამჩნევდით მათ, როდესაც გადირბენდნენ პატარა გორაკს, ჰორიზონტზე ერთი წუთით გამოჩნდებოდა მათი აჩრდილი. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მაგრამ სიხარული მწარედ შეგვეცვალა: მტრის მხრიდან მოისმა გაასკეცებული ჭაქაჭუხი ყველა სასროლი იარაღისა. ამას ვეღარ გაუძლო ჩვენმა ჯარმა და ნელ-ნელა უკან იწყო დახევა. რამდენსაც ჩვენები იხევდნენ, იმდენი ძლიერდებოდა მტრის ცეცხლი. ამან ყველანი ძალიან დაგვაღონა, მაგრამ გამარჯვება მაინც, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვხვდა წილათ.

[გვ.25] სამაგალითოდ იმუშავა ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა: ამოფარებულიყო პატარა გორაკს უკან ისე, რომ არც მოსჩანდა და არც ყუმბარა მოხდებოდა ადვილათ. როგორც გველი, გამოსცურდა იგი თავისი საფარიდან და გაექანა კახეთისაკენ საშინელის სიჩქარით. ისე შორს შევიდა მტრის ზურგს უკან, რომ ბოლითღა ვამჩნევდით მას. ამ დროს მოისმა ყურების გამჭექი პანტასავით სროლა. ჩვენი ჯავშნოსანი ზურგში ესროდა მტერს, მტერი კი გააფთრებით ესროდა რკინისგზის ლიანდაგს და სცდილობდნენ ლიანდაგის განადგურებას, მაგრამ ამაოდ. ჩვენმა არტილერიამ ცხვირ-პირი ჩაამტვრია კარაჯალის სადგურს.

ყოველივე ეს ხდებოდა ნაცნობ ადგილებზე; იმ ნაცნობ ადგილებზე, სადაც რამოდენიმე კვირის წინათ ისე დამშვიდებული ვნადირობდით გარეულ იხვე-

.... ———————————————— ....

[27] 18-19 თებერვლის ღამეს მოწინააღმდეგემ ძირითადი შეტევა თბილისის თავდაცვის ცენტრალურ სექტორზე მიიტანა, 19-20 თებერვალს – თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორზე, ხოლო 21 თებერვალს ძირითადი დარტყმა მიაყენა თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორს და იქიდან სცადა დედაქალაქის აღება.

საქართველოს ეროვნული არქივი

ბზე მე და ჩემი ამხანაგები. ვინ იტყოდა, თუ ასე ცოტა ხანში გადასწყდებოდა ამ ადგილებზე საქართველოს ბედი. მართალი რომ ვსთქვათ, მეორეთ, ჩვენმა ჯარმა რომ თითქმის რადიომდი დაიხია, იმედი გადაგვიწყდა ბევრს. აღარ მოველოდით ჩვენების მესამედ შეტევაზე გადასვლას, მაგრამ დახე საკვირველებას! ჩვენი გმირები [გვ.26] უკანასკნელად ეკვეთნენ მტერს. ამას ყოველივეს როგორც ხელისგულზედ, ისე ვხედავდით. ჩვენი მცირე კავალერია, მაგრამ მამაცი, გაეკიდა მტერს. მშვენიერად მოსჩანდა ოთხზე მიმქროლი ცხენები და თავმოგლეჯილი რუსების უკან დახევა. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. რუსები საცოდავათ მიჭყლიტეს მტკვრის ნაპირისაკენ, ხმაურობა შემცირდა. გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილათ.

ჯავშნოსან მატარებელთა რაზმის მებრძოლები ჯავშნოსან
მატარებელ „რესპუბლიკელის“ ფონზე; ზედა რიგში მაუზერითა
და დურბინდით - რაზმის მეთაური ვალოდია გოგუაძე
[1918-1921 წლები]

სანამ ამას ვიტყოდე, უნდა ვაღიარო, რომ ჯავშნოსანმა მატარებელმა გააკეთა თითქმის ყველაზედ მეტი საქმე, ზურგში ტყვიისმფრქვეველების დაცხებით. ამასთანავე, ქარუმიძის ბატარეიაც გააფთრებით მოქმედობდა. ჩემი თვალით ვნახე, როდესაც ერთი ჩვენი ყუმბარა შიგ გრაკალის[28] სადგურს მოხვდა და სულ შავი ბოლი აადინა. მშვენივრათ მოსჩანდა, თუ რუსები როგორ გადარბოდნენ გორაკებზე და ჩვენი კავალერია კი საშინლად მისდევდა მათ. პირდაპირ მტკვრის ნაპირს მიაწყდნენ, გასაქცევი პირი აღარ ჰქონდათ. ამავე დროს, მტერი ცდილობდა, როგორმე რკინისგზა გაენადგურებ[ინა], რათა ჯავშნოსანი არ გამოსულიყო სამოქმედოთ[29].

ჩვენსკენ დიდი აღელვება იყო. ყველანი გაფაციცებით **[გვ.27]** თვალყურს ვადევნებდით ბრძოლას, რომელსაც შეიძლება თბილისის ბედი გადაეწყვიტა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც საჩქაროდ მოიქრიალა თბილისიდგან ავტომობილი და აპოლონ ურუშაძემ[30] მოგვიტანა ჯიჯიხიას[31] სამახარობლო ტელეგრამა, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზედ იყო და მტერი საშინლად გარბოდა უკან. სიხარული იმდენათ დიდი იყო, რომ აღტაცებულნი ვეცით ჩვენი გუნდის უფროსს, კაპიტან ანდღულაძეს და მისი სურვილის წინააღმდეგ რამოდენიმეჯერ შევაგდეთ ჰაერში. სულ ყველა გამოცოცხლ-

[28] უნდა იყოს: ყარაჯალის სადგურს, გრაკალის სადგური არის თბილისის რკინიგზის სადგურის დასავლეთით 49 კილომეტრზე, კასპის რაიონში.

[29] 19-21 თებერვალს ქართველთა თავდაცვის მარცხენა სექტორს უტევდა მეთერთმეტე წითელი არმიის მეცხრე მსროლელი დივიზიის 26-ე მსროლელი ბრიგადა სამი პოლკის შემადგენლობით და ამავე დივიზიის ცხენოსანი პოლკი (იხ: Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, с. 389, 391. Директивы командования фронтов Красной Армии (1917-1922), Сборник документов в 4 Томах, Т.III, М., 1974, с. 374-376). თბილისის თავდაცვის ამ სექტორს იცავდა გვარდიის შვიდი ქვეითი ბატალიონი და ცხენოსანთა ორი რაზმი. აქედან ორი ბატალიონი იდგა ორხევში, მათ ფრონტალური დარტყმა მიიღეს და შემდეგ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე, ხოლო ხუთმა გვარდიულმა ბატალიონმა, ცხენოსან შენაერთთან ერთად, რომელიც გაძლიერებული იყო კაპიტან იედიგარაშვილის ბორჩალოს მოხალისეთა ცხენოსანი ასეულით, სოფელ ლილოდან დაარტყა მოწინააღმდეგის ფლანგს. ქართულმა არმიამ მოწინააღმდეგეს უკან დაახევინა ათ კილომეტრზე მეტი მანძილით (მიხეილ ბახტაძე, გვ. 63-64; აკაკი კვიტაიშვილი, გვ.127).

[30]აპოლონ ურუშაძე (1886-1961) - ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სტომატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 1914-1917 წლებში პეტერბურგის სამეფო ჰოსპიტალის სტომატოლოგიური განყოფილების უფროსი; ამავე პერიოდში იმპერატორ ნიკოლოზ მეორის პირადი სტომატოლოგი; გარდა ამისა, საქართველოს სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918-1920 წლებში აპოლონ ურუშაძე იყო თბილისის მილიციის უფროსი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრი. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ის ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში; დაიჭირეს 1923 წელს; განთავისუფლების შემდეგ, 1937-1948 წლებში სათავეში ედგა მის მიერვე დაარსებულ სახელმწიფო სტომატოლოგიურ ინსტიტუტს; იყო ლავრენტი ბერიას პირადი სტომატოლოგი, ხოლო 1953 წლიდან გარდაცვალებამდე – სტომატოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

[31]გენერალი არტემ ჯიჯიხია (1874-1938) - 1907 წელს დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია; პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობას იღებდა კაპიტნის ჩინით; იბრძოდა გენერალ სამსონოვის მეორე არმიაში, რომელიც ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს, დამარცხდა გერმანელებთან ტანენბერგის ბრძოლაში. ამ დროს თითქმის მთელი არმია განადგურდა და ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. არტემ ჯიჯიხია გერმანელების ტყვეობიდან 1918 წელს დაბრუნდა;

საქართველოს ეროვნული არქივი

და, გამხიარულდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ასე დამთავრდა ვაზიანის გმირული ბრძოლა, რომელშიდაც ქართველები კიდევ ერთხელ გამარჯვებულნი დარჩნენ.

ეხლა მართალი უნდა ვსთქვა: იმდენათ გართული ვიყავი ამ დღეებში ომით და მისი გავლენით, რომ სისწორითა აღარ მახსოვს, თუ რა დროს, რა ადგილას ვიდეგით – რიცხვი და დღე. ისე კი, როგორც ჩემი ხუთი თითი, დაწვრილებით ვიცი და ნათლად მახსოვს, თუ რა რის შემდეგ იყო. ამიტომ მეც მეხსიერების მიხედვით ვეცდები, ყველაფერი დაწვრილებით მოვყვე. ერთი კი კარგად მახსოვს: ყურებს მოსვენება არა [გვ.28] ჰქონდა ზარბაზნების ბზუილისაგან. აღარ მახსოვს კარგად, რომელ საათზე დამთავრდა ვაზიანის ბრძოლა. ის კი ვიცი, რომ იმ ღამესაც რეზერვში ვეყარენით. სიცივის გამო არ შეგვეძლო ძილი და თანაც არც ნება იყო და ეს სახლიდგან გაყოლილს ენერგიას ცოტა-ცოტა ინდომებდა.

22 თებერვალი

დილით გათენდა. ყველანი მშივრები ვიყავით და სულ საჭმელზედ გვქონდა ლაპარაკი და წუწუნი. ამ დროს მოვიდა ბრძანება, რათა გავმზადებულიყავით თხრილში ჩასასვლელად. პირველი ოცეული ავიბარგეთ რეზერვიდგან და მოვემზადეთ წინა დღით მყოფ ჯარისკაცების შესაცვლელად. გავემართეთ მტკვრისკენ მარცხენა ნაწილისაკენ. იქ იყო ამგვარად და ამ სიშორით [illegible] ამოჭრილი ტრანშეები, ჯარისკაცულად რომ ვსთქვა „აკოფიები“, რომ მტერს არ დავენახეთ.

პატარა დაფარული ბილიკით, ვითომ საიდუმლოდ, ავემართეთ ყველანი დანიშნულ ალაგს. იქიდან ჯარისკაცები ამოდიოდნენ და ჩვენ მაგიერ ეშვებოდნენ რეზერვში. ეს თხრილები იყო ამოთხრილი რაღაც ძველ სასაფლაოზე, რომელიც ლოდებით იყო მოფენილი და რაღაც [გვ.29] უსწორმასწოროთ ამოჭრილი. ცოტა არ იყოს, ავღელდი, როდესაც პირველად ჩავხტი ორმოში: თითქოს ნახევრად ამოთხრილ საფლავში ჩავხტით. მივათვალ-მოვათვალიერეთ ჩვენი თხრილი და პატარა ხანში, როდესაც მოგვიტანეს ნიჩბები და

.... ———————————— ....

ქართულ არმიაში ძალიან მალე დაწინაურდა და გენერლობას მიაღწია; მეთაურობდა სახალხო გვარდიის ნაწილებს.

მის სამხედრო შესაძლებლობებსა და პიროვნებაზე საკმაოდ ცუდი წარმოდგენა ჰქონდა რუსეთის სამხედრო ატაშეს საქართველოში - პავლე სიტინს, რომელიც საიდუმლო მოხსენებაში ჯიჯგიხიაზე წერდა: „ხელმძღვანელობდა გვარდიულ ნაწილებს სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ომის დროს. განსაკუთრებული სამხედრო ტალანტი არ გამოუჩენია, მაგრამ გვარდიის სამეთაურო შემადგენლობაში მეტ-ნაკლებად მცოდნე ოფიცერია. დიდი ინტრიგანია. მოსამსახურეების და სამეთაურო შემადგენლობის დანიშვნისას საკუთარ ინტერესებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე საქმის ინტერესს“ (სცსა, ფონდი 1874, აღწ.1, ს.2, ფ.186). 1921 წლის ომის დასაწყისში მეთაურობდა ფრონტის რეზერვში მყოფ გვარდიის ბატალიონებს, ხოლო თბილისთან ბრძოლებისას თავდაცვის მარცხენა სექტორს და საკმაოდ უნარიანადაც. ოკუპაციის შემდეგ მუშაობდა სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1938 წლის 31 დეკემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა.

საქართველოს ეროვნული არქივი

წერაქვები, დავიწყეთ ჩვენ გემოზედ მისწორ-მოსწორება, გუნებაში კი გვეცინებოდა, ისე გულიანათ რომ ვიწყობდით ამ ტრიალ მინდორზე ბინას, თითქოს სამუდამოთ აქა ვსახლდებით და არავისგან არავითარი საშიშროება არ მოგველისო: მოვიწყეთ ამაღლებული სათოფურები, საჯდომები და ტყვიების დასაწყობი პატარა ფიტონები.

ჩემდა სამწუხაროთ, ტროფიმე ხუნდაძე, შალიკო, ბილა და ჯიღა მოხ[ვ]დნენ ჩემს მეზობელ[32] ამონაჭარში, პირველ ათეულში. მე კი 3-4 საჟენის მოშორებით ვიყავი ჩასაფრებული მათგან. მთელი დღე ასე ტყუილ ფართაფურთში გავიდა. სადილობისას მახლობელ სოფლიდან მოვარდნენ ჩვენი მზვერავები, თათრის ცხენოსნები – გაოფლიანებულნი და გაფითრებულნი. მათ ამბავი მოგვიტანეს, რომ მტერი კარგა მანძილზე იყო, მაგრამ ისინი რომ დაენახათ, მათთვის კარგად დაეცხოთ. ჩვენ გავთამამდით. ასე გასინჯეთ, **[გვ.30]** ჩვენი შინაური თხრილის საქმე რომ მოვათავეთ, უმეტესობა ამოვძვერით თხრილიდგან და ვიწყეთ ბრძოლის ველზედ თავისუფლად სიარული.

საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა ჯერ კიდევ 19 ღამის ბრძოლის აულაგებელმა ველმა. მახსოვს, როგორის სიფრთხილით მივუახლოვდი მიცვალებულს, რომელიც ჯერ კიდევ დაუმარხავი პირაღმა ეგდო ჩვენი თხრილის წინ, ზემოთ, მარჯვნით. ჯერ გამოჩნდა მისი გაპარჭყული ფეხები, შემდეგ კი გაფითრებული ცხვირაბზეკილი 17-18 წლის რუსის ბიჭის სახე. ქუდი გვერდზედ მოქცეოდა და უსიამოვნოდ იღრიჭებოდა. მისი ჩამქრალი თვალები არას ამბობდნენ. ჯარისკაცებს ჩემს მოსვლამდე უკვე შეემოწმებინათ მისი ჯიბეები. ჯიბეში აღმოჩენოდა ბარათი, რომელშიდაც თავის დედას სწერდა: „мама, я умру в Саноин“[33]. საბრალო, უდანაშაულო მცირეწლოვანი გლეხის ბიჭი, დარწმუნებულია, რომ კომუნისტური სისტემის მიხედვით, პირველ შეტევაში უთუოდ მოჰკლავენ. უთუოდ იგი ბაქოდან პირდაპირ სანაინში გაგზავნეს, მაგრამ სანაინში არ მომკვდარა, მოუწევია თბილისამდე და თბილისის შემოსავალთან კი **[გვ.31]** ქართულმა ტყვიამ თვალი დაუბნელა[34]. ვინ მოსთვლის, რამდენი მასავით ახალგაზდა რუსი გაცივდა 19 ღამით. შორიახლოს მათ საერთო ორმოში უძახდნენ. სიმართლე უნდა ვსთქვა: როდესაც მის გაციებულ გვამს ფეხით შევეხე და მოვსინჯე, ცოტა არ იყოს, არ მიამა მისი მდგომარეობა. ვინ იცის, რამოდენიმე ხანში მეც მასავით დაღრეჭილი ვეგდებოდი, მაგრამ მე მორალური გრძნობა, ცხადია, სიკვდილის წინ უფრო მაღალი მექნებოდა, ვიდრე ამ გადამთიელს რუსს, რომელიც თავის უზარმაზარ მინდვრებში ვერ დატეულა და თბილისის წინ სულს ღაფავდა.

ბრძოლის ველს ნათლად აჩნდა თავისი ბრძოლის კვალი, მრავალ ადგილას

…. ———————————————— ….

[32] ტექსტშია: მფლობელ.

[33] „დედა, მე მოვკვდები სანაინში“ (რუსულად).

[34] საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით, 58-ე მსროლელი ბრიგადის საბრძოლო დანაკარგი 19 თებერვალს 530 კაცს შეადგენდა (იხ. Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, с. 391). საერთო ჯამში დაღუპულებისა და ტყვეების სახით ბრიგადამ დაკარგა წითელარმიელთა სამი მეოთხედი და თითქმის მთლიანი სამეთაურო შემადგენლობა (იხ. მიხეილ ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962, გვ. 108).

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი ჯარისკაცები წახემსებისას
[1918-1921 წლები]

პირდაპირ ჭაობივით იდგა თავმომხმარი სისხლი. აქა-იქ ტყვიები, გერბები, დაჭყლეტილი ფაფახები, ხელთათმანები, ტარნის თავკუდებით პატარა ჩანთები და მრავალი ამისთანეები – ყველაფერი ეს ტალახში და სისხლში ამოსვრილი. ყველაზედ უფრო კიდევ ერთმა რამ განმაცვიფრა: უმეტეს ნაწილათ ბრძოლის ველი სულ დაკაწრული იყო ტყვიებით, როგორც დაფარცხული. არა მგონია, რომ იმ ადგილებში, სადაც ისე საშინლად იყო [გვ.32] დაკაწრული ბრძოლის ველი, ვინმე გადარჩენილიყოს. ზოგიერთ ადგილას, მაგალითად, სადაც მათი ტყვიისმფრქვეველები იდგა, მთელი გორაკები იყო განასროლ ტყვიებისა. საშინლად გვამხნევებდა ის, რომ ამდენი ჯარი ჩაიხოცა მათი, მერე კიდევ რომ აუარებელი ტყვე ჩაუვარდათ ჩვენებს ხელში. უკვე ამასობაში დასაღამოვდა. ყველანი სულგანაბულნი ვისხედით თხრილში მოლოდინში. როდესაც დაღამდა, ძლიერ აცივდა, ქარი ასტყდა საშინელი და თოვლ-კორიანტელიც მოიტანა თან. მთელი ღამე ვარდებოდა მათი და ჩვენი რაკეტები და დღესავით ანათებდნენ ღამეს, ყველაზე ფრთხილად ვიყავით ხოლმე დილაობით, ასე 3-4-6 საათზედ, რადგან მტერმა იმ დროს იცოდა

საქართველოს ეროვნული არქივი

შეტევაზე გადმოსვლა. ჩვენი შტაბი მოთავსდა ჩვენს გასწვრივ, გზის დარაჯის პატარა სახლში, თითქმის ცოტა ჩვენზედ წინ. გარშემო სახლს მრავალი ტყვიისმფრქვეველი შემოურიგეს, უკან დახევა არ ეწერა ჩვენს თავში. თბილისის ბედი ჩვენი თხრილის აღებით გადასწყდებოდა. საჩქაროთ გავაბით ტელეფონი **[გვ.33]** შტაბსა და ჩვენ თხრილებს შორის. დასახვედრათ მზათ ვიყავით!.. საპიორებ[მ]ა[35] დახლართული მავთულები დააგეს ჩვენ წინ, ასე 100 ნაბიჯზე. ეს იყო ის მანძილი, რომელზედაც მტერი უნდა მოგვეშვა. გვარდიელები ძლიერ ამაგრებდნენ მტკვრის ნაპირს. განზრახული იყო მტრის ჯვარედინ ცეცხლში მოყოლა. აუარებელი ტყვიისმფრქვეველები იყო. ასე რომ, თოფი თითქმის ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას[36].

უკვე კარგად დაღამდა. საშინელი ქარი იდგა, ისე, რომ ვამბობდით: „თუ ამაღამ მოვიდა მტერი, საკმარისია ქვიშა შევაყაროთ თვალში და დავაბრმავოთო!..“ ქარი მტრისკენ უბერავდა, ჩვენდა საბედნიეროდ. თხრილზე რომ გადმოუსისინებდა, შიგ სულ კორიანტელს დაატრიალებდა. ამოვარდებოდა თხრილიდგან და თავის გზას განაგრძობდა. ამ დროს იყო, რომ მოგვიახლოვდა თხრილის თავზე ოცისთავი მირზაშვილი და თვალი გადაგვავლ-გადმოგვავლო. საჭიროთ იყო ორი ჯარისკაცის თხრილების წინ „სეკრეტში“ გაგზავნა დასაზვერათ. ბევრი თვალიერების შემდეგ ხელი დამიქნია მე და ჯარისკაც ჩიქოვანს. ორივენი უსიტყვოთ ამოვხტით თხრილითგან, მაგრამ ძლივს შევიკავეთ თავი ქარისაგან.

[გვ.34] ქარი ისე საშინლად უბერავდა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ლაპარაკი და, აბა, ამ დროს რას გაიგონებდი. ისეთი ქარი იყო, რომ მე ჩემ მეზობელ ჯარისკაცებს კიდევაც ვუთხარი, რომ ტყვიის სროლას მიწის სროლა სჯობია, სულ დააბრმავებს მათ-მეთქი. საპიორებს უკვე დახლართული მავთულები გაებათ ჩვენ თხრილების წინ, ასე 150-100 ნაბიჯის სიშორეზედ. ეს იყო დანიშნული მანძილი, რომელამდისაც მტერი უნდა მოგვეშვა. მანამდის სროლა აკრძალული გვქონდა და არც არავითარი ნაყოფიერება არ შეეძლო მოეტანა.

ოცისთავმა მირზაშვილმა გაგვიყვანა ასე 800-900 ნაბიჯის წინ ტრანშეისა, მავთულების გადაღმა. იქ ერთ ორმოში ჩაგვსვა და მოგვანდო ფხიზლათ ყოფნა და სიფრთხილით ყოფნა. ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ნიშნის მიმცემნი. თუ ვინიცობაა, მტერი ფარულად ღამით თავს დაგვესხმოდა, ესე იგი პირდაპირ გადაყრილნი ვიყავით. თანაც დაგვარიგა, როდესაც ჯარისკაცები წამოგადგებათ თავს, მაშინ ესვრით და თუ მოასწარით და გამოიქეცით თხრილამდე, მა-

.... ———————————————— ....

[35] იგივე მესანგრეები. 1919 წელს მიღებული საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის მიხედვით, ქართული არმიის საინჟინრო-ტექნიკური ძალების შემადგენლობაში შედიოდა მესანგრეთა («საპიორთა») ათასეული 587 კაცის შემადგენლობით (იხ: ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 1 აგვისტო, 1919 წ. ქ.თბილისი, N 162, გვ. 70-71). „საპიორთა“ ფუნქცია იყო: პოზიციების გამაგრება, გზების გაყვანა, ხიდების გადება, ასევე გზებისა და ხიდების მწყობრიდან გამოყვანა (იხ: სცსა, ფონდი 1836, აღწ.1, ს.192, ფ.3).

[36] პირველი რესპუბლიკის არმიის სარდლობა ტყვიამფრქვევების თავდაცვით მნიშვნელობას განსაკუთრებულ და, შეიძლება ითქვას, ოდნავ გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი არტილერისტები
[1918-1921 წლები]

შინ ხომ ნება გეძლევათ უკან **[გვ.35]** გამოქცევისაო. მე ცოტა გამოუცდელათ ვგრძნობდი ჩემს თავს ამ საქმეში, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი ბოლო მაინც თბილისის მისადგომი ველები იქნებოდა, ამიტომ ოცისთავის განკარგულებას უსიტყვოდ დავემორჩილე, რადგან ლაპარაკი საზოგადოთ და კერძოთ იმ ღამეს ღალატი იქნებოდა მოვალეობისა; იმ წმინდა მოვალეობისა, რომელსაც ჰქვია სამშობლოს დაცვა მტრისაგან ...

ვიყავით ასე სადარაჯოზე დაახლოებით 3 საათს. ამ ხნის განმავლობაში მოვიდა ახალი „სმენა“, ჯარისკაცულად რომ ვსთქვათ. ამაშიდაც ერია ჩემი ამხანაგი მიხეილ მგალობლიშვილი, ჩვენ, რასაკვირველია, დავბრუნდით თხრილში, მაგრამ ვაი, შენს მტერს! თხრილში აღარავინ არ იყო, გარდა ერთი-ორი ჯარისკაცისა, რომელნიც სიცივისაგან და დაღლილობისაგან საბრალოდ მოკრუნჩხვილიყვნენ და ავადმყოფურად ეძინათ. ყველანი ასულიყვნენ მახლობელ რკინისგზის დარაჯის ბუტკაში, სადაც საპიორები თბილათ შემძვრალიყვნენ და ცეცხლის პირს, ვინ იცის, უკანასკნელად თბებოდნენ. შტაბი იქვე იყო. შტაბშიდაც ყველა ერთიმეორეზედ შემძვრალიყო სიცივისაგან. ძლივს სული **[გვ.36]** მოვითქვით, რომ წამსვე ვიღაც გონებაგახსნილმა, დისციპლინის მცოდნე უმფროსმა გაგვყარა საჩქაროდ თხრილებში. ეხლა კიდევ უფრო ძნელი შეიქნა გარეთ ყოფნა, მაგრამ განა ჩვენი მოვალეობა ცეცხლაპირს ჯდომა იყო?

ამ დროს უბრძანეს გვარდიელებს ტყვიისმფრქვეველების მტკვარ-მტკვარ

საქართველოს ეროვნული არქივი

წასვლა და იქ ტყვიისმფრქვეველების დადგმა, ვინაიდგან ჩვენი პოზიციით უნდა გადაწყვეტილიყო თბილისის ბედი და საჭირო იყო მტრის ჯვარედინ ცეცხლში მომწყვდევა.

მიხეილ მგალობლიშვილმა იმის მაგიერ, რომ ჩუმათ მოეცადა გვარდიელებისათვის, რომლებიც მას რუსები ეგონა, მორთო ყვირილი: ვინ ხართ მანდო. რასაკვირველია, ჯარისკაცებმა არ უპასუხეს, ან ქარის გამო ვერ გაიგეს; ამაზედ მგალობლიშვილმა სამჯერ ესროლა, მე-4 გაეკვეტა, თორემ კიდევ მოაყოლებდა. ამ დროსვე მოირბინა გვარდიელმა და პასუხი მოსთხოვა ჩვენ შტაბს ამგვარი გამოუცდელი ჯარისკაცის სეკრეტში გაგზავნისათვის და დაემუქრა კიდეც ჯარისკაცს, მაგრამ ვინაიდგან მარცხი არაფერი მოხდა, მას ძლიერ [გვ.37] გაუჯავრდნენ და სოღანლუღის ხიდთან გადიყვანეს შიკრიკათ. ამან ჩვენ დაგვაღონა, რადგან მოგვაკლდა ერთი საუკეთესო ამხანაგი.

პატარა ხნის შემდეგ წამოთოვა და თოვლი მიაყარა გზის ფერდობებს, რომელშიდაც შეჭრილი ადგილები ნამდვილ ადამიანებათ გამოჩნდნენ. ერთ წამს მთელ თხრილებში გავარდა ხმა, მტერი მოდისო. ყველანი წამოვხტით, ტყვიები ვსტუცეთ თოფში, მოვემზადეთ და სულგანაბულნი ვაშტერდებოდით შავ ლანდებს, მაგრამ ასე მოლოდინით და ყურებით გამოირკვა, რომ ის ლანდები თოვლის ნაქნავი იყო.

არასოდეს არ დამავიწყდება ის წუთები, როდესაც მოვემზადეთ საბრძოლველათ!.. როგორც იქნა, ბევრი ფიზიკური ტანჯვის შემდეგ სიცივისაგან გათენდა და ძლიერაც აცივდა.

23 თებერვალი

ღამისაგან დაღალულნი ვუცდით რეზერვიდან ახალ ჯარისკაცებს, რომლებმაც უნდა ჩვენ შეგვცვალონ. თითო მინუტი ერთ თვეთ გვეჩვენებოდა, როგორც იქმნა, მოვიდა ეგრედ წოდებული „სმენა“. საწყლებმა არ იცოდნენ, თუ რა სიცივე და ტანჯვა უნდა გამოევლოთ 24 საათის განმავლობაში [გვ.38]. ჩვენ თავისუფლად ამოვისუნთქეთ და სიხარულით დავეშვით ქვეით, რეზერვისაკენ. სიცივე თანდათან უჭერდა. ქარი უარესად სისინებდა, ამიტომ გვირჩიეს გაგვეკეთებია გომურები. ვერ წარმოიდგენს ადამიანი, ეს გათოშილი ხალხი რა გულიანად ვეცით ჩაყვითლებულ ქვიან ფერდს და რა სიჩქარით შევუდექით გომურების კეთებას. ცხოველური ინსტიქტი გვიკარნახებდა რაიმე მოფარებულ ბუნაგში შეძრომას. ქარი, ღამის ნაყარაულებს, ძვალში მივლიდა. ასე ნახევარი ჩვენი საქმისა არ გვექნებოდა მოთავებული, რომ უეცრად გაიცა ბრძანება, რათა ჩვენი გუნდი ასულიყო სოღანლუღის მაღლობზედ მყოფ პოზიციაზედ და იქ გამაგრებულიყო. ამდენმა ფაცაფუცმა და მზადებამ ტყუილად ჩაგვიარა, ყოველისფერი მივანებეთ, ჩვენი შეცვლა მტკვრის ნაპირთან ტყუილა გაგვეხარდა. თავჩაღუნულნი სულყველა შევუდექით აღმართს ჩვენი ბარგი-ბარხანით. ახალი ტრანშეა ასე ამგვარათ ფორტივით იყო, ჩვენ ვიყავით პირველ თხრილში, სხვები კი - ჩვენს უკან. ის 60 დუშელი დეზერტირები [გვ.39], ყველანი, იქ დაგვიხვდნენ. მათი ნახვა სრულებით არ

საქართველოს ეროვნული არქივი

მესიამოვნა, მეტადრე იმიტომ, რომ ცხვირი საძაგლათ ჩამოეშვათ და სულ გაიძახოდნენ: „რუსეთთან ომი აბა ჩვენ როგორ შეგვიძლიანო!“



სანგრის ნახაზი
შესრულებული გივი ღამბაშიძის მიერ

ამან ძალიან ამაღელვა მე. მე მეგონა, თუ მაინც პირველად შეიძლება სულ არ გამოვდგე და სხვისი გამხნევება დამჭირდესთქო, მაგრამ, საუბედუროთ, მე მიხდებოდა წვერულვაშიან ჯარისკაცებისათვის ახსნა, რომ ის რუსეთი მორჩა, უწინ რომ იყო. ესენი უძლური, მშიერი, დაგლეჯილი ბოლშევიკები არიან-მეთქი. ისინი მაინც თავისას გაიძახოდნენ და მოელოდნენ რუსეთისაგან სამკაპიკიანი პურის შემოსვლას. მაგალითად, ძალიან გმირულად იქცეოდნენ გორელი ქოჩრიანი ტეტიები: ყვებოდნენ აღფრთოვანებით და სრულიად სადათ 19 ღამის გამარჯვებას[37]. ძლიერ ჯავრდებოდნენ ახალგაზრდა რუს ჯარისკაცებზედ: ვაჟკაცმა რომ მომკლას, არაფერია, ვიტყვი ან იტყვიან, ომში ვაჟკაცურად დაიღუპაო, მაგრამ ამ ბიჭმა რომ მომკლას, ხომ ცოდო ვარო და მი[უ]თითებდა შორიახლოს მგდებ, მართლაც **[გვ. 40]** რომ, პატარა ბიჭზედ, ასე 17-18 წლისაზედ. მე კი ძლიერ გამათამამა ამ გარემოებამ. ეს კია, პატარა ბიჭები ბევრი თრევისაგან გაწვრთნილნი იყვნენ ომში. ჯარისკაცების თქმით, ეშმაკებივით ბევრი ამორბოდა თითქოს მიწიდგან მტრის ჯარისკაცები, მხოლოდ ცელვა იყო საჭირო, სულ პანტასავით ეყრებიანო. 1 000 კაცამდის თოფები ყირამალა დაარჭვეს „შტიკით“ მიწაში და ტყვეთ დანებდნენ ჩვენს ჯარს. ძალიან მომწონდა მე ასეთი ჯარისკაცები.

ზევით ერთი ფაციფუცი შეგვექნა, დავიწყეთ საწოლ ბინების გამოჭრა მიწაში, ქარი კიდევ არ გვასვენებდა. მე მიკვირს, როგორ იოლად ჩაიარა ჩემმა ზურგმა; სულ გაყინული მქონდა და ცივათ მაჟრიალებდა. ძალიან ციოდა.

.... ———————————————— ....

[37] თაობათა შორის სხვადასხვა განწყობას ასევე აღნიშნავს კიდევ ერთი მოხალისე, ინჟინერი იოსებ მამაცაშვილი თავის დღიურში. იგი წერს, რომ ჯარისკაცთა მასა, ძირითადად ახალგაზრდები, შემართულნი იყვნენ საომრად და დიდ გამძლეობას იჩენდნენ, განსხვავებით ზოგიერთი უფროსი ასაკის სათადარიგო ჯარისკაცისაგან, რომელთაც ადრე რუსულ არმიაში ემსახურათ, მონუსხულნი იყვნენ რუსული არმიის სიძლიერით და გამარჯვების არ სწამდათ. თბილისიდან უკანდახევის დროსაც ძირითადად ასეთი სათადარიგო ჯარისკაცები ტოვებდნენ ნაწილებს, მაშინ, როდესაც ახალგაზრდები ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან (იოსებ მამაცაშვილი, მოგონებები /1921 წლის თებერვალი-ივლისი/, თბილისი, 2014, გვ. 12, 20-21).
18-19 თებერვლის სოღანლუღის ბრძოლაში გორის გვარდიის ბატალიონმა (ოფიციალურად გვარდიის ქართლის პირველი ბატალიონი კომპლექტდებოდა გორის, ცხინვალისა და ქვემო ჭალის მოსახლეობისაგან) განსაკუთრებით გამოიჩინა თავი (მიხეილ ბახტაძე, გვ. 48-52; აკაკი კვიტაიშვილი, გვ. 126).

საქართველოს ეროვნული არქივი

თოვლს [...] ბევრი ჯარისკაცი ამოვედით თხრილიდგან და დავიწყეთ სოღანლულის განადგურებული სადგურის მიდამოებში ხეების და „ჟესტების“ ძებნა საფარის გასაკეთებლათ. სოღანლულის სადგური იმდენი მტერს არ გაუნადგურებია, რამდენიც – ჩვენ. დიდი რკინით ვანგრევდით ერთი დატაკებით სადგურის მახლობლად მყოფ პატარ-პატარა შენობებს და მასალას ყველა თავ-თავიანთ თხრილისაკენ ვეზიდებოდით. **[გვ.41]** თხრილიდგან ამოსვლას გვიშლიდნენ, ვინაიდგან მტერს შეეძლო კარგათ ჩვენი დანახვა და მიზანში ამოღება, მაგრამ ჩვენ თავისუფლად დავბრძანდებოდით მინდორში. ღამისათვის ვემზადებოდით. ძალიან გრილოდა. ჩვენმა მზვერავებმა მოიტანეს ამბავი, რომ არავინ სჩანს 8 ვერსზედ, ამან ჩვენ ძალიან დაგვამშვიდა და სრულიად თავისუფლად დავდიოდით ყველგან, სა[და]ც გვინდოდა.

საღამოზედ თბილისიდგან მოვიდა „გრუზოვიკი“, მას მოჰყვა ნინო გელოვანი[38] და ილიკო ნაკაშიძე; ძალიან გაუკვირდათ ჩემი დანახვა და მეც გამეხარდა მათი მოსვლა. მოგვიტანეს თბილისიდგან კუპატები, თუთუნი და საჩუქრები. ყველანი ჩამოვიშალეთ კლდიდან და შევხვდით ავტომობილს. ილიკო ნაკაშიძემ გამიყვანა გვერდზედ და მითხრა, რომ შალიკო მაყაშვილის და მარო[39] მოკლული იყო იუნკრების მხარეს; შრაპნელს დაეგლიჯა ორი ცხენი, ტაჩკა, მეტაჩკე და მარო. კარგი, რომ სუნანა[40] მათ არ გაჰყვა, თორემ მასაც მაროს ბედი ეწეოდა და ესღა აკლდა ჩვენ ოჯახს.

შალიკო შორიახლო ნინო გელოვანს ელაპარაკებოდა. ნინო გელოვანი საშინლად უყურებდა მას და არაფერს ეუბნებოდა. შალიკო წამოვიდა ჩემკენ, ორნივე **[გვ.42]** განზე გავედით. ამ დროს მოვიდა სტუდენტი ფაღავა, რომელმაც მოგვაძახა მე და შალიკოს, იუნკრებთან მაყაშვილის ქალი მოუკლავთო. ეს რომ გაიგო შალიკომ, ძალიან აღელდა, ლოყები გაუწითლდა და მე შემომხედა. მე საშინლად ამაღელვა ცუდი მახარობლის წინდაუხედავობამ. რაღას ვიზამდი, შალიკო მიხვდა ყველაფერს, მაინც თავი შევიკავე და არაფერი იმის შესახებ, რაც ვიცოდი, არ მითქვამს. დავუწყე რწმუნება, რომ სუყველაფერი მოგონილია. ადამიანი ოდნავ რომ დაიჭრება, მორთავენ ყვირილს, მოკლესო. კაპიტან ანდღულაძემ მითხრა, უთხარით, როგორმე წავიდესო, არ მინდა მაგისი აქ ყოფნა, ყოველი ბრძოლა მაყაშვილით იწყებაო. შალიკოს კი ძალიან ეძნელებოდა ამხანაგების მიტოვება და ქალაქში დასამარხავად დაბრუნება, მაგრამ ბოლოს მაინც გადასწყვიტა დის დამარხვაზედ წასვლა.

.... ———————————————— ....

[38] ნინო გელოვანი - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

[39] მარო მაყაშვილი (1902-1921) - საქართველოს ეროვნული გმირი; დაამთავრა თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე; რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისთანავე მოწყალების დად ჩაეწერა წითელი ჯვრის სანიტარულ რაზმში და გაემართა ფრონტისაკენ; თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორში ყოფნისას, 19 თებერვალს, ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა. 2015 წლის 24 დეკემბერს მარო მაყაშვილს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

[40] სუნანა ღამბაშიძე (1901-1996) - გივი ღამბაშიძის უფროსი და. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდგომ საფრანგეთში გაიხიზნა ოჯახთან ერთად. ემიგრაციაში ცოლად გაჰყვა ცნობილ ქართველ იუნკერსა და შემდგომში ფრანგული არმიის პოლკოვნიკს, ნიკოლოზ (კუკური) თოხაძეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნინო გელოვანმა გვითხრა, რომ შალიკოს ბიცოლა იყო სოღანლუღის ხიდზედ პროვიანტის საწყობში და გვთხოვდა, რომ წავსულიყავით (მე კი არა, შალიკოს). ჩვენ გამოვართვით ნებართვა კაპიტან ანდღულაძეს [გვ.43] და მივეცით სიტყვა, რომ 15 წამში დავბრუნდებოდით. მივედით დანიშნულ ადგილას. იქ ისეთი დაღმეჭილი სახეებით შეხვდნენ შალიკოს, რომ მე მეგონა განგებ უნდა აგრძნობინონ მას ყველაფერი. შალიკოს ნათესავმა გამოგვიტანა ორივეს აუარებელი საჭმელი შედარებით იმასთან, რითაც ჩვენ ვსაზრდოობდით. იქვე ღვინოც დაგვალევინეს და უკან გამოგვისტუმრეს. უკან როცა დავბრუნდით, პოლ. ვაჩნაძეს უკვე გაეგო ყველაფერი ეს. შესვა შალიკო ცხენზედ და თან გაიყოლა თბილისში. შალიკომ სიტყვა მომცა, რომ სოღანლუღშივე დაბრუნდებოდა დის დამარხვის შემდეგ. შალიკომ სიტყვა არ გასტეხა, ფრონტზედ დაბრუნდა, მაგრამ არა ჩემთან, ქვეით[თ]ა ჯარში, არამედ არტილერიაში, სახელდობრ, ქარუმიძის ბატარეიაში. მ. მგალობლიშვილი გადიყვანეს უკან; შალიკო თბილისში წავიდა; ტროფიმე, ჩვენი მასწავლებელი, კავშირში გადიყვანეს. ასე რომ, ბოლო დროს პირველ მწკრივში დავრჩით მხოლოდ ჩემი ორი კახელი ამხანაგი და მე.

მოთმინება გვეკარგებოდა ამდენი ხნის მოლოდინში, ბევრჯერ კიდევაც ვინატრეთ მტერი [გვ.44]. გვინდოდა, ჩქარა გადაწყვეტილიყო ჩვენი ტანჯული სამშობლოს ბედი. ჩვენი დამარცხებით თბილისიც დაეცემოდა, მაგრამ მტერი მაინც არ გამოჩნდა ამ საღამოს. იგი თავის დაქსაქსულ ძალებს აგროვებდა, აპირობდა კიდევ თბილისზე ძლიერ შემოტევას, უძილობამ და უსაზრდოობამ საგრძნობლად დაგვასუსტა როგორც ფიზიკურათ, ისე მორალურათ, მაგრამ თოფს ყოველთვის გამოვუშლით ჩახმახს მტრის გულის გასაგმირავათ. განუწყვეტელმა ქარმა საქმე გაგვიჭირვა. როგორც იქმნა, გათენდა.

ქართველი არტილერისტები „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევებითა
და შაშხანებით
ქუთაისი, 1918 წელი

საქართველოს ეროვნული არქივი

24 თებერვალი (წყეული დღე)

საშინლათ ცივა, ჩვენი „პოლუშუბკები“ არაფრათ არ ვარგა. ნაბდის ქუდებში, რომლებიც ქართულად კი არა, არამედ სპარსულად გვაქვს ჩამოფხატული ყურებზე, ქარისაგან არ გვიფარავს[41]. როგორც იქნა, ცოტა მზე ამოვიდა, ცოტაც მოთბა. ყველანი ამოვძვერით თხრილიდგან და ჩვენს წინ მიწას ვამაგრებთ, სათოფურებს ვუკეთებთ, ვემზადებით. ჯერი ჩვენზეა მომდგარი ვაზიანის ბრძოლით. მარცხენა ფრთამ ისახელა კოჯორის ბრძოლით. სამუდამო სახელი დარჩა იუნკერთა სასწავლებელს (187 კაცი)[42]. შუა ადგილმა 19 ისახელა და ეხლა **[გვ. 45]** წილი თავგამოდების ისევ მას ხვდა. მდგომარეობა ჩვენი სამაგალითოა: მტერი 9 ვერსის მანძილზედ არსად არ სჩანს, მზვერავები უვნებელნი ბრუნდებიან, არტილერია მაინც განუწყვეტლივ მოქმედებს, აუარება ყუმბარა ეცემა თხრილების წინ, უმეტესი კი ვარდება მტკვარში და რამოდენიმე საჟენის სიმაღლეზედ ისვრის აქაფებულ წყალს. წყლის მოსატანათ ორ ამხანაგს ერთად არ გვიშვებენ, იმიტომ რომ შესაძლოა, ადვილად გასრისოს ყუმბარამ წყლის ნაპირას მყოფი ჯარისკაცი. ამიტომ მარტო არავის არ ეხალისება მტკვრის საბედისწერო ნაპირას მისვლა. ვართ უწყლოთ, როგორც იქნა, არტილერიის სროლა შეწყდა, ვინაიდგან ჩვენ ზარბაზნები მტკვრის მარცხენა ნაპირას არიან ამოფარებული, ჩვენ მთას და ჩვენ თავზე გადავლით ისვრიან ყუმბარებს, ჩვენივე ზარბაზნები უფრო გვიჭედავენ ყურებს, ვიდრე მტრისა. ყურები მიბზუის; სულყველას სისხლი თავში გვაქვს ავარდნილი.

ასე 12-ს საათზედ ყოველივე მოქმედება შესწყდა. ყველანი ამოვიშალეთ თხრილიდგან, თუმც ეს არ არის დასაშვები მოულოდნელი შეტევის შემთხვევაში. ჯარისკაცები ვიღებდით ვაზნის გილზებს მიწიდგან, გასისხლიანებულ ბრძოლის ველიდგან და ვაგზავნიდით თბილისში ახალ ვაზნების გასაკეთებლათ. ამით **[გვ.46]** გავიგე პირველათ, რომ ჩვენ ჯარს ვაზნებიც კი არ ჰქონდა საკმარისი[43]. მე და ჩემი ამხანაგები წავედით პატარა წყაროსთან. გავიხადეთ ტანისამოსი და, ვინ იცის, უკანასკნელად შეიძლება დავიბანეთ გაშავებული ხელ-პირი.

სადილობის დროც მოვიდა, მითხრეს, სოღანლუღის სადგურზე პუნქტია გახსნილი და ჯარისკაცებს ზედმეტათ აჭმევენო, თუმც არ მინდოდა იქ მის-

…. ——————————————— ….

[41] „პალტოებს“ იწუნებდა იუნკერი მათიკაშვილიც, რომელიც წერდა, რომ იტალიური ხელოვნური ქსოვილისგან შეკერილი პალტოები ფრონტზე ვერ ათბობდათ (ნიკოლოზ მათიკაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, იუნკრები, თბ., 1990, გვ.13).

[42] ომის დროს სამხედრო სკოლის იუნკერთა რაოდენობა შეადგენდა 183 კაცს, რომელთა უდიდესმა ნაწილმა სამხედრო მოქმედებებში მიიღო მონაწილეობა (სცსა, ფონდი 1969, აღწ.4, ს.15, ფ.12-18).

[43] ქართულ არმიაში ვაზნების კატასტროფული დეფიციტის გამო მსგავსი პრაქტიკა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგალითად, დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ 1920 წლის 23 ივნისის სხდომაზე ტრაგიკომიკური ხასიათის რეკომენდაციაც გასცა: კომისიის აზრით, საჭირო იყო ბრძოლის ველზე გასროლილი ვაზნების მოგროვება და შენახვა. ვაზნების მოგროვება ნაყოფიერი რომ ყოფილიყო, მომგროვებლებს უნდა დანიშნოდათ პრემიები (იხ. სცსა, ფონდი 1833, აღწ.1, ს.1081, ფ.10).

საქართველოს ეროვნული არქივი

ვლა, მაგრამ სიმშილმა დამძლია. მივედი სოღანლუღის სადგურზედ. ვხედავ, რომ რამოდენიმე წითელი ჯვრის ფურგონი დგას. ოთახებში ფაცაფუცია. კომლი ამოდის სამზარეულოდან. შევედი აივანზე. მთელი წითელი ჯვრის პუნქტი აქ გადმოუტანიათ. ნინო გელოვანი ვნახე მეორეთ, ილიკო ნაკაშიძეც იქ იყო. ნინო გელოვანმა შემიყვანა თავის ოთახში და თბილისიდგან მოსული ამანათი მომცა, აგრეთვე მრავალი წერილები. როგორც გიჟი, შევექეცი ყოველივე საჭმელს, რაც შიგ იყო. ნინო გელოვანი რაღაც უცნაურათ მიყურებდა. მე გამიკვირდა, რომ წითელი ჯვარი თხრილების წინ იყო. შევეკითხე მას, თუ რას ნიშნავდა. მან მითხრა: ამბობენ, რომ სამი ვერსით წინ წაიწევს ჯარიო და ჩვენ აქ დავრჩებითო. მე ცოტა მეუცნაურა, მაგრამ გავჩუმდი. გამოვემშვიდობე მას და წავედი ჩემ თხრილში, სადაც ამხანაგებს გავუნაწილე საზრდო. [გვ.47] ჩემი თხოვნისამებრ, ერთი ბოთლი არაყი გამოეგზავნა მამას. ამან ძალიან გამახარა: ძვლებს გავითბობ მაინც-მეთქი. ამასობაში დასაღამოვდა. სადილი ვიღაც წვერულვაშიან ჯარისკაცებთან ერთად ვჭამე. რვა კაცი ერთ კოლოფში ვჭამდით. ჯარისკაცებით (!) წვერ-ულვაშიდან ჩამოწურულ წვენს ხარბად ვეწაფებოდით (ჩემ თავზე მეცინებოდა).

ამავე დროს, მინდა ავღნიშნო ერთი რამ: იმ სახლში, რომელშიდაც მე და ბილანიშვილი ვიყავით, აღმოეჩინათ შეიარაღებული დაჭრილი რუსი, რომელსაც უკან გაქცევა ვერ მოესწრო. ქართველების კი ეშინოდა, დამხვრეტენო (დენიკინელებივით გვიყურებდნენ). აფსუს!.. პუნქტში მას მოუარეს და აჭამეს. ორი დღე არაფერი ეჭამა. მამაძაღლი! უცდიდა რუსების მოსვლას; იცოდა, რომ თბილისი უნდა დაცემულიყო!..

ასე 5 საათი იქნებოდა საღამოსი, ყველანი ჩვენ ადგილას ვიყავით. რაღაც ფაცაფუცი იყო, ახალი ჯარი მოვიდა რეზერვში. ჩვენ გასწვრივ მიწა გათხარეს. ტყვიისმფრქვეველები გააწყვეს, თოფებისოდენა ტყვიისმფრქვეველები იყო. შავნაბადიდან რაღაც ჯარი დაეშვა და ჩვენ შეგვიერთდა. ძლიერ აცივდა. ცა ჩამობნელდა. თითქოს სიკვდილის შავი აჩრდილი სჩადიოდა ამასო. არავის შეგვეძლო მიტოვება. მე [გვ.48] მთელი ათეულის დავალებით გამიშვეს წყლის პირას წყლის მოსატანათ. როდესაც რკინისგზის ხიდის ქვეშ გავიარე, სადაც მოთავსებული იყო ტელეფონი, ჩვენი ათასეულის ტელეფონისტმა თითქოს ჩემს გასაგონად განგებ უთხრა სხვა ჯარისკაცს: „ამაღამ დიდი ბრძოლა იქნება ...“ მე საჩქაროდ გავემართე წყლისაკენ და საჩქაროთვე ავბრუნდი ჩემ თხრილში. ეს ამბავი ამხანაგებს ვუამბე. ყველას რაღაც სერიოზული სახე მიეღო, ყველა თავის ფიქრს წაეღო. მეც, ჩემის მხრით, ფიქრებმა წამიღეს. ამგვარი ფიქრები, მგონი, მხოლოდ საიქიოს მიმავალს თუ მოსდის.

მთელმა ჩემმა ხანმოკლე ცხოვრებამ სინემატოგრაფივით გაირბინა ჩემს თავში. დაბინდდა. ამოვიღე ჩემი არყის ბოთლი და ერთი კარგი ყლუმპი ვუქენი, აგრეთვე ამხანაგებსაც მივაწოდე, რომლებიც გაახარა არაყმა. სრულიად ჩამობინდდა. არტილერია გახურებით მუშაობდა, მტერი, მგონი, წმინდა ბარბალეს „პლატოზე“ მოგროვილიყო[44], როგორც ამბობდნენ, და იქიდგან საჩ-

.... ———————————————— ....

[44] თბილისის თავდაცვის ცენტრალური სექტორის სოღანლუღის მონაკვეთი, დღევანდელი ზემო და ქვემო ფონიჭალა, ასევე მისი მიმდებარე ტერიტორია.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქაროთ იშლებოდა „ჯაჭვათ“. ჩვენ არტილერიას ამოეღო სწორი მიზანი და როგორც გიჟი, განუწყვეტლივ ისროდა ოთხ-ოთხ ყუმბარას ერთად. როგორც ამბობდნენ, მტერი ვერ ასწრებდა განაწილებას და ყუმბარები შიგ ჯარისკაცებში **[გვ.49]** სკდებოდა. მათი არტილერიაც პასუხს იძლეოდა ენერგიულად. ჩვენ აშკარათ ვხედავდით, თუ როგორ მირბოდნენ ბოლშევიკები თითო-თითო და როგორ ხტებოდნენ თხრილში, რომელიც ჩვენზე ასე 600 ნაბიჯის მოშორებით იყო და რომელიც, არ ვიცი, ცარიელი იყო, არ ვიცი სტრატეგიულის მოხმარებით, არ ვიცი ჯარის უქონლობით. ერთი სიტყვით, ფაქტი ფაქტი იყო: ჯარისკაცები თანდათანობით ეწყობოდნენ თხრილში, ჩვენ კი თითის გაყოლებით ერთმანეთს ვუჩვენებდით მის სირბილს. უთუოდ მიზეზი იმისა, რომ განკერძოებულათ არ ვესროდით თითო-ოროლა ჯარისკაცს, ტყვიის უქონლობა იყო. როგორც გავიგე, ამ გახურებულ არტილერიას ცეცხლის დროს ყუმბარას მოეკლა კაშევარი ერთი, სანიტარი, მგონი, ვიღაც „გოზალოვი“, რომელიც მაზნიაშვილის შტაბთან იყო, მოეკლა ყუმბარას და მეორე სანიტარი კი დაეჭრა. თხრილში არავინ დაზიანდა.

ამავე დროს, ყოვლად შეუძლებელია იმ აღფრთოვანების დაწვრილებით აღწერა, რომელიც განვიცადეთ 24 თებერვალს საღამოთი[45]. ეს უკვე ზეადამიანური იყო. ჩვენ არავის ნება არ გვქონდა გასროლისა. უნდა მოგვეცადა, რომ მტერი მოახლოვებულიყო 150 ნაბიჯზე. ჩვენი ლეიტენანტი დადიოდა თხრილში, **[გვ.50]** გვათვალიერებდა და თითქო მდგომარეობის აბუჩად ასაგდებად გვირიგებდა ჯარისკაცის საჭირო მასალას, ვისაც რა აკლდა. მე მწარედ მეცინებოდა და, მიუხედავათ ამისა, გამოვართვი ქვაბი საჭმლის, რომელიც არ მქონდა. ზოგიერთმა ნიფხავი გამოართვა და ასე ...

ჩვენდა საკვირველათ, უცებ ძლიერ წამოთოვლა. თითები ყველას გაგვეყინა. თოფებზე ხელის მოკიდება ჯოჯოხეთი იყო. რკინა გაყინული იყო. ამ დროს ერთბაშათ მოისმა მტრის ტყვიისმფრქვეველების „ლაპარაკი“. ტყვიებმა სისინი დაიწყეს, ყველანი ჩავიკუზენით. ტყვიები ტყაპატყუპით ეცემოდა ჩვენს უკან. ამ დროს მაიორმა, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, არ ვიცი და რომელიც კარგა ხანში შესული იყო და სამაგალითოდ იქცეოდა, ჩამოგვიარა. ჟესტის საფრები, რომლებიც ქარის წინააღმდეგ, შემდეგ თოვლის წინააღმდეგ გვქონდა და რომლებიც ძლიერ ავიწროებდა თხრილს, წიხლებით ჩაგვინგრია. სუყველა დაგვათვალიერა და გვიბრძანა თოფის მომარჯვება და მზათყოფნა. წამსვე ბრძანება ასრულებულ იქნა. ყველანი მოველოდით დიად მომენტს,

.... ———————————— ....

[45] 24 თებერვალს თბილისის თავდაცვის ცენტრალურ სექტორს უტევდა წითელი არმიის მეცხრე მსროლელი დივიზიის 25-ე ბრიგადა, მეთვრამეტე მსროლელი დივიზიის 54-ე და მეოცე მსროლელი დივიზიის 58-ე ბრიგადის ნარჩენები, ასევე მძიმე არტილერიის ერთი დივიზიონი. თუმცა აღნიშნული შენაერთების ნაწილი უტევდა ასევე თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორის ტაბახმელის მონაკვეთს, კერძოდ, სტრატეგიულ სიმაღლე 1046-ს. აქვე უნდა ითქვას, რომ ძირითად შეტევას, 19 თებერვლის ღამისგან განსხვავებით, რუსული ნაწილები მაზნიაშვილის სექტორის წინააღმდეგ აწარმოებდნენ არა სოღანლუღში, რკინიგზის გასწვრივ, სადაც იბრძოდა მოხალისე გივი ღამბაშიძე, არამედ სექტორის სამხრეთ ნაწილში, შავნაბადას მონასტრის სიმაღლეებისაკენ. მთლიანობაში კი 24 თებერვალს მტერი, ძირითადად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდგარ ქართულ ნაწილებსა და თელეთის ქედის სტრატეგიულ სიმაღლეებს უტევდა (Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, с. 392-396).

საქართველოს ეროვნული არქივი

როდესაც ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა, თბილისი დაეცემოდა ან მტერი, მგონი, მე-5-თეთ უკუქცეულ იქნებოდა. ამ დროს მახსოვს ერთი [გვ.51] სასაცილო ანეგდოტი ჩემს თავზედ, რომლებსაც ხშირად მიმეორებენ ნაცნობები: ჩემს უკან თხრილში მქონდა შენახული არაყი და კამფეტები. არაყი წამსვე ვყლუნწეთ, კამფეტები კარგა ბლომად იყო. დავავლე ხელი და შევფიქრდი, არ ვიცოდი, სულ შემეჭამა თუ შემენახა. შემდეგ გადავწყვიტე, რომ შემეჭამა, რადგან, ვინ იცის, ცოცხალი დავრჩებოდი თუ არა. დავავლე ხელი და სულ მუჭებით ვიყარე პირში. ყველაფერი ეს გაცხარებული სროლის დროს მოხდა ჩემდა სასაცილოთ. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიფიქრე: მოდი, რაიმე წერილს დავწერ უკანასკნელათ, ვინ იცის-თქო. არაყი ცოტა შემიჭიკჭიკდა და რაღაც უცნაურ გუნებაზედ ვიყავი. ამოვიღე ჩემ[ი] წიგნაკი, რომელიც მამამ გამომიმგზავნა დღიურის დასაწერად და ღამეში მექანიკურათ თოვლის დროს დავსწერე შემდეგი:

„ჩიჩერინივით[46] გწერთ: ყველას! ყველას! ყველას! თქვენი გამოგზავნილი ორი ამანათი მივიღე, რამაც ძლიერ მასიამოვნა, მაგრამ, ვინაიდგან ბრძოლამდე ბევრი დრო აღარ დარჩა, არ გამომიზოგავს, ერთიანად შევსანსლეთ. ეს უკანასკნელი წერილი შეიძლება დაიწეროს უბოლოოდ. ადამიანი, როდესაც მიადგება საიქიოს კარებს, მას ბევრი რამ აგონდება ამქვეყნიური ცხოვრების.

ბრძოლა დაიწყო. უკაცრავად, ამ სიტყვისათვის, მაგრამ მაგ ვირისთავებმა უკვე [გვ.52] შემოგვიტიეს, ჩვენ მიერ გათხრილ წინა ტრანშეებში ჩასაფრდნენ და იქიდან განკერძოებული სროლა დაგვიწყეს. ჩვენ ვდგევართ თბილისის ასაღებ სიმაგრეების I ხაზში. თუ ჩვენი ტრანშეა აიღეს, თბილისიც დაიღუპება, მაგრამ ძალიან ბევრი ვართ. აუარებელი ტყვიისმფრქვეველები გვაქვს. უკეთუ ისინი თბილისს აიღებენ, ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიკები ჩვენს გაციებულ გვამებზედ გადაივლიან. მამა, მათ ხელში ტყვედ ჩავარდნას ხომ იცი, სიკვდილი სჯობია. ამიტომ იყო, რომ მინდოდა რევოლვერის წამოღება. ჩვენი არტილერია ძლიერ ენერგიულად ესვრის მათ სანგრებს, ისე, რომ ყურები იჭედება ზუზუნით. მათმა არტილერიამაც მოსძებნა ჩვენი ბატარეა და ეხლა ისინიც ძლიერ გვესვრიან. გამარჯვება რომ ჩვენ ხელში დარჩება, ეს ცხადია და თუ დავმარცხდით, მაშინ მშვიდობით, 3 წ. სამშობლოვ.

სხვათა შორის, 4 ჯავშნოსანი მოგვადგა[47], ჩვენი 3-ია[48].

.... ———————————————— ....

[46] გიორგი ჩიჩერინი (1872-1936) - რუსი რევოლუციონერი და საბჭოთა დიპლომატი; 1905-1918 წლებში იყო მენშევიკი, ხოლო 1918 წლიდან - ბოლშევიკი. 1918-1923 წლებში მას საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის, 1923-1930 წლებში კი სსრკ-ის საგარეო საქმეთა კომისრის თანამდებობა ეკავა.

[47] სავარაუდოდ, ავტორი გულისხმობს რუსულ ჯავშნოსან მატარებლებს, რომლებიც ფოილოს სარკინიგზო ხიდის აღდგენის შემდეგ შემოვიდნენ საქართველოში და 24 თებერვალს მოადგნენ თბილისს. რუსული ჯავშნოსნები უტევდნენ თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორს, რაც კარგად გამოჩნდებოდა იმ ადგილიდან, სადაც მეშვიდე ათასეული იყო განლაგებული. მეთერთმეტე არმიის ჯავშანძალებში ირიცხებოდა ხუთი ჯავშნოსანი მატარებელი (№5, №7, №94, №77, №61), აქედან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო ოთხმა. ჯავშანმატარებელი №77 არმიის ზურგის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაბრუნდა აღსტაფაში (В. Зун. Бронесилы 11-й армии в борьбе за освобождение Грузии. Механизация и моторизация РККА. 1936 г. #2, с.18, 21).

[48] ომის დროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 4 ჯავშანმატარებელი ჰყავდა: „რესპუბლიკელი“, „მუშა“, „სიკვდილი ან გამარჯვება“ და „თავისუფლების სიმაგრე“ (დიმიტრი

საქართველოს ეროვნული არქივი

დღეს შეიძლება გადასწყდეს ყოველივე. დღიურის დაწერა წესიერად ვერ მოვახერხე, უკეთ რომ ვსთქვათ, ვერ ვასწრებთ. თუ ვინიცობაა, დავიჭერი და ასე ადრე არ გავფრინდი საიქიოს, ბევრ რამეს მოგიყვებით, მაგრამ წინადგრძნობა უფრო უარყოფითი მაქვს. ყოველ შემთხვევაში, უნდა გითხრა სიმართლე, რომ მე მეგონა, ომი უფრო მეტს მღელვარებას გამოიწვევდა ჩემში, მაგრამ არა. შალიკო მაყაშვილი ძლიერ დამაკლდა, ბევრი უსიამოვნო წუთები გავატარეთ ამ ნახევრათ საფლავ თხრილებში, მაგრამ **[გვ.53]** საქართველოს ბედი ამას მოითხოვს. მაშ, ვინიცობაა, მე მომკლან, იყავით ყველანი კარგად და თუ ბოლშევიკებმა ბოლოს მაინც დაგვძლიეს, მაშინ გირჩევნიათ წახვიდეთ ინგლისში ან სადმე სამშვიდობოს. ნეტავი ვიცოდე, როგორ გათავდება ჩემი ... აღსანიშნავია, მამა და დედა-დებო, რომ ყოველი ქართველის ბოლო თბილისის მიდამოებია. მაშ, ბევრს არას გაგიგრძელებ, მშვიდობით იყავით ... გაუმარჯოს საქართველოს! ჩვენ საყვარელ სამშობლოს, იმ სამშობლოს, რომლისთვისაც მე ვეწირები, გკოცნით ყველას ძლიერ, გივი ღამბაშიძე, 1921. II (არ მახსოვს).

თბილისის მიდამოები სოღანლუღის პოზიციები. გ. ღამბაშიძე,

ჯარისკაცი მე-7 ათასეულის მე-5 გუნდის ოცეულის“.

ეს იყო ჩემი წერილი ჩემ მშობლებთან. ამ წერილით მე შემიძლიან განვიხილო ჩემივე თავი ბრძოლის წინ, თუ როგორი იყო ჩემი სულიერი განწყობილება. ბედნიერათ ვსთვლი ჩემს თავს, რომ ეს წერილი შევინახე და ის წიგნაკი, რომელიც ჯარისკაცის ტანსაცმელში მქონდა, ეხლაც თანა მაქვს იმ დრომდის, როდესაც მეორეთ იმავ თხრილში ამავე წიგნაკით, იმავე მტრის განსადევნათ მივბრუნდები ჩემს სამშობლოში. **[გვ.54]** წერილი დავსწერე ფრანგულათ, მივაწერე: „Tous les nôtres aurevoire je meurs pour la Géorgie“[49]. დავკეცე წიგნაკი და ჩავიდე ჯიბეში. ტყვიები უსიამოვნოთ სისინებდნენ და ტყაპატყუპით ეცემოდნენ ჩვენ უკან. ამას გარდა, ვერასოდეს ვერ ავწერ იმას, თუ რას განიცდის ჯარისკაცი სროლის წინ: მთელი ცხოვრება სინემატოგრაფივით ივლის თვალწინ, ყოველი წარსული ცხოვრების წვრილმანიც კი გახსენდება. ცოტა გენანება ასე ახალგაზდას სიკვდილი, შემდეგ სისხლი თავში ადის, ლოყებზე ცხელა.

ამხანაგები ერთიმეორეს ელაპარაკებიან, ერთიმეორის იმედით ვართ. ოფიცრის ბრძანების წინააღმდეგ ვცდილობთ ერთიმეორესთან ახლო ყოფნას. ვეუბნებით ერთიმეორეს: თუ დავიჭერი, შემიხვიე და თუ დაიჭერი, მე შეგიხვევ. სიკვდილი ისე არ გეძნელება. ერთადერთი ნატვრა არის: შენ სახლში წაგიღონ და ძაღლივით დაკარგულათ არ მოკვდე.

ბინტებს ვიღებთ, ბამბას ვიყობთ, იოდს ვირიგებთ. მე პირსახოციც ჩავიდე

.... ———————————————— ....

სილაქაძე, პირველი რესპუბლიკის ჯავშანმატარებელთა რაზმი, ჟურნალი „ისტორიანი“, 2013 წ., N5, გვ.55). ჯავშანმატარებელთა მოვალეობას შეადგენდა ზურგში რკინიგზის კონტროლიც და ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ოთხივე ჯავშნოსანი არ იბრძოდა ორხევის ფრონტზე.

[49] „გემშვიდობებით, ვკვდები საქართველოსთვის“ (ფრანგულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

ჯიბეში და ყველანი გავირინდეთ. თუ რას განვიცდიდით და რას განვიცდიდი პირადათ მე, ამის აღწერა ყოვლად ძნელია. ეს განცდა ზეადამიანურია. ნორმალურ პირობებში ამას ადამიანი ვერ განიცდის და ვისაც ეს წამი არ განუცდია, ის ვერ გაიგებს ამ მომენტს. თითქოს [გვ.55] სიზმარში ხარო!..

მტერმა დიდხანს გვესროლა განუწყვეტლივ. ჩვენ ტყვიების ჩადების ბრძანება არ გვქონდა ჯერ მოცემული. მტერი როდესაც 100-150 ნაბიჯის მანძილზე მოვიდოდა, მხოლოდ გვქონდა ნება სროლისა.

ღამის 11 ½ იქნებოდა, ყველანი სულგანაბულნი ველოდით დიად მომენტს. თითები სველ ჩახმახზე გვეყინებოდა. თოვლის ფიფქები თვალებში გვივარდებოდა. მტერი ჯერ შეტევაზე არ გადმოდიოდა, უცებ მოისმა ლეიტენანტ სერგო ჩახუნაშვილის ბრძანება, ბარგი-ბარხანა აიღეთო, შემდეგ დაიყვირა: „პირველო ოცეულო, იარ!..“ პირველი ოცეული დავიძარით, ჩვენ ადგილას მეორე ტრანშეიდგან ახალი ჯარისკაცნი ჩადგნენ, ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ან შეტევაზე გადავდივართ, ანდა სხვა პოზიციისაკენ გვაგზავნიან. როდესაც მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც ტრანშეა თავდებოდა და მოთავსებული იყო ტელეფონი და ტყვიის ყუთები, კიდევ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ სხვა ადგილს მივდივართ. ვინ იფიქრებდა, თუ ასეთ დიად მომენტს ასე უბრძოლველათ, ასე ლაჩრულათ მოვხსნიდით ფრონტს. ორ-ორ ჯარისკაცს თითო ყუთი მოგვცეს და გვიბრძანეს რკინისგზის ლიანდაგზე დაშვება. არავინ არ იცოდა, რა ხდებოდა. ყველა ერთიმეორეს ეკითხებოდა [გვ.56]. რაღაც ყველა მოიშალა. ისმოდა ოხვრა. მე და ჩემი ამხანაგები შევეკითხეთ კაპიტანს, სად მივდივართ-თქო: „Это вас не касается“[50], გვიპასუხა მკვახედ რუსულად. ჩვენ გავჩუმდით. კიდევ არ გვეგონა, თუ უკან ვიხევდით, მაგრამ ვაი, რომ 3 წამში ყველაფერი ვიცოდით.

ისმოდა დედის გინება, ოხვრა, ტყვიის ყუთები თოვლში მიგორავდა. ჯარისკაცებს აღარ უნდოდათ მისი თრევა. მართლაცდა, რათ ღირდა მისი თრევა. იქ, სადაც საჭირო იყო, ერთი ტყვია არ გაგვასროლინეს! ... შავი ტალღა ჯარისა გაემართა სოღანლუღის ხიდთან, სადაც ერთი საბრალო ორთქმავალი საბრალოდ ქშინავდა. ორი ჭლექიანი ვაგონი ჰქონდა მობმული. ვისაც რა გვქონდა: ტყვიის ყუთები, ტყვიისმფრქვეველები, ტელეფონის ყუთები, ყველამ უგულოთ ჩავყარეთ ვაგონებში. ხიდზე გასვლა დაგვაჩქარეს. ორთქლმავალი წავიდა თბილისისაკენ და რა ხდებოდა ამ დროს ჩემში, ვერასოდეს ვერ ავწერ და არც აიწერება.

უცებ დედამიწა საშინლად შეინძრა. ყველამ მოვიხედეთ უკან, სოღანლუღის რკინისგზის ხიდი, ვეებერთელა, საზარლად ჩაიშალა მტკვარში. ამ წამიდგან როგორც ჩვენი სამშობლო, საქართველო, ისე ქართველი ერი სამუდამოთ დაიღუპა, ჩარხი უკუღმა გადატრიალდა, საქართველოს შვიდივე [გვ.57] ვარსკვლავი ჩაქვრა, თეთრი მერანი უფსკრულში გადავარდა და თეთრი გიორგი სირცხვილით გაწითლდა და გაჰქრა ...

მეტად ვრცელი, მეტად ძნელი და ზეადამიანურია ის განცდა, რომელიც ჩვენ ვიგრძენით იმ დროს, როდესაც ხიდი ააფეთქეს და საბოლოოდ გავიგეთ,

.... _____ ....

[50] „ეს თქვენ არ გეხებათ“ (რუსულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

რომ ვიხევდით, ამიტომ დეე, მკითხველმა წარმოიდგინოს, თუ რას განიცდიდა იგი ჩვენ ადგილას: ამდენი მსხვერპლი, ამდენი აღფრთოვანება, ამდენი ენერგია; ყველაფერი გაჰქრა, ჩაქრა, წავიდა ... თბილისს დამშვიდებით ეძინა, მას ჯერ არ გაეგო თავისი სიკვდილი. წყნარი ქუჩები სრულის ნდობით გამოიყურებოდნენ. აქა-იქ ფანჯარა იღებოდა. გვკითხავდნენ ამბავს, ჩვენ ვატყუებდით ციხიკურათ; ვატყუებდით ჩვენ ხალხს, სამშობლოს, ჩვენ დაძმას, იმათ, ვინც ასეთის აღფრთოვანებით გაგვაცილეს ბრძოლის ველზე; იმათ, ვისაც ასეთი იმედი ჰქონდათ ჩვენი. საბედნიეროთ, ღამე იყო. ჩვენს სირცხვილით გაწითლებულ სახეს არა ვხედავდით. მიკვირს, თოვლი როგორ არ გაწითლდა სირცხვილით, მაგრამ, არა, თოვლი მაშინ წითლდება, [გვ.58] როდესაც სამშობლოსათვის დაქცეულ სისხლს სვავს და არა როცა მხთალი იპარება ღამე.

აქ შევჩერდები და მშრალათ აღვწერ ყოველივეს, რაც კი ვნახე, ავსწერ ყოველივეს მართალს, კარგს და გლახას. ჩქარის ნაბიჯით გავემართეთ კახეთის რკინისგზის ნავთლუღისაკენ, აეროდრომისაკენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ქალაქს, მით უფრო იჭედებოდა ჯარით ქალაქის განაპირა მკვდარი ქუჩები. მწყობრი აიშალა, სხვადასხვა ნაწილის ჯარისკაცები ერთმანეთში დომხალივით ავირიეთ. ისმოდა დედის გინება, ოხვრა, ლანძღვა, ეხლაც არ ვიცი, ეს დამარცხებული ჯარი ვის ლანძღავდა: თავის თავს, მტერს თუ ბედს ...[51]

კახეთის ფართე ქუჩას რომ მივაღწიეთ, გავლა აღარ შეიძლებოდა: „ფურგონები“, ზარბაზნები, კერძო პირების ეტლები, ქვეითი, ზეითი ჯარი ერთმანეთში ირეოდა. სიმართლე რომ ვთქვა, ამ დროს არაფერს არ ვფიქრობდი. ჩემი ტვინი არ იყო საკმარისი ძლიერი, რომ მომენტი აეწონ-დაეწონა. თითებგამოყრილი მივჭყაპუნობდი იქ, სადაც მთელი ჯარი მიდიოდა. აღარც კაპიტანი, არც ნაცვალი, არც ოცისთავი; სუყველა გაჰქრა ...

მოვახწიეთ კახეთის მოედანს ... ისმოდა ყაზარმებში რაღაც ბრახაბრუხი, ლეწვა. რამოდენიმე ხნის [გვ.59] შემდეგ ჭიშკარში გამოჩნდა რამოდენიმე ჯარისკაცი; თეთრეულით გაევსო საბანი. ნახევარი ტალახში ეთრეოდა და სულელივით აქეთ-იქით იყურებოდა, არ იცოდა, რა ექნა ამ ტვირთით. სხვები განაგრძობდნენ „ჩიხაოს“ მტვრევას. ეს რომ დავინახე, ძალიან მეწყინა. თითქოს ჩვენვე ვარბევდით საქართველოს, მაგრამ ვიღაცამ წამოიძახა: სულერ-

.... ———————————————— ....

[51] თბილისის დატოვების საკამათო გადაწყვეტილება მიიღო მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ. ამ გადაწყვეტილების სისწორის შესახებ დავა დაიწყო ბრძანების გაცემიდან და დღემდე არ დასრულებულა. გენერალი კვინიტაძე მიიჩნევდა, რომ თბილისი ალყაში ექცეოდა. მას კი ერთი ჯარისკაციც არ ჰყავდა რეზერვში ფრონტის ცარიელი მონაკვეთების შესავსებად, ამიტომ ალყაში ჩავარდნასა და ჯარის განადგურებას, არჩია უკანდახევა, ჯარის მასის გადარჩენა, შემდეგ მტრის დამარცხება და თბილისის დაბრუნება. ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ კვინიტაძის გადაწყვეტილება იყო ნაჩქარევი, ერთპიროვნულად მიღებული და დედაქალაქთან მყოფი მოწინააღმდეგე არ იყო იმ ძალის, რომ ქალაქი ალყაში მოექცია და აეღო. რომელი მხარის არგუმენტებიც უფრო წონადი არ უნდა იყოს, ერთი რამ ნათელია, რომ დედაქალაქის დაცემამ საბრძოლო სულისკვეთება მნიშვნელოვნად დასცა. ამის უამრავი მაგალითი გივი ღამბაშიძის მოგონებებშიც არის მოთხრობილი.

საქართველოს ეროვნული არქივი

თია, ბოლშევიკებს დარჩებათ, სჯობია ისევ ჩვენმა ჯარისკაცებმა წაიღონო. დანამდვილებით არ ვიცი მხოლოდ: მგონი ზოგან დუქნებიც ჩაელეწათ.

მივედით კახეთის მოედნის იმ ადგილას, სადაც ქუჩა ორ შტოთ იყოფა. სწორეთ იმ ქუჩასთან, საიდგანაც ფრონტზე მიმავალნი ისე თამამათ და აღფრთოვანებით გამოვედით კახეთის მოედანზე მეტეხის დაღმართზე ჩასასვლელათ. ერთ სამიკიტნოსთან ვეებერთელა „ბოჩკები“ ეწყო. ვიღაცას ჩაემტვრია „ბოჩკა“, ღვინო ღვარივით გადმოდიოდა და ქუჩის ნაპირას მიჩუხჩუხებდა. რამოდენიმემ მოვიხსენით ჩვენი „კრუშკები“ და გავექანეთ ღვინისაკენ. წყურვილით ვიხოცებოდით, მაგრამ ამ დროს განზე გახტნენ რამოდენიმე ჯარისკაცი, თოფები მოგვიღერეს და ერთ-ერთმა მკაფიოდ დაიყვირა: „ამხანაგებო, წესიერება ... დეე, მტერმა რაც უნდა ისე ჰქნას, მხოლოდ ჩვენ ნურაფერს ჩავიდენთ. **[გვ.60]** წესიერათ დავიხიოთ“. ამასობაში, უკან მოგვაწვა ახალი ტალღა ჯარისკაცებისა და საშინელის ჩქარის ნაბიჯით მივრბოდით იმ ქუჩებში, სადაც ხალხმა ასეთის აღფრთოვანებით გაგვაცილა. ოფლი ღვარივით გვდიოდა, მივახწიეთ არსენალს, სადაც ... მაგრამ არ ღირს ... ჩავუარეთ არსენალს, დავეშვით ავჭალის ქუჩაზე. ბევრი ჯარისკაცი ჩამოგვშორდა, თითქმის ყველა თბილისელი და კახელი ჩამოგვაკლდა.

მივახწიეთ დიდუბის ეკლესიას. ნახევარი ჯარიც აღარ სჩანდა. თოვლში თოფები ეყარა. რამოდენიმე ჯარისკაცი ერთმანეთში ვაჭრობდა, დავბრუნდეთ თუ წავიდეთო. ვინც თბილისში ბრუნდებოდა, თოფს თოვლში სროულობდა და არხეინათ მიდიოდა. ჩემი მასწავლებელი ქართული ენის, რომელიც ჩემთან ერთად იყო ოცეულში, გაბრუნდა თბილისში. ამან ძლიერ დამაღონა, ვინ იცის, ამდენი ხალხი რომ არ მოგვკლებოდა, მცხეთის ვიწრო კლდეებში მტერს ყოფას ვუტირებდით. გავემართეთ რკინისგზისაკენ, უკანასკნელი ორთქლმავალი, უკანასკნელი მატარებელი დინჯათ მისრიალებდა. სწორეთ ის დრო იყო, როცა დღე და ღამე იყრება. ბევრი ჯარისკაცი მატარებელს ახტებოდა. მეც შევახტი მატარებელს იმ აზრით, რომ ავჭალაში მოვუცდიდი ჩემ ამხანაგებს, **[გვ.61]** რომლებმაც ვერ მოახერხეს შეხტომა.

მთელი რკინისგზის ლიანდაგი მოფენილი იყო ჯარით და თბილისის იმ მცხოვრებლებით, რომლებსაც ძლივს გაეგოთ დახევის სამარცხვინო ამბავი და ჯარში გარეული მორბოდა ჩვენთან ერთად. მატარებელი ავჭალაში გაჩერდა, იქ კიდევ აუარებელი ჯარი იყო. გოგვაძე[52] ერთი ჯავშნიანი მატარებლით

.... ———————————————— ....

[52] იგულისხმება ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე (1880-1954) - ქართველი რევოლუციონერი და სამხედრო მეთაური. მის გვარს ხშირად გოგვაძედ წერდნენ; 1900-1902 წლებში მსახურობდა რუსულ ჯარში; 1903 წლიდან ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას; ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ტერორისტად და შიშის ზარს სცემდა მეფის რუსეთის მოხელეებს. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ აქტიური სამხედრო სამსახური დაიწყო გვარდიაში; დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მონაწილეობდა თბილისის არსენალის დამცველი რუსული რაზმის განიარაღებაში, ჩამოაყალიბა ჯავშნოსანი მატარებლების რაზმი, მონაწილეობას იღებდა კავკასიის ფრონტის რუსული არმიის კავკასიიდან გასვლის პროცესში. 1918 წლის 7 აპრილს (ძვ. სტილით) მისი ჯავშანმატარებლის მანევრი უმთავრეს ამოცანას ასრულებდა ჩოლოქის ბრძოლაში და ოსმალური არმიის 37-ე დივიზიის დამარცხებაში, რის გამოც ვალოდიას რევოლუციის პირველი მხედრის სიმბოლური წოდება მიენიჭა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მეთაურობდა სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებელთა რაზმს. პერიოდულად იყო რკინიგზის

საქართველოს ეროვნული არქივი

იდგა ავჭალის სადგურზე. შორს, ორივე მხარეს მტკვრისა, მოსჩანდა გაუთავებელი ზოლი ჯარისა, ფურგონების, ზარბაზნების, სანიტარული რაზმების და ავტომობილების. ეს სურათი ეხლაც სიზმარივით მიტრიალებს თავში, მინდა, ყველაფერი ავწერო, მაგრამ სული წინ მირბის, კალამს არ აცდის, ისეთ აღელვებას იწვევს ეს სურათი და მოგონება ჩემში. ერთი კი ნათლად მახსოვს: სისხლი თავში მქონდა ავარდნილი.

გავედი სადგურის უკან და ამხანაგების მოლოდინში ჩემი დაგლეჯილი ფეხსაცმელები გადავყარე და ქალამნები ჩავიცვი. ვიდექი გარეტიანებული სადგურის უკან და ვათვალიერებდი ჯარის სხვადასხვა ნაწილებს. ჩემ გუნდს ვუცდიდი, რამოდენიმე ამხანაგი მოვნახე, მთავარი ნაწილი უკვე შორიახლოს მოჩანჩალებდა. ავჭალის სადგურთან რომ რიყეა, ისღა ჰქონდათ გამოსავლელი. **[გვ.62]** ჩემ თავს უხერხულად ვგრძნობდი უცხო ნაწილებში. მოუთმენლად ველოდი ჩემს გუნდს, რომელიც გაღმა მოდიოდა. ამ დროს შიგ ჩვენ შორის გიჟებივით ჩამოირბინეს ყაზახებმა. ყველას რევოლვერები, თოფები და ტყვიისმფრქვეველები მოეღერებიათ ცხენებზედ, არავინ არ იცოდა, თუ რაში იყო საქმე, ტყვია წვიმასავით გადმოსისინდა, ავჭალის სადგურის უკან რომ ჩირგვნარია. მე ეს ყაზახები[53] თერგის განმათავისუფლებელი კომიტეტის რაზმელები მეგონა, რომელიც (!) ასე მამაცურათ იქცეოდნენ დაზვერვის და ბრძოლის დროს, მაგრამ, საუბედუროთ, სწრაფათ გავიგე, რომ ესენი ჩვენი ყაზახები კი არ იყვნენ, არამედ იმ ყაზახთა ნაწილი, რომელიც გორაკში ამოფარებული ტყვიისმფრქვეველებით გვაყრიდა ტყვიას. მე ჯერ ყაზახები ვერ გავარჩიე, მითხრეს, რომ ავჭალაში თავს დაგვიარეს, რომ ჯარი ოხრათ გაწყდა, აღარაფერი საშველი აღარ არის. ჩემს გუნებაში გადავსწყვიტე, რომ ჩვენ მოვემწყვდიეთ იმ რკალში, რომელიც თბილისს უვლიდა, რომლის მიზეზითაც, როგორც შემდეგ გავიგეთ, უკან დავიხიეთ.

ამოვიღე ერთი „აბოემა“, ხუთი ტყვია ჩავყარე თოფში, მივეცი ტყვია პირში, კიდეც მოვიმარჯვე თოფი იქით **[გვ.63]** სასროლათ, საიდანაც ტყვია მოდიოდა, რომ ვიღაც ქალმა, მოწყალების დამ, საზარლათ დამიკივლა რუსულათ უკან: „Что вы делаете?“[54]. ამან გამომარკვია. მოვტრიალდი უკან. ტყიდან სროლა შეჩერდა. რიცხვს სისწორით ვერ ვიტყვი, ასე 30 კაცმა დაგვიარა

.... ———————————— ....

კომენდანტი. მონაწილეობდა დამოუკიდებლობის პერიოდში წარმოებულ ბრძოლებში, მისი რაზმი ქართული არმიის დამრტყმელ ძალა იყო. იქ იბრძოდა ვალოდიას სამი ძმა: ნოე, მელენტი და ალფესი. ალფესი N4 ჯავშნოსანს მეთაურობდა. გოგუაძემ და მისმა რაზმმა ლეგენდარული მეომრების სახელი დაიმკვიდრეს რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. 1921 წლის 16 მარტს, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომის ბედი ასი პროცენტით გარკვეული იყო, ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურმა ვალოდია გოგუაძემ ნიგოეთიდან ბათუმში მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ჯავშნოსანი მატარებლებით მოგესალმებით. რაზმი ფიცსა სდებს თქვენს წინაშე, რომ იბრძოლებს სამშობლოს დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდის!“ იგი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა (სცსა, ფონდი 2113, აღ.1, საქ.70, ფ.1).

[53] ყაზახები/კაზაკები. 1921 წლის ომში ქართულ არმიასთან ერთად მოწინააღმდეგეს ებრძოდა ყუბანის კაზაკთა მცირერიცხოვანი რაზმი (ალექსანდრე ხაბურზანია, ქართულ ემიგრაციაში (1921-1927), თბ., 1962, გვ. 19).

[54] „რას აკეთებთ?“ (რუსულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

სადგურის უკანა მოედანზე. ერთ-ერთს, ეს მკაფიოდ და ნამდვილათ მახსოვს, ვეებერთელა „ნაგანი“ მოეღერა ჩემსკენ, შემოატრიალა ცხენი, მიგვჭყლიტეს ორღობისაკენ და სიცილით დაგვიწყეს ლაპარაკი: „Не бойтесъ ... это наши там ... сложите ружья и ступаете ...“[55]. ერთ-ერთს წითელი დროშა დახვეული ამაყათ ეჭირა, უზანგზე დარჭობილი. სამაგალითოდ ეცვათ კრიალა ნაბდები, რგვალი სუქანი ცხენები, დურბინტები და ხელის ტყვიისმფრქვეველები, სი[ს]ტემა „ლუიზისა“[56].

როდესაც ორღობეში მოგვჭყლიტეს, მაშინაც არ ვიცოდი მე და მეგონა, ჩვენივე ყაზახები გვაყრევინებენ იარაღს, რათა ბოლშევიკებმა არ ამოგვჟლიტონ, მეტადრე როცა იძახდნენ: „Ничиво не будет, только сложите ружья и идите, куда угодно“[57]. ყოველივე ეს ისე სწრაფათ მოხდა, რომ სისწორით ვერ ავწერ. მხოლოდ ის კი ვიცი, რომ 200 კაცმა (დედაკაცმა) ერთ ადგილას მთასავით დავყარეთ იარაღი, „შტიკებიც“ კი. რამოდენიმე ყაზახი **[გვ.64]** ეცა წითელი ჯვრის ეტლს, რომელიც სავსე იყო მოწყალების დებით, წაავლეს ცხენებს აღვირში ხელი, მიატრიალეს თხილისაკენ: „Куды вы поперлы?“[58] ძახილით წამსვე სადგურის უკანა ადგილი დაიცალა. გაღმა ჯარი შეჩერდა. წინ მხოლოდ ზარბაზნები მოდიოდნენ. ეტლები დაეშვნენ რიყეში. ამ დროს სწორეთ იმ ადგილას, სადაც 200-300 კაცამდე ასე იარაღაყრილი ვიდექით, წვიმასავით წამოვიდა გორაკიდან ტყვია, ჩვენ გარშემო ალყაშემორტყმული ყაზახები ელვის სისწრაფით გაქანდნენ ნარიყალისაკენ და გაჭენდნენ გორაკისაკენ. ყოველივე ეს ისე სწრაფათ მოხდა, ისე გაუგებრათ. არც ერთი ოფიცერი არ იყო, არავინ არ იცოდა რაში იყო საქმე, რომ ჩვენ თხებისავით დავიბენით. ამ დროს გოგვაძემ მისცხო ტყვიისმფრქვეველი და ყუმბარები გორაკისაკენ. ჩემი გუნდი გაღმიდგან ესროდა იმ ცხენოსნებს, რომლებიც მიაჭენებდნენ გორაკისაკენ. მათ გვითხრეს ბოლოს: ვერსად წახვალთ, აქ ბატარეა და მთელი პოლკი გვყავსო. მოსატყუებლათ თუ მართლა, არ ვიცი. ტყვიები უმეტესად ხიდისაკენ მოსცვივოდა. არ უნდოდათ, რომ ჯარს გამოევლო რიყეზედ. მარჯვენა ნაპირიდგანაც ჯარი ესროდა. **[გვ.65]** მე და კოტე მაჭავარიანი ტუტუცებივით ვიდექით, არ ვიცოდით, რა გვექნა. ძალიან მენატრებოდა გაღმა ჩემ გუნდში, ჩემ ამხანაგებთან ყოფნა, იქ სიკვდილი არ მენანებოდა.

რა შავ ბედზე შემოვახტი მატარებელს. ტყვიები სისინით ერჭობოდნენ იმ კედელს, სადაც ჩვენ ვიდექით და კირი ძირს ცვივოდა. არსაით გასავალი არ იყო, გავექანეთ ხიდისაკენ და 5 არშინის სიმაღლიდგან ჩავხტით ნეხვის გორაკში. შემოვუარეთ ავჭალას და გავექანეთ ხიდისაკენ, რომელიც უნდა აეფეთქებინათ და რომლის გაღმაც ქშინავდა ორი ჯავშნოსანი. ვიმეორებ

.... ———————————————— ....

[55] „ნუ გეშინიათ, ესენი ჩვენები არიან. იარაღი აქ დააწყვეთ და წადით“ (რუსულად).

[56] იგულისხმება „ლუისის“ ტყვიამფრქვევი. ქართული არმია, ძირითადად, შეიარაღებული იყო რუსული „მაქსიმის“ ტიპის დაზგის 1910 წლის ნიმუშისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ბრიტანული „ლუისის“ ტიპის ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევებით. ასევე შეიარაღებულ ძალებს ჰქონდა მცირე რაოდენობის „ვიკერსის“, „ჰოჩკისის“, „კოლტის“ ტყვიამფრქვევები. რუსული არმიაც, ძირითადად, „მაქსიმისა“ და „ლუისის“ ტყვიამფრქვევებით იყო შეიარაღებული.

[57] „არაფერს დაგიშავებთ, მხოლოდ იარაღი დააწყვეთ და წადით, სადაც გინდათ“ (რუსულად).

[58] „საით მიეთრევით?“ (რუსულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი სამხედროები ,,ლუისის" მსუბუქი ტყვიამფრქვევებით.
ქართული სარდლობა ტყვიამფრქვევების როლს თავდაცვითი
ომისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა
[1918-1921 წლები]

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

კიდევ, ყველაფერი ეს ისე სწრაფათ მოხდა, ისე გაუგებრათ, რომ ეხლაც ვერ წარმომიდგენია გარკვევით ნამდვილი გარემოება. დამარცხება დამარცხებათ იყო, მაგრამ იმ დროს, როდესაც ჯარის ¾ გასული იყო რკალს იქით, ტყვეთ დარჩენა არად მეპრიანებოდა.

მე და მაჭავრიანმა გადავსწყვიტეთ, რაც უნდა დაგვჯდომოდა, მაინც გავქცეოდით ბოლშევიკებს და გავექანეთ ხიდისაკენ. ჩვენთან ერთად კიდევ ბევრი ჯარისკაცი მოჭყაპუნობდა მტკვარ-მტკვარ. ხიდამდის მივედით. სანამ ხიდამდის მივიდოდით, გული გვიკვდებოდა ამდენი თოვლში დაყრილი იარაღის ნახვით; პალტოები, ტყვიები, ჯარისკაცებს გამოეხსნათ ცხენები, გაეტენათ ტომრები და მიაჭენებდნენ [გვ.66] თავ-თავიანთ სოფლებისაკენ[59].

ჩვენთან რომ ჯარისკაცები იყვნენ, სულ გასულელდნენ: ზოგს ხუთი თოფი წამოეკიდა, ზოგს მთელი ბოხჩა საცვლებისა. ერთ ადგილას სამზარეულო წაექცია მზარეულს, მთელი სუფი თოვლზე ექცია. ერთ ტაჩკასთან იდგა ვიღაც ჯარისკაცი და გვიძახოდა: „მოდით, ვისაც რა გინდათ, წაიღეთ, სულერთია მაგ ოხრებს რჩებათო“. მეც მივედი ერთ ფურგონთან, შიგ ეყარა თოფები, ტყვიები, საცვლები. ესენი არ მაინტერესებდა, ვინაიდგან რაში გამომადგებოდა. დავავლე ხელი კართოფილებს, რომელიც, საბედნიეროთ, წამოვიღე. ამასობაში ხიდიდგან მორბოდა 8 კაცი, რკინისგზის მუშები, ავჭალელები. მათ სირბილით მოგვაძახეს: ჩქარა გაიქეცით, ხიდს აფეთქებენ, ყველაფერი დავამზადეთო. მაშინათვე გავექანე ხიდისაკენ, გავედით თუ არა, ჯავშნოსნები დაიძრნენ. ზედ არ აგვიშვეს.

ჩქარის ნაბიჯით გავემართეთ მცხეთისაკენ. როგორც სიზმარში, ისე მივდიოდით 24 ღამის 1 საათიდგან ფეხი არ გავაჩერეთ. 60-80 ვერსამდი ამოუსუნთქველათ ვიარეთ. მივედით მცხეთაში. მთელი რკინისგზის ლიანდაგი და მთელი მცხეთა ყვითლად გამოიყურებოდა, მატარებლები სულყველა იქ დაგროვილიყო, ბევრი ჯარისკაცი ჩამძვრალიყო ვაგონებში. ყველა სახლში მიდიოდა. [გვ.67] სამი-ოთხი საათი იყო საჭირო, რომ ჯარისკაცები ძირს ჩამოეყარათ. საშინლათ ცივოდა. თოვლ-ჭყაპი, სიმშილი, სირცხვილი, დამარცხება – ყველა ჩვენ გვდევნიდა. 3-4-ჯერ ავუარ-ჩავუარე მატარებლებს. თბილისის ლტოლვილებს შორის ჩვენებს ვეძებდი, თითქმის ბნელოდა, ისე ჩამოწოლილიყო თოვლის ღრუბლები. როდესაც ვერავინ ვნახე, წავედი სადგურისაკენ. ამასობაში 3-4 საათი გავიდა, ჩემი გუნდი მოვიდა, როგორც შემდეგში გავიგე, ჩვენი გუნდი ავჭალაში მომწყვდეულიყო, ხიდგაღმა. იქიდგან მტრისათვის ეპასუხნათ, საჩქაროთ გადმოევლოთ ხიდი, როდესაც, ყოველ

.... ———————————————— ....

[59] „მცხეთაში ჩვენი ბატალიონის ნაწილებს ბევრი ადამიანი მოაკლდა, დაიწყო დემორალიზაცია, ადამიანებმა შეუმჩნევლად იწყეს თავ-თავიანთ სოფლებში გაკრეფა. ჯარისკაცთა რიგებში ამაზე ღიად არ ლაპარაკობდნენ, და მაინც, ყოველდღიურად ქრებოდნენ ჯარისკაცები, ძირითადად თადარიგიდან. უცნაური სანახავი იყვნენ ახლად მობილიზებულნი (ზოგიერთი 24 თებერვალს გაიწვიეს), რომლებმაც არც თოფის მოხმარება იცოდნენ და, მითუმეტეს, არც საგანგებო სამესანგრეო სამუშაოებისა გაეგებოდათ რაიმე. არც ერთ მათგანს ფეხი არ მოუცვლია და საკმარისადაც ამძიმებდნენ საკვებთან დაკავშირებულ ისედაც მძიმე მდგომარეობას. სამაგიეროდ, უნდა ითქვას, რომ ახლად მობილიზებულნი ბევრად უფრო შეგნებულნი იყვნენ, ვიდრე თადარიგის სამხედროები, ვისაც ადრე რუსეთში უმსახურია“ (იოსებ მამაცაშვილი. გვ.20-21).

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა რუსეთის არმიის შემოსვლა თბილისში
[1921 წელი]

საქართველოს
ეროვნული
არქივი

შემთხვევაში, ააფეთქეს იგი.

შევუერთდი ჩემს გუნდს და წავედით მცხეთაქალაქისაკენ. ყოველი სახლი და ეზო გადაჭედილიყო ჯარით. ჩვენ მივედით მცხეთის კერამიკის სასწავლებელში. იქ I-ლმა ოცეულმა დავიკავეთ ერთი ოთახი, ჩამოვიხსენით, რაც კი რამ გვქონდა და დავიწყეთ საჭმელზე ზრუნვა. აქა-იქ სახლებში აცხობდნენ პურებს და რამოდენიმე ათას მანეთად ვიყიდეთ ერთი ნატეხი, მოვხარშეთ ჩაი და ცოტა მოვისვენეთ. გვითხრეს, რომ მცხეთას იქით არ წავალთ, აქ გავმაგრდებით და შევეცდებით თბილისის დაბრუნებასო. ვაი, რომ ყოველივე ეს ზღაპარი იყო. მცხეთაში მოვნახე ჩემი ამხანაგი შალიკო **[გვ.68]** მაყაშვილი, რომელიც დის დამარხვის შემდეგ ჩემ ოცეულში აღარ დაბრუნდა, მაგრამ, სამაგიეროთ, ქარუმიძის ბატარეიაში ჩაწერილიყო ... მასთან იყო დათიკო გორგაძეც. ორივე მთხოვდნენ მათთან ბატარეიაში გადასვლას, მაგრამ მე ვარჩიე ჩემ გუნდში ყოფნა საბოლოოთ. ამ დროს ერთ-ერთმა ამხანაგმა მომიტანა სუნანას წერილი ჭადით, მას ენახა მცხეთის სადგურზე სუნანა და ჟორჟეტა[60], ეთქვათ ამხანაგისათვის, თუ სად ვიყავი, მან იცოდა ჩემი ბინა. ამან ძალიან მასიამოვნა, მგელივით გავგლიჯეთ ჭადი. ბევრი ვილაპარაკეთ ერთი კლასის ამხანაგებმა, შალიკო მაყაშვილმა, დათიკო გორგაძემ, გიორგი ჯიღაურმა, გრიგოლ ბინანიშვილმა და სხვებმა. ეს ორი უკანასკნელი, ორივე სამაგალითო ზორბა კახელები იყვნენ. ეს ორი ამხანაგი რომ არ მყოლოდა გვერდში, არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი; ორივე უშიშარი, მხიარული და თამამი ვაჟკაცები იყვნენ. როდესაც მათ ვხედავდი, რაღაც კარგ გუნებაზე ვდგებოდი. ერთი მათგანი დედისერთა იყო. მშობლებმა არც კი იცოდნენ, ისე წამოსულიყო ბრძოლის ველზე, ორივე თავის დედ-მამას იგონებდნენ და ხმამაღლა მოსთქვამდენენ, თუ მათი მშობლები როგორ დაიტირებენ მათ.

დაღამდა. ოფიცერმა გვითხრა, რომ ამაღამ შეგვეძლო არხეინათ ძილი. **[გვ.69]** ორმოცამდე ჯარისკაცი, როგორც მოვახერხეთ, ჩავეყარენით ერთ პატარა ოთახში. მალე ყველამ ხვრინვა ამოუშვა, მეც მაგრათ ჩამეძინა.

ასე 2 საათი იქნებოდა, როდესაც გინებამ გამომაღვიძა, ვიღაც მცხეთელ ჯარისკაცს ბლომათ ჩაეხეთქ-დაელია. უგონოთ გადაქცეულიყო და მწოლიარე ჯარისკაცებზე პირიდან ესაქმებინა. მე და ჩემი ამხანაგები წამოვარდით და სიბინძურეში ამოსვრილი გამმოვ[ვ]არდით სუფთა ჰარეზე. მალე ყველას ისევ ჩაეძინა. ვსცადე ოთახში შესვლა, საშინლათ ჰყინავდა, მაგრამ კარების გაღებისთანავე უკან გამოვბრუნდი, ცხელი მჟავე ორთქლი პირში მეცა. გავედი ეზოში, აქა-იქ ცეცხლები დაენთოთ და წამოწოლილიყვნენ. ბევრი ვუტრიალე ცეცხლებს, ვერ მივუდექი, დავავლე ხელი ერთ ფიცარს, ამოვიდე თავქვეშ და

.... ———————————————— ....

[60] ჟორჟეტა ღამბაშიძე (1903-1981) - გივი ღამბაშიძის უმცროსი და. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ – საფრანგეთში. იქ გაიცნო მივლინებაში მყოფი გიორგი ნიკოლაძე, რომელზეც 1928 წელს იქორწინა და საქართველოში დაბრუნდა. გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგ აბელ ენუქიძის დახმარებით დატოვა საბჭოთა კავშირი და 1931 წელს საკუთარ მშობლებთან ჩავიდა პარიზში. 1937 წელს დაქორწინდა შოტლანდიელ პოლკოვნიკ ნილ სტიუარტზე და საცხოვრებლად შოტლანდიაში გადავიდა.

საქართველოს ეროვნული არქივი

მაგრათ ჩავიძინე.

ღამის 3 საათი იქნებოდა, მოვიდა ლეიტენანტი, ჯერ მე გამაღვიძა და მითხრა, ყველანი გამეღვიძებია. ეზოში ყველანი წამოშლილიყო (!), აბავდნენ „ფურგუნებს“. უმეტესი ნაწილი ჯარისა მცხეთიდგან წასულიყო. ჩვენ, როგორც ახალი ათასეული, ბოლოს უნდა გავსულიყავით. მოსალოდნელი იყო მტრის შეხვედრა კავკასიის სამხედრო გზაზე[61]. როგორც იქნა, ყველამ გაიღვიძა, დავეწყვეთ ეზოში, ყველაფერი მოვიკიდეთ და ნახევრათ მძინარნი **[გვ.70]** (მგონი, მე-7 ღამე იყო, რაც არ გვიძინია) გავჭყაპუნდით მცხეთიდგან.

ჩვენს უკან არავინ აღარ მოდიოდა. გავედით კარგ გზაზე. ჩამოვჯექით გზის ნაპირებზე. წინ წამოვიდა კაპიტანი ანდღულაძე და ვრცელი მკაფიო სიტყვით აგვიხსნა მდგომარეობა, რომ იგი მეტად სერიოზული იყო, ყოველ წამში მოსალოდნელი იყო მტრის შეხვედრა, რომ ნატახტარით გორისაკენ მივდიოდით, რომ არ დავფანტულიყავით, ვინაიდგან მტრის მოგერიება ერთად უფრო ადვილი იყო, ვიდრე ნაწილობრივ, რომ მწყობრათ გვევლო, რომ თავის დაჭერა გვცოდნოდა, რომ გავივლიდით ყველაზე უფრო ბოლშევიკურათ განწყობილ სოფლებს: წილკანს, ნატახტარს და სხვებს, რომ მოსალოდნელი იყო შეტაკება თვით სოფლელებთან, რომ არაერთხელ ამხედრებულან ეს სოფლები[62]. ერთის სიტყვით, დაგვეხია წესიერათ, როგორც ეს შეშვენის რესპუბლიკის ჯარს. რამოდენიმე ხანს ამ სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა. ბოლოს კი დაღლილობამ თავისი გაიტანა, ერთმანეთს ჭკუას ვარიგებდით, რომ წესიერათ სიარული ნაკლებად ჰღლის ჯარისკაცსო, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა, საბრალოთ მივჩანჩალებდით ცივ ბნელ ღამეში ... [გვ.71].

26. შაბათი

ნატახტარს რომ მივაღწიეთ, გათენდა. კაპიტანმა ნება მოგვცა დასვენებისა. მშრალი დილა იყო, ყველანი მიწაზე დავწექით ლობიოს მოლოდინში, რომელიც შორიახლოს იხარშებოდა. კარგათ გათენდა, მშვენიერი ნათელი დღე იყო, ტიტველი ხეები უყურადღებოთ გამოიყურებოდნენ, თუმც დიდი ხანია არ ენახათ ამ ხეებს ამდენი ჯარი.

.... ———————————————— ....

[61] აქ იგულისხმება ან დარიალის ხეობიდან დაძრული მოწინააღმდეგე (იქ ქართველებმა პოზიციები თბილისიდან უკანდახევის დროს მოხსნეს, მაგრამ ეს შენაერთები მცხეთასთან ჩამოსვლას ვერ მოასწრებდნენ ასე მალე), ან უფრო მეტად სავარაუდოა თიანეთის გზით საქართველოს სამხედრო გზისკენ მიმავალი ორი რუსული მსროლელი პოლკი, რომლებიც მეექვსე ათასეულს მისდევდა.

[62] იგულისხმება 1918 წლის დუშეთის აჯანყება, რომელშიც მეტწილად იქაური სოფლების ბოლშევიკურად განწყობილი მოსახლეობის ნაწილი და რუსეთიდან შემოსული ბოლშევიკები იყვნენ ჩაბმულები.

საქართველოს ეროვნული არქივი

1 საათის დასვენების შემდეგ დაიძრა ჯარი წავკისისაკენ[63]. სანამ ნატახტარს გავსცდებოდით, კაპიტან ანდღულაძემ კიდევ ერთხელ დაგვარიგა. აგვიხსნა, რომ სოფელი წავკისი არაერთხელ აჯანყებულიყო დუშეთის ამბების დროს და ამიტომ გვთხოვა წესიერათ სიარული. ყველა მოხარშული ვიყავით უძილობით, მაგრამ მაინც სრულის წესრიგით მივჩანჩალებდით გაყინულ სოფლის გზაზედ. ყოველი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს მიწას გვიკარგავდა. ჩვენს უკან აღარავინ აღარ იყო. დილის ენერგია მალე დაგველია. უგულოთ ავიშალენით. თოფები, ვისაც როგორ გვინდოდა, ისე წამოგვეკიდა. 300 ტყვია მხრებს გვჭრიდა. უგულოთ ვლაზღანდარობდით. ვიცოდით, რომ დღე და ღამე გაუჩერებლივ უნდა გვევლო და არ ვიცოდით, გორში ჩვენები დაგვხვდებოდნენ თუ ბოლშევიკები.

მივუახლოვდით წავკისს. ჩვენ ჩვენი ადგილი მოვნახეთ. თოფები მხარზე მოვიმარჯვეთ და ისე **[გვ.72]** მასხრულათ გავიარეთ გლეხების წინ, თითქოს ქალაქი ტროადა ავიღეთ და გამარჯვებულნი შევდივართო. გაუჩერებლივ გავსცდით სოფელს და იქ რამოდენიმე ხანს შევჩერდით. მცხეთიდგან ვიარეთ თითქმის 48 საათი ტიტველ თოვლიან ველებში ან ატალახებულ ყანებში. ვინაიდგან ეს სიარული არაფერ შესანიშნავს არ წარმოადგენდა, ამიტომ მოკლედ ავღწერ ზოგიერთ წვრილმანს, არას ვიტყვი იმ დაღლილობის, უძილობის და შიმშილობის შესახებ, რომელიც ჩვენ განვიცადეთ.

პატარა სოფლის ბიჭი რომ გამოსულიყო და ხელი ეკრა ჩემთვის, მთელი სიგრძით გავიშხლართებოდი ორღობის ღუმპეში. რაღაც სიზმარს ჰგავდა ეს სიარული. არავის აღარ გვქონდა იმედი რაიმე გამარჯვებისა, ყველა ვფიქრობდით დასვენების და ძილის შესახებ. ზოგი თავის მშობლებს იგონებდა, რომლებიც თბილისში დარჩნენ და, ვინ იცის, ბოლშევიკები რას სჩადიოდნენ ამ დროს. ვიარეთ უღმერთოთ, დასვენებას გვიშლიდნენ, ვინაიდგან დასვენების შემდეგ უფრო ვიგრძნობდით დაღლილობას. აქა-იქ პატარა სოფლებში რამოდენიმე ჯარისკაცი იპარებოდა და მათხოვარივით პურს თხოულობდა, მოდიოდა მწკრივში და, ასე ამრიგათ, 12 საათში ერთი ნატეხი ხმელი პურისა კუჭს ამშვიდებდა.

ჩვენ გავლაზე გროვდებოდნენ გლეხები და რაღაც **[გვ.73]** უგულოთ, როგორც კამბეჩი რკინისგზის პირათ, შემოგვყურებდნენ. მათ გლეხურ ტვინს ვერ აეწონ-დაეწონა გარემოება. ჩვენ თითქმის არც ერთ სოფელში არ შევჩერდით. ერთმა-ორმა დალეულმა სტუდენტმა წამოიძახა: ამხანაგებო, ცოტა ხანს შევჩერდეთო, მაგრამ ოფიცერი წამსვე უხსნიდა, რომ აქ უნივერსიტეტის კრება არ იყო. როგორც შემდეგში გავიგე, რესპუბლიკის დამარცხებული, იდეიურად სრულიად გაკოტრებული, მშიერი ფეხშიშველი ჯარი სამის მიმართულებით იხევდა: მარჯვენა ფრთა – ჩვენის მიმარულებით, შუა – რკინისგზით და მარცხენა – კავთისხევის იქით, მტკვარს გაღმა.

.... ———————————————— ....

[63] ავტორი ცდება. სოფელ ნატახტრის შემდეგ ჯარისკაცები მოხვდებოდნენ სოფელ წილკანში და არა წავკისში, რომელიც ტაბახმელასა და შინდისს შორისაა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამბობდნენ, რომ გორში გავმაგრდებითო და ზოგიერთი გორელი კიდევაც გვიხსნიდა გორის ციხის პოზიციებს, რომლებიც აუღებელი რამ იყო, მათის აზრით. მაგრამ განა სირცხვილი არ იყო ჩვენი შეშვება გორის მიდამოებში, იქ, სადაც ამდენმა ქართველმა ისახელა თავი გიორგი საკაძით?! მივდიოდით უბოლოოდ, უმიზნოთ, შეუჩერებლივ, ყველას პირი შეკრული გვქონდა მწარე ფიქრებით. სოფლელების უგულობა პირადად მე გულს მიკლავდა, ყაჩაღებივით გვიყურებდნენ; პურის მოთხოვნაზე ცივათ გვიპასუხებდნენ: „ქა, თქვენამდის რეეთმა ჯარმა გაიარა, სადა გვაქვს ამდენი პური?!“[64] და სხვა. ახი ჩვენზედ, თუ ქართლის **[გვ.74]** გლეხები ასე გვიღებდნენ. საბუთი ჩვენ არ ვიყავით, ქურდებივით რომ მივძვრებოდით სოფელ-სოფელ?!

160 ვერსი გვქონდა გასასვლელი. საბედნიეროთ, ამ დროს არ ვიცოდი, თორემ, არა მგონია, რომ ბევრს გვევლო. ერთი რამ, რომელიც ფეხს გვადგმევინებდა, ეს იყო უკან მომავალ მტრის შიში ...

როგორც იქნა, ჩამოღამდა. გვეგონა, რაიმე სოფელს მივახწევთ და ერთ ღამეს დაგვასვენებენ-თქო, ყოველი რაიმე გორაკის ჩრდილი სოფლად გველანდებოდა. ჩვენი „აბოზი“, როგორც ჯარისკაცები ეძახიან, სადღაც უკან ტალახში ჩაფლულიყო. საჭირო იყო 10 კაცი უკან გასაბრუნებლათ და მათ სადარაჯოთ. ლეიტენატმა სიდამონ-ერისთავმა ყველას დაგვიარა, გვთხოვა (ამგვარ დროს ოფიცრები ძლიერ თავდაბლა ექცევიან ჯარისკაცებს) ჩვენის ნებით რამოდენიმე წავსულიყავით უკან, რათა მთელი გუნდი (250) არ

.... ———————————————— ....

[64] მსგავსი ამბები აღწერილი აქვს გენერალ ალექსანდრე ჩხეიძეს: უკან დახევისას, როდესაც სოფელ ახალქალაქის (კასპის რაიონი) სკოლის შენობაში იუნკრებს ღამის გათევის ნებას არ აძლევდნენ და მათ ძალით მოუნდათ სკოლის დაკავება, ადგილობრივებმა განუცხადეს, რომ სოფელში არც მჭადი და არც პური არ იშოვებოდა, თუმცა მუქარის შემდეგ მაინც მიუტანეს იუნკრებს მჭადი და მასში სამმაგი ფასი გადაახდევინეს (ალექსანდრე ჩხეიძე, სამხედრო სკოლა, ჟურნალი „მხედარი“, პარიზი, 1933, N13, გვ.65). გენერალ ჩხეიძეს ჟურნალ „მხედრის“ ფურცლებზე უპასუხა პოლკოვნიკმა ვ. ცხაკაიამ: „პურს არ იძლეოდნენ? საკვირველი არაფერია! წარმოიდგინეთ პატარა სოფელი, სადაც უნდა გაიაროს მრავალმა ჯარის ჯგუფებმა. მოვიდა პირველი ჯგუფი და პური მოითხოვა, აჭამეს. მოვიდა მეორე ჯგუფი და პური მოითხოვა, აჭამეს. მოვიდა მესამე ჯგუფი, პური მოითხოვა – უარი უთხრეს. საიდან ექნება ამ პატარა სოფელს იმდენი შეძლება, რომ გამოკვებოს მთელი ჯარი? ასე გულუხვათ თუ დააბნია მან თავისი სარჩო-საბადებელი, ხვალ თვითონ დარჩება უპუროდ. როგორ შეგვიძლია ის გავამტყუნოთ გამოზოგვასა და სიძუნწეში? ფულს აძლევდნენ პურში! განა ეს ფულია? აძლევდნენ დანავსულ ქაღალდის მანეთებს, რასაც არავითარი წონა და ღირებულება არ მინიჭებია“ (ვ. ცხაკაია, ცოტა რამ ღენ. ჩხეიძის მოგონებებზე; ჟურნალი „მხედარი“, პარიზი, 1933, N14-15, გვ. 92-93). გენერალმა ჩხეიძემ ჟურნალ „მხედრის“ შემდეგ ნომერში გასცა პასუხი პოლკოვნიკ ცხაკაიას. მისთვის სასტიკად მიუღებელი იყო ცხაკაიას მიერ მოყვანილი არგუმენტები: „თუ ჯარად წოდებულ ხალხის ნაწილს ვალად ადევს შესწიროს სიცოცხლე სამშობლოს, დანარჩენი, თბილ ბუხართან მჯდომი ნანილი ხალხისა, რატომ აღარ არის ვალდებული ჯარს უშველოს? მე ეხლაც ბოლმა მაწვება გულზედ, ამ ფაქტს რომ ვიგონებ და ძალაუნებურად ხელახლად განვიცდი მიყუჩებულ შეურაცხყოფას. დავსვამ ეხლა საკითხს სხვანაირათ: მომცემთ ნებას ვიკითხო, ვიღასთვის ვიბრძოდი მე ჩემი ახალგაზრდობით ტაბახმელაში, ან ვისთვის დავტოვე იქ ნახევარი დაჭრილ-დახოცილებში? იმავე სოფლებისათვის არ იყო ეს? იმავე ხალხისათვის არ იყო? ჩვენი საერთო სამშობლოსათვის არ იყო? არა! პატივცემულო პოლკოვნიკო, აქ აღარავითარი გამართლება არ უშველის; დარწმუნებული ვარ, ჩემი ნიგნი დღეს რომ მოხვდებოდეს კავთისხევში და ახალქალაქში და წაიკითხავდნენ, თვით დაიწვებიან სირცხვილით საკუთარი საქციელის გამო“ (ალექსანდრე ჩხეიძე, ჩემი მოგონებების განმარტებანი; ჟურნალი „მხედარი“, პარიზი, 1934, N16, გვ. 60-61).

საქართველოს ეროვნული არქივი

გავბრუნებულიყავით. საჭირო იყო 10 კაცი, რომ 240-ს დაესვენა. არავინ არ მოისურვა, ყველა ერთიანად გამორეცხილნი ვიყავით სიარულით, ფეხები კუპატებივით გაგვსიებოდა, ქვეშ წყალი გვდიოდა. სისველის გამო 24-დან ფეხი წყლით გვქონდა გათეთრებული. თხოვნა არ გავიდა, ლეიტენატი გაწყრა, ერთი-ორს დაუყვირა, ამაზე უფრო გაჯიუტდნენ ჯარისკაცები. რაღაც შავ ბედზე მე მომადგა, მიბრძანა: ღამბაშიძე, შენ [გვ.75] უნდა წახვიდეო. მე ყველაზე უფრო დაღლილი ჩემი თავი მიმაჩნდა. არც კი წამოვდექი ლეიტენატის ბრძანებაზე; ფეხები დამიბრაგუნა, რუსულათ დამიყვირა: „Под суд отдам“[65]. შენ არ მომიკვდე, მე არ დავიძერი; ქალამანი წამოვიძრე და გასიებული ფეხი ვუჩვენე, დაღლილობისაგან ბარძაყები გვერდებზე მიდიოდნენ. ამაზე კაპიტანი გასწყრა, მკვახეთ დაგვიყვირა, მთელი გუნდი გამოგვჭიმა, ეხლავე 10 კაცი გამოდითო, 5 წამი მოგვცა, არავინ გამოვიდა. ამით მე მინდა მხოლოდ დავადასტურო ჯარის დაღლილობა, მთელი გუნდი შემოტრიალდა, მაგრამ, საბედნიეროთ, ამ დროს ფურგუნები ამოწკუპუნდნენ.

მივადექით ღამის 12 საათზე სოფელ სამთავისს, ვეებერთელა გალავნიანი ისტორიული ეკლესია. ყველგან ქურდებივით მოვედეთ სოფელს. 15-15 კაცი ვვარდებოდით მძინარე გლეხის სახლში. ბავშვების ტირილის მიუხედავათ, ცეცხლს ვაღვივებდით ბუხარში და თუ რამე იყო დასაღეჭი, ბევრს არ ვახვეწინებდით პატრონს. დეე, ის უწესრიგობა, რაც იქ ჩავიდინეთ, იმ თოვლიანმა ღამემ შთანთქას. უწესრიგობით ცუდს არას ვგულისხმობ. არავინ არაფერი არ ჩაიდინა, მდგომარეობით ცოტა მეტს ვსარგებლობდით: წყალზე პატრონს ვაგზავნიდით, ისე, როგორც პურის გამოცხობას ვავალებდით. ბევრი იწუწუნეს, ცოლ-შვილს ნუ [გვ.76] დამიშინებთ, სხვა არ მინდა. ჩვენც ვუპასუხებდით, ბალშევიკები ხო არა ვართ, ქართველები ვართო და ამით თავდებოდა ლაპარაკი. პურის მოლოდინში ზოგი უჭმელი დაწვა ცეცხლის პირას, გვეგონა, ერთს თვალს მოვატყუებთ, უძილობისაგან რომ გვეწვოდა. რა ვიცოდით ...

ღამის 2 საათზედ, 1სთ 1/2 დასვენების შემდეგ, მოისმა სხვადასხვა ძახილი უფროსებისა. წამოგვყარეს ყველა და ისევ გზას გავუდექით. ნერვები ისე მოეშალა ყველას, რომ ბრაზისგან ხმამაღლა ვიძახოდით, რაც კი პირზე მოგვადგებოდა, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რამდენათ ზრდილობიანი ვიყავით ამ მომენტამდის. ბევრი იწრიპინეს სტუდენტებმა: „ამხანაგებო, აქ სიკვდილი სჯობია სასიკვდილო სიარულს“, მაგრამ ბევრჯერ გაუმეორეს, რომ აქ სამთავისია და არა უნივერსიტეტი ...

პატარა ხნის შემდეგ ძლივს ინათლა. მივედით ერთ სოფელში, სახელი არ მახსოვს, სადაც ბლომათ ჯარი იყო: არტილერია, საველე და ყოველნაირი. ერთის სიტყვით, იქნებოდა რამოდენიმე ათასეული (პოლკი). შევჩერდით ცოტა ხანს და ყველანი ერთად, ეს ტალღა აჩრდილებისა, გავემართეთ იმავე სიჩქარით გორისაკენ.

.... ———————————————— ....

[65] „სასამართლოს გადაგცემთ“ (რუსულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

ომში დაღუპული სახალხო გვარდიელები
თბილისი, 1921 წელი

27. კვირა

რაღაც ჩამობნელებულათ გათენდა. ისმოდა სროლა. ამბობდნენ, ოსები გზადაგზა გვეცემიანო[66], გორში შეიძლება კიდევაც [გვ.77] მტერი შევიდა და ბრძოლით გასვლა მოგვიხდებაო. საქართველოს რუქა არა მაქვს ხელთ, რომ დავასახელო, მხოლოდ ორ გაუთავებელ გორებს შორის, გაყინულ თოვლის ყელში, გავიარეთ. მთელი დღე მოვუნდით ამ ზღვასავით უთავბოლო თეთრი მანძილის გავლას. აქა-იქ ძალიან იშვიათად მოსჩანდა შავი ლაქები ოსების სოფლებისა. როდესაც მთელი ჯარი გამოვიშალეთ ამ ველზე, ერთ გორაკის მოსახვევში მოისმა გახშირებული სროლა, გადავწყვიტეთ, რომ ეგ არის ოსები ჩაგვისაფრდნენო. მთელი ზღვა ჯარისა შეჩერდა, როგორც ერთი კაცი. უფროსებ[მა] ცხენებით აგვირბინ-ჩაგვირბინეს, ერთმანეთში რაღაცას არიგებდნენ. საჭირო იყო მზვერავების წინ გაგზავნა. ყოველ გუნდში რამოდენიმე ჯარისკაცი გამოგვყეს. რაღაც იღბლით თუ მეტიჩრობით, სოღანლულის ღამის არ იყოს, ჩემ გუნდიდან მე და ჩემი ორი ამხანაგი გამოგვყეს. სიმართლე რომ ვთქვა, ოსების დახვედრა არად მეპრიანა, მით უმეტეს მზვერავათ წასვლა მათ წინააღმდეგ. ჩემი თავის იმედი საცა არ მქონდა, იქ წასვლა არ მომწონდა, არც კი ვიცოდი, მზვერავის მოვალეობა რას შეადგენდა.

ჩვენ გავემართეთ წინ, იქიდგან, საიდანღაც სროლა მოისმოდა. ხელებაშვერილი მორბოდნენ ჯარისკაცები: „ოსები დაგვეცენ, არიქათ, ოსებიო“. ბოლოს, როგორც გამოირკვა, ან მართლა ოსები [გვ.78] სცარცვავდნენ წინ წასულ ან უკან ჩამორჩენილ ფურგონებს, ან ოსი ჯარისკაცები, რომლებიც ჩვენ გვერია, ასტეხდნენ სროლას და მახლობელ სოფლის დახმარებით მიჰქონდათ დავლა. ეს კია: როდესაც ცოტა მანძილი გავიარეთ, ვხედავდით გულმოსაკლავ სურათებს: გადაბრუნებული სამხედრო ურემი, ბევრი, ძლიერ ბევრი გატყავული მკვდარი ცხენები და მთელი თოვლი წითლად შეღებილი, მთელი ყუთები და პაკეტების სუფთა ახალი ტყვიები თოვლში ჩაფლული, სისტემა „ლუიზას“ ტყვიისმფრქვეველების გაჭყლეტილი ნაწილები და სხვა მრავალი წვრილმანი გაცარცვული „აბოზებისა“. ამის ნახვით ჩვენი დისციპლინა სამუდამოთ დაირღვა, ყველაფერი გათავდა. ჩვენთვის ის გაუთავებელი ფურგონები, ყოველივე სამხედრო მასალით გატენილი, რომელიც ჩვენ სამშვიდობოს გატანილი და ომის განსაგრძობათ შენახული გვეგულებოდა, ასე გულმოსაკლავათ სადღაც დაკარგულ ოსეთის თოვლში უნდა დაჟანგებულიყო.

ყოველივე ჯარისკაცს 300 ტყვია ზედ გვეკიდა, საღამოს მხოლოდ ას-ასიღა გვქონდა. მხრები ჩაჭრილი გვქონდა. თურმე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ჯარს მხოლოდ 150 ტყვია ჰქონდა ზედ. ყოველი გუნდის გავლის დროს თოვლში ათასობით ეყარა ტყვიები. მე მეხარბებოდა კოხტა, [გვ.79] პრიალა ტყვიები, ასე ოხრათ მიტოვებული და მალე მთელი ჩანთა გავიტენე, მაგრამ, ერთხელ სიმართლე კიდევ ვსთქვათ, ცოტა ხნის შემდეგ მთელი მოგროვილი ტყვიები ჩემ ტყვიების ერთი ნაწილით ჩანთიანა გადავუძახე თოვლში. რაღაც

[66]ოსური პარტიზანული რაზმები მხოლოდ 5 მარტს შევიდნენ ცხინვალში.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიზმარში მეგონა ჩემი თავი, ამ თეთრ ველზე გავგრძელებულიყავით უთავ-ბოლოთ და თავჩაქინდრული ჩქარის ნაბიჯით მივდიოდით გაყინულ თოვლში. ფეხი ქალამნის გამო, საბედნიეროთ, არ გვეფლობოდა, მაგრამ ზარბაზნებს, რომლებსაც 8-8 ცხენი ჯერ კიდევ ღონიერი ება, ქალამნები არ ეცვათ და ყოველ წამს გვიხდებოდა ხელებით და ნიჩბებით მათი ამოგორება. ეს ყოველივე ჩემს მიმართულებით. დანარჩენ ორ მიმართულებით იგივე ხდებოდა: ცარცვა, ცხენების სიკვდილი, სოფლელების საქონლის ძალით შებმა ეტლებში და ზარბაზნებში და კიდევ უარესი: ჯავშნიან ავტომობილების აფეთქება, ტალახში მიტოვება და მოშლა და რკინისგზის ხიდების აფეთქება.

ასე ტრაღიკულად 48 საათში თითქმის სრულიად განადგურდა 3 წლის განმავლობაში დაგროვილი და გადარჩენილი ყოველგვარი სამხედრო მასალა, რომელიც ჩვენ დროს წარმოადგენს უმთავრესს სასიცოცხლო ძარღვს ამა თუ იმ ქვეყნის არსებობისათვის, მეტადრე [გვ.80] ჩვენისთანა პატარა და ყოველმხრივ წამებულ ერისათვის.

მივახწიეთ გორის მაღლობებს. მარცხნივ, დაბლა, ლურჯათ მოსჩანდა გორის გორაკები. გორის შესავალთან შორიდგან მოსჩანდა შავი წერტილები. მთელი ჯარი შეაჩერეს. არ ვიცოდით, ესენი ჩვენი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც გორს ამაგრებდნენ, თუ მტრის მზვერავები, რომლებიც, ჩვენის ანგარიშით, უკვე გორთან იყვნენ. დამფრთხალი ბატებივით შევჩერდით, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ესენი ჩვენი ჯარისკაცები იყვნენ. მთელი გზა ასე ფხიზლათ ვიარეთ. ყველაფერი მტრად გვეჩვენებოდა. ერთ ადგილას შორიდგან გამოჩნდა 50-მდე ცხენოსანი, რომლებიც გიჟებივით მოექანებოდნენ ჩვენსკენ, გადავწყვიტეთ, რომ ნამდვილათ ესენი, ყაზახები, მოგვდევდნენ, მაგრამ, როგორც ბოლოს გამოირკვა, ესენი ჩვენი ცხენოსნები იყვნენ.

მივუახლოვდით გორს. მაღლიდგან გადავსცქეროდით ქალაქს და იმედი გვქონდა, რომ 1 საათში უკვე ქალაქში ვიქნებოდით. ყველაზე ძნელი ეს მომენტი იყო, როგორც უდაბნოში მირაჟით მოტყუებულნი, ისე მივდიოდით გორისაკენ. სული მიგვდიოდა. ჩვენი მდგომარეობა აუწერელი იყო. შიშველი ფეხებით მივჭყაპუნობდით თოვლში, რომელიც ამ ადგილას უკვე დნებოდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ქალაქს, ქალაქი უფრო შორს [გვ.81] მოსჩანდა. საღამოს 5-6 საათზედ ჩავახწიეთ გორს. დანგრეული, ატალახებული გორი გულმოსაკლავი სანახავი იყო. იმედი გვქონდა, ეხლა მაინც კუჭს მოვატყუებთ, ყველაფერს ვიშოვითო, მაგრამ მოვტყუვდით, ქალაქი ჩვენსავით შელანძღული ჯარით იყო გატენილი. არც ერთი დუქანი ღია არ იყო, ყველაფერი დაცარიელებული, მიტოვებული, უპატრონოთ იყო.

მოვთავსდით რაღაც მშვენიერ ოთახებში, სადაც რამოდენიმე დაჭრილი და ავადმყოფი თავს იწყევლიდა. ამასობაში დაღამდა. ჩვენმა უმფროსებმა ბევრი ხლაფორთის შემდეგ ექვს კაცზე თითო ყუთი რძე გვიშოვეს, რომელიც 2 წამის განმავლობაში ორ-ორ ყლაპათ გამოვწრუპეთ. შეიძლება ბევრს ვწუწუნებ შიმშილზე, მაგრამ პირველი მნიშვნელობა ჯარში საზრდოობას აქვს. ცხელ წყალს რომ შავიქცევდით ცარიელ მუცელში, წამსვე მხიარულ გუნებაზე ვდგებოდით და ვლაზღანდარობდით, დაღლილობა გვავიწყდებოდა. სიმშილისაგან, სხვებს არ ვიცი და, მე კი თვალთ მიბნელდებოდა. რამოდენიმე ამხანაგით წავედით რაიმე დასაღეჭის საშოვნელათ, ბევრი თრევის შემდეგ ვერა-

საქართველოს ეროვნული არქივი

ფერი ვიშოვეთ. ამ დროს ხიდზე მოდიოდა ერთი ჯარისკაცი, ხელში ჭადის ნატეხი ეჭირა და მადიანათ ილუკმებოდა. ეხლაც ვერ [გვ.82] მომიფიქრია, თუ როგორ, ეს კი ვიცი, ვეცი მგელივით, გამოვგლიჯე ჭადი და პირში ვიტაცე. ამაზე ჩვენი მხედარი ძლიერ გასწყრა, მაგრამ ჩქარა ჩავუარე, ამხანაგებს გავერიე და ცხვირი ეხლაც მთელი დამრჩა. როცა ჭადი მოვათავე, ცოტა შემრცხვა, მაგრამ ჩემი ნამოქმედარი ძალაუნებურათ მომივიდა. დიდ ფართე ოთახში მალე ყველამ, ერთმანეთზე მიყრილებმა, ხვრინვა ამოვუშვით. ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, რომ ვიღაცამ წიხლი მკრა: „ადე, მივდივართო“. გორსაც სასირცხვილოთ ვსტოვებდით, იმ გორს, სადაც მრავალმა ქართველმა მამაცურად დაიცვა. მთელი ჯარი გასულიყო გორიდგან. ერთი მატარებელიღა, დატვირთული სამხედრო მასალით, იდგა სადგურზე. ჩვენ, როგორც ყველაზე შებერტყილ ჯარს, გვიბრძანეს, სადაც გვინდოდა, იქ ჩამოვკიდებოდით გაჭედილ მატარებელს. ჩემი ოცეული მოვთავსდით ორთქლმავალზე ...

28. ორშაბათი

ჯერ ძლიერ გვესიამოვნა ორთქლი, მერე კი ტარაკნებივით ხტუნვა დავიწყეთ. გადავძვერით სხვა ვაგონებზე, ჯარისკაცები ყველა ნერვებმოშლილნი იყვნენ, არც ადგილი იყო სადმე. ასე თუ ისე შევძვერი ამხანაგითურთ ზარბაზნის ქვეშ, რომელიც ღია ვაგონზე იდგა. ამ ზარბაზანზე ათი კიდევ სხვა იჯდა. [გვ.83] მათი ფეხებიდგან ტალახი კისერში გვცვივოდა, მაგრამ რას ვიზამდით. ჯანჯღალით მთელი დღის განმავლობაში, ყოველ სადგურზე 2-3 საათის გაჩერების შემდეგ, საღამოთი საბოლოოდ მივედით გომში.

29. სამშაბათი[67]

გომში მისვლამდის მინდა ავღნიშნო ერთი ინციდენტი, რომელიც მოხდა ქარელში. ასე საღამო ხანი იქნებოდა. ვინაიდგან მატარებელი კარგა ხანს ჩერდებოდა, ვისარგებლეთ დროით და ქარელში, სოფელში, ერთი-ორი ნატეხი პური ვიშოვეთ ურიებში. სადგურისაკენ რომ მოვდიოდით, გიჟებივით ჩამოირბინეს ბლომათ ჯარისკაცებმა, რომლებსაც მოჰყავდათ 10-ოდე ოსი და თოფი და ტყვიები. საქმე შემდეგში იყო: მიუხედავათ იმისა, რომ ეს ყოვლად გახრწნილი ჯიში ადამიანისა, ოსები, ჩვენმა მთავრობამ სრულიად აჰგავა დედამიწის ზურგიდგან, საბედნიეროთ, თორემ ჩვენი სამარე გორი იქნებოდა, რამოდენიმე სოფელი ხელუხელებლი გადარჩენილიყო, ამათ ესარგებლათ ჯარის დანგრევით, გვარდიელებისათვის სროლა აეტეხათ, ერთი გვარდიელი მოეკლათ, სხვებისათვის იარაღი აეყარათ, გვარდიელი ოსები

.... ———————————————— ....

[67] აქ დღეები აერია ავტორს, 1921 წელს თებერვალი 28 დღით იყო და შესაბამისად, საუბრობს 1 მარტის ამბებზე, ისევე, როგორც ამის შემდეგ არეულია დღეები.

საქართველოს ეროვნული არქივი

თავის ოსებს მიმხრობოდნენ და სხვა, ამაზე გამოსულიყვნენ რამოდენიმე, 40 კაცამდე გვარდიელი. ასულიყვნენ მტრულად განწყობილ სოფელში, [გვ.84] მთელი სოფელი დაეწიოკებინათ, თუ რამე იყო საქონელი ვახშმათ ჩამოერეკათ, იარაღი და ტყვიით გატენილი ტომრები წაერთვიათ და ეს 10-ოდე ოსი ცემა-ტყეპით ჩამოერეკათ. ამან ყველანი გაგვახარა. გვარდიელი, ასე ვერაგულათ მოკლული, იქვე დამარხეს. ეს 10 ყაჩაღი გაჩხრიკეს. მიწისფერი ედოთ; ყველას რევოლვერები და ტყვიები აღმოაჩნდათ. ცხადი იყო, რომ რამოდენიმე წამში მათი სული გვარდიელის სულს გაჰყვებოდა. ჯარისკაცები და გვარდიელები მოთმინებას ჰკარგავდნენ, დახვრეტას არ კმაყოფილდებოდნენ. ერთმა წვერიანმა ჯარისკაცმა ჩემ ყურთან ჩაილაპარაკა: „დახვრეტა რას კმარა, თათრის ჩხუბში რომ ვშვებოდით, ისე უნდა ვქნათ, ქურთებს ყირამალა ვკიდებდით, ქვეშ ნელ ცეცხლს ვაღვივებდით და შტიკებით ნელ-ნელა ვაქანავებდითო“. ყველაფერი ეს ისე დინჯათ სთქვა, რომ მზათ იყო, ეს ყოველივე ნათქვამი ეხლაც გაემეორებინა. ამასობაში მატარებელი დაიძრა. ყველანი თავ-თავის ადგილას ავხტით და ეხლაც არ დამავიწყდება ამ 10 ოსის სახე, როდესაც ხმამაღლა უთხრეს, ყველას დაგხვრეტავთ ჩქარაო ... ღამე გომში გავათიეთ, რაც ახლომახლო ღობეები იყო, ერთ საათში [გვ.85] ავაბრიალეთ. განთიადზე ისევ განვაგრძეთ გზა და დილით ადრე ხაშურს მივედით.

1 მარტი[68]

ხაშური ჩვენი საბოლოო ბაზა იყო. როგორც ომის დასაწყისში ამბობდნენ, თუ ვინიცობაა თბილისი დაეცა, სურამის ქედს იქით მტერი ვერასდროს ვერ წავაო[69]. მეც დიდი იმედი მქონდა, სულ არაფერს ნახევარი საქართველო მერჩია. ზოგიერთი აჩქარებული გაიძახოდა: „სურამის ქედზე ისეთი „აკოფები“ (ტრანშეა) გათხარეს, რომ გერმანიის ვაინში არ ყოფილაო!“ საუბედუროთ, როგორც შემდეგში გავიგე, სურამის ქედი ჩვენ უნდა გაგვემაგრებია, ჩვენ თითონ კი გამაგრება გვესაჭიროებოდა მორალურათ, ფიზიკურათ და ყოველნაირათ ... მორალურათ ყველანი ისე დაბლა ვიყავით, რომ ჩვენისთანა ჯარისკაცები ორი კაპიკათ არ ღირდა. ყველანი თავ-თავის სახლებისაკენ მიძვრებოდა, ზოგიერთი ხმამაღლა იძახოდა მოთმინებადაკარგული: „რაღას

.... ———————————————— ....

[68] სინამდვილეში 2 მარტი.

[69] 28 თებერვალს დამფუძნებელი კრების სხდომაზე, რომელიც ქუთაისში გაიმართა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე აცხადებდა: „ლიხის მთაგრეხილის ბუნებრივ ზღუდეს დაემატება ჩვენი მხედრობის ცოცხალი გალავანი. აქ მიეცემა მტერს უკანასკნელი მოგერიებითი ბრძოლა, აქედან დაიწყება ჩვენი მხედრობის წინსვლა. აქ, ამ პოზიციებზე, იქნებიან არა მარტო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, არამედ ის ქართლ-კახელნი, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარში არიან. აქ იწარმოებს არა იმერეთის დაცვის ბრძოლა, არამედ მთელი საქართველოს განთავისუფლების საქმე. ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს“ (დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში, 1921 წლის 28 თებერვალი, რედ. მალხაზ მაცაბერიძე, თბ., 2009, გვ. 18).

საქართველოს ეროვნული არქივი

უყურებთ, ამხანაგებო, ხომ ხედავთ, როგორ წავხდით, წავიდეთ ჩვენ-ჩვენ სახლებისაკენ, ჩვენი ცოლ-შვილი ცალკე დაწიოკდება და ჩვენც აქ ტყვილა ჩავიხოცებითო!“ ამის თქმა საკმარისი იყო, მკაცრი უფროსი თუ გაიგებდა, ამგვარ სულწასულ ჯარისკაცს ბოლშევიკ აგენტათ ნათლავდნენ და იქვე აწვენდნენ. **[გვ.86]** რაც ტყვია დაიწვა ჩვენი ჯარისკაცების დასახვრეტათ, ის რომ მცხეთაში გამოგვეყენებია, ეხლაც მცხეთაში ვიქნებოდით. წამდაუწუმ ისმოდა „პაჩკებით“ ჯახაჭუხი ...

მე-5 გუნდი მე-7 ათასეულისა სხვა დანარჩენ გუნდებთან ერთად დროებით დავბანაკდით ქალაქ ხაშურსა და სოფელ ჭალას შორის თოვლით დაფარულ

ოსური პარტიზანული რაზმი რაჭის სოფელ ღებში [1921 წელი]

საქართველოს ეროვნული არქივი

მინდორზედ. მე-7 ათასეული, რომელიც თბილისიდგან გავიდა 3 500[70] კაცით, შეადგენდა ეხლა მხოლოდ 270 მებრძოლს, აფიცრობის უმრავლესობაც დაქსაქსულიყო. ჩვენი გუნდიდან, რომელიც შესდგებოდა 250 სტუდენტ-მოწაფეებით, მხოლოდ 3-4 სტუდენტიღა დარჩა და 3 მოწაფე: ჯიღაური, ბილანიშვილი და მე. ასე უხალისოთ გულჩანგრეული და სრულიად იდეიურათ გაკოტრებული ჩემ სიცოცხლეში არ ვყოფილვარ და, მგონი, არც ვიქნები ...

ვინაიდგან ყველას ძალიან გვშიოდა, სხვა ჯარისკაცებივით მოვედვეთ ხაშურის მახლობელ სოფლებს პურის საშოვნელათ. მე მარტო გავსწიე სოფ. ჭალისაკენ, რომელიც იქვე ხაშურს უკან მდებარეობს. რამოდენიმე ნატეხი ჭადი ვიშოვე და ძლივსძლიობით მოვცოცავდი ჩვენი ბანაკისაკენ. არაფრის გზით არ შემეძლო წინდებით სიარული, ჩამოვჯექი გზის პირას დასასვენებლათ. ამ დროს ცხვირ-პირ [გვ.87] ჩამიარეს გია აბაშიძემ და ირაკლი ტყემალაძემ. მათაც ჩემსავით ერთი ნატეხი პური ეშოვათ სადღაც. გიას ნახვა საშინლად მესიამოვნა. ვიცოდი, რომ ჩვენი ათასეული ხაშურის დაბლობში რჩებოდა, იმ დროს, როდესაც უმთავრესი ნაწილი ჯარისა უნდა გამაგრებულიყო სურამში და ქედზედ, ნაწილიც კი ქუთაისში. მორალურათ დაცემული მით უფრო ვიყავი, რომ კარგათ მოსჩანდა, რომ ჩვენი ათასეული, როგორც ახლად გასული ბრძოლის ველზე და რომელსაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღო, ჯერ რჩებოდა ხაშურის მისასვლელ პოზიციებზე, უმთავრესად მტრის შესაჩერებლად, მტრის გასაჩერებელ ხორცათ, ვინაიდგან ჩვენი საბოლოო მიზანი იყო სურამის ქედი.

ვიჯექი გზის პირათ და ვფიქრობდი ყოველივე ამაზედ, გია რომ დავინახე, წამსვე ყველაფერი დამავიწყდა; გასიებული ფეხებით მივჩანჩალდი და ხელი ჩამოვართვი. ამ დღემდის, სიმართლეს ვიტყვი გია აბაშიძეზე, მიუხედავათ მისი პოლიტიკური მიმართულებისა, რაღაც იდეიურ ახალგაზრდათ მიმაჩნდა, მისი ყოველივე საქციელი ჩემში რაღაცას იწვევდა, მასავით პირდაპირი და მართალი ახალგაზრდა ჩემ ნაცნობებში არავინ მეგულებოდა. ის რომ დავინახე, ყველა შავი ფიქრები მიმავიწყდა და გამოვკითხე ამბავი. აღარ მახსოვს [გვ.88] კარგად, რაზედ ვილაპარაკეთ, ის კი ნათლად მახსოვს, რომ სადღაც მიეჩქარებოდნენ. ერთის სიტყვით, ხაშურიდგან მიდიოდნენ. გამომშვიდობების დროს მისგან გულის გასამაგრებელ სიტყვებს მოველოდი. იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც მე ვიყავი, გამხნევება არას მავნებდა, მაგრამ როგორ ვსცდებოდი ამ დღემდის. მის მაგივრათ, რომ რაიმე ვაჟკაცური ეთქვა იმ ახალგაზრდა ჯარიკაცისათვის, რომელიც რჩებოდა მტრის დასახვედრ პირველ ხაზზე და რომელსაც ასე თუ ისე რაღაც პესიმისტური განწყობულება ჰქონდა, გიამ დაცინვის კილოთი გადმომკრა: „შენ როგორი ჯარისკაცი ხარ, თოფის სროლა იციო“. ამის თქმაზე ძლიერ ავღელდი. მე თვითონ ვიცოდი, თუ რა საომარ ელემენტს წარმოვადგენდი, მაგრამ მომენტმა და მოვალეობამ მიკარნახეს ჯარში ჩაწერა. აღარ მახსოვს, ვუთხარი თუ გავიფიქრე: „როგორ

.... ———————————————— ....

[70]ავტორი აშკარად ცდება ან განგებ აზვიადებს მეშვიდე ათასეულის პირად შემადგენლობას შთაბეჭდილების მოსახდენად, რადგან თბილისთან ყველა ბატალიონში ერთად მხოლოდ ათი ათასამდე ჯარისკაცი იბრძოდა 18-24 თებერვალს.

საქართველოს ეროვნული არქივი

გინდა ცურვა ისწავლო წყალში შეუსვლელათ-თქო“ ... ამის თქმაზე ერთი «მშვიდობით» გადმომკრეს ორივემ და ჩქარის ნაბიჯით გაეშურნენ. მე ვიდექი ერთ ადგილს და გული ბოღმით მევსებოდა, ბოღმას ბრაზი მოჰყვა და დაცინვითვე ჩავიფიქრე: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, დერგით იდგამდეს ყველასო!“ ისიც კი გამიკვირდა, ამდენი ხეტიალის შემდეგ ფეხებზე როგორ იდგა გია, რომელიც დღეში 2-ჯერ ცივდებოდა გახურებულ ოთახში.

[გვ.89] ბევრი კიდევ ბავშვური აზრი მომივიდა თავში, მაგრამ ეხლაც ვერ ამიხსნია ჩემთვის, ყოველივე ეს რათ მითხრა მან: დამცინა მე, ჩემი აღფრთოვანება ომის დასაწყისში ბავშვურ გატაცებათ დაახურდავა იმ დროს, როდესაც სამშობლო, ყველას, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, ფრონტისაკენ მოუწოდებდა, თუ იმედგადაწყვეტილმა უიმედობით ჩაილაპარაკა. ეს ყოველივე არ ვიცი. ერთი რამ კი ვიცი: გია აბაშიძე ჩემ თვალში, ჩემ შეიძლება ამპარტავან თავმოყვარეობის თვალში, გაჰქრა, დაპატარავდა, დაპატარავდა, როგორც ნამცეცი ... ამან ყოველივემ იმოქმედა ჩემზე. იმ დროს ჩემ თავს ჩავაკვირდი: ნუთუ ასე დასაცინი ვიყავი? ნუთუ არაფრათ ვადგებოდი სამშობლოს და მუქთახორა მჭამელი ვიყავი ჯარისკაცის საზრდოსი? განა ჩემზე ახალგაზრდები არ იყვნენ ჩასმულნი საერთო უბედურობაში? ნუთუ შეიძლებოდა 19 წლის ყმაწვილის სახლში ხელებდაწყობილი დარჩენა ... ჩემის აზრით, არა, და თუ როდისმე შევხვდები კიდევ გიას, არა მგონია, რომ იგი ჩემ თვალში ოდნავ მაინც გადიდდეს. გავიდა ცოტა ხანი, გამოვერკვიე და გავუდექი ბანაკის გზას. შეიძლება ეს აქ მოსაგონი არ იყოს, მაგრამ იმ დროს ისეთ დიდ ტვირთივით დამაწვა ყოველივე ეს, რომ მისი აღნიშვნა ზედმეტათ არ მიმაჩნია.

საღამომდის ვიდექით თოვლზე, არსად ჩამოსაჯდომი არ იყო. **[გვ.90]** კაპიტანი ზოგიერთ გაციებულ ან ვითომ გაციებულ ჯარისკაცებს ვიღაც ექიმის დასტურით სახლებში უშვებდა. წავიდნენ ყველა, სტუდენტები დარჩა ჩემ გუნდში, 30-ამდის კაცი და ვინაიდგან ამ რვეულში არაფერი არ მინდა დავმალო, მეც დიდი სურვილი მქონდა წასვლისა. კაპიტან ანდღულაძემ გაიგო, თუ რათ ვიყავით ასე უგულოთ მე და ჩემი ორი ამხანაგი – აღარც ერთი სტუდენტი მოხალისე არ გვერია, ზოგი გორიდანვე გაიპარა სახლში, კაპიტან ანდღულაძემ ამოიღო ქაღალდი და ფანქარა (!). დამიწერა რაღაც ნომერი და მაუწყა: შენ კავშირში იქნები დღეიდგანო, წადი სადგურზე, მონახე ეს ნომერი ვაგონი, იკითხე კავშირის უფროსი მჟავანაძე და უთხარი, რომ მე-7 ათასეულის მე-5 გუნდიდან ხარ კავშირათ გამოგზავნილიო.

ჩანჩალით გავსწიე სადგურზე, მთელი ჯარი მიდიოდა ქუთაისისაკენ[71]. სადგური მალე დაცალიერდა და, როგორც იქნა, მოვსძებნე ჩემი ვაგონი. სწორეთ იმ დროს მივედი, როდესაც ვაგონიდგან მთელი კავშირის ტელეფონებს და სხვა ხელსაწყოს იღებდნენ. მჟავანაძემ წამსვე ჩამწერა თავის კავშირში და უკვე აგვამუშავა. საქონლის სადგურზე მოვნახეთ ტელეფონებისათვის სპეციალური ეტლი, ყველაფერი შიგ ჩავალაგეთ და გავუდექით გზას. ჩვენ უნდა

.... ———————————— ....

[71] ავტორი ცდება. ქუთაისისაკენ მიდიოდნენ მხოლოდ დაჭრილები, ხოლო მცირე რეზერვები მიემართებოდა ქუთაისიდან ხაშურისაკენ.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოვთავსებულიყავით მე-2 ბრიგადის შტაბთან ერთად სოფელ ჭალაში, მთელი მარჯვენა ფრთა, ესე იგი [გვ.91] მარჯვენა ფრთის რეზერვი დაქსაქსული იყო ამ სოფლის უმთავრეს სახლებში, მთელი სოფელი სადღაც აყრილიყო, თითო-ოროლა დედაბერი ან ბერიკაცი ჰყარაულობდა სახლებს. ჩემი გუნდი გზის გადაღმა ოთხოთახიან სახლში დაბანაკებულიყო. ჩვენ მე-2 ბრიგადის შტაბითურთ მოვეწყეთ ერთ კოხტა ოროთახიან ქვითკირის სახლში.15 წამში მთელი ტელეფონის ქსელი თხრილებსა და რეზერვის ერთეულების შტაბებს შორის გაბმული იყო. კავშირში უმთავრესად მოინტელიგენტო ხალხი იყო, სტუდენტები და მოხალისე ახალგაზრდა ტელეგრაფ-ტელეფონისტები. შტაბი დაბარგებისთანავე მუშაობდა. მთელ მარჯვენა ფრთას განაგებდა გენ. სუმბათაშვილის და კაპიტან გარსიაშვილის მეთაურობით[72].

ამასობაში დაღამდა. ყველანი, სხვადასხვა ათასეულების კავშირები, ერთმანეთს გავეცანით და ჩვენ-ჩვენი კუთხე მივიჩინეთ. როგორც გავიგე, ჯარისათვის დაერიგებინათ მშვენიერი ამერიკული შევროს ფეხსაცმელები, ვინაიდგან ყველას თითები გამოყრილი გვქონდა. მჟავანაძისაგან, რომელიც ჩემი პირდაპირი უმფროსი იყო, ავიღე ნებართვა ჩემ ათასეულში წასვლისა ფეხსაცმელების მისაღებათ და მივედი ჩემ გუნდში. ყველანი ფაცაფუცში იყვნენ, ყველა ფეხსაცმელებს ირგებდა, მეც ამოვირჩიე ფეხსაცმელი და გამოვბრუნდი კავშირში. ლეიტენატმა მითხრა, რომ საჭირო იყო ორი კაცი კავშირში და [გვ.92] ამიტომ გრიგოლ ბილანიშვილი გამომატანა. ორივეს ძლიერ გაგვეხარდა ეს ამბავი, მაგრამ მესამე ამხანაგს გიორგი ჯიღაურს კი ძლიერ გული დასწყდა. კავშირში ბევრი ვეცადე, მაგრამ დასიებულ-დამსკდარ ფეხზე ვერ ჩავიცვი ფეხსაცმელი. ფეხსაცმელზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ იმ დროს ყველაზე მწვავე საკითხი ფეხი იყო და არა მტერი, რომელიც უკვე გომს გამოსცილებულიყო. ბევრი ვიფიქრე: შევროს გაცვლა სხვებივით ძველი ჯარისკაცის ფეხსაცმელებზე მეხარბებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადავსწყვიტე. შეიძლება რამოდენიმე საათში საიქიოს წასვლა მომიხდეს და სულ უფეხსაცმელოთ კარგათ ვიცოდი, რომ საიქიომდის ვერ ვივლიდი. ბოლოს მაინც გავცვალე ძველ ფლასვებზე. ისე მესიამოვნა, როდესაც ტიტველი ფეხით აღარ დავდიოდი თოვლზე, რომ მეგონა, ხვალ ისევ თბილის[ს] დავიბრუნებთ-მეთქი. საღამოს 10 საათზე საჭირო იყო შტაბის არემარეში ყარაულის დანიშვნა, ვინაიდგან 10-ზე მეტი არ ვიყავით შიკრიკები, ყველას ყოველღამ 2-11 ½ საათი ყინვაში კანკალი გვიხდებოდა. ბოლშევიკი კი არა, იმ ღამეებში მგელი არ მოეკარებოდა შტაბს, ისე ცივოდა. შუაღამემდი ყველა დაგვგზავნეს ჩვენ-

…. ———————————————— ….

[72] გენერალი გიორგი სუმბათაშვილი (1882-1921) მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველ მსოფლიო ომებში (1914-1918). პირველ მსოფლიო ომში მეთაურობდა პოლკს. 1918 წელს მიენიჭა გენერლის წოდება. 1921 წლის ომის წინ მეთაურობდა ბამბაკის ხეობაში განლაგებულ ქართულ ნაწილებს, რომელთაც დიდი მარცხი განიცადეს. თბილისის დაცემის შემდეგ დანიშნეს მეორე ბრიგადის სარდლად და ოსიაურის ბრძოლაში (4-6 მარტი) მეთაურობდა მარჯვენა საბრძოლო უბანს. მონაწილეობდა ბათუმიდან ქემალისტების განდევნაში. მეფის რუსეთის არმიაში იყო წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენის და ბევრი სხვა სამხედრო ჯილდოს მფლობელი, ასევე – საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ ორდენის კავალერი.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩვენი შტაბების საბოლოო ბინების სანახავათ. თითო ათასეულიდგამ ორ-ორი შიკრიკი იყო საჭირო. ერთ-ერთი ყოველთვის [გვ.93] მთავარ კავშირში უნდა ყოფილიყო, როდესაც მეორე გაგზავნილი იყო. გარეთ ისე ცივოდა, რომ უკაცრავი პასუხია, ცხვირთან ზოგიერთი ნივთიერება გვეყინებოდა. ფეხებს ვამოძრავებდით, მე პირადათ ხმამაღლა ვთვლიდი წამებს. არაფერი ისე ძნელი არ არის ომში, როგორც თოვლში და ყინვაში მოკრიალებულ ცის ქვეშ ყარაული. ბრაზისაგან ყელი მტკივოდა. იმ დროს, როდესაც შტაბში ყველა თბილათ იწვა, შტაბის მინებზე ორთქლი ჩამოდიოდა, ყარაულობის შემდეგ დახშულ-აყროლებულ ოთახში შესვლა სამოთხე იყო.



ხაშურის მიდამო
გივი ღამბაშიძის ნახაზი

2 მარტი[74]

როგორც იქნა, გათენდა. საერთო მდგომარეობის არაფერი არ ისმოდა, ამბობდნენ კი, რომ მტერმა გორი თითქმის უბრძოლველათ აიღო და გომს გამოსცდაო; ამბობდნენ ბევრ რასმეს, 26 ორთქმავალი წავიდა ხაშურიდგან, მოდიან მოკავშირეებიო, ამბობდნენ, ქემალ-ფაშა[75] ბორჯომშია, ჩვენ საშველად

[73] სინამდვილეში 3 მარტი.
[74] იგულისხმება თანამედროვე თურქული სახელმწიფოს დამფუძნებელი მუსტაფა ქემალ ათათურქი.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოდისო, ბევრ რამეს ამბობდნენ. სურამის ქედთან 6 თვეს ვაცეკვავებთო[75]. ჯარის განწყობილება უმჯობესდებოდა, პური მოგვდიოდა, მსუქან-მსუქანი ღორები ააყვირეს მზარეულებმა, ჯერჯერობით კი სიწყნარე იყო, ყველა მოველოდით ახალ ბრძოლებს ... წამდაუწუმ დავრბოდით ათასეულებში და ათას წვრილმან ბრძანებებს ვატარებდით. ბრძანებებში რა ეწერა, [გვ.94] არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ არც ერთ შტაბში არც ერთი ბრძანება ქართულად არ დაწერილა, არც ერთ ტელეფონს ქართული ხმა არ გაუგია, არც ერთ აფიცერს ქართულად არ ულაპარაკნია. ჯარისკაცებიც ეჯიბრებოდნენ ოფიცრებს და რუსულის ყრანტალით ყურები გამოჭედილი იყო. ნუთუ უბრალო სამხედრო მოვალეობა არ იყო ქართულად ბრძანებების გადაცემ-გადმოცემა? მაგრამ ამაზედ წუწუნი მე არ მმართებს, ჩემზედ ჭკვიანებმა ბევრი იწუწუნეს.[76]

დღის პირველი საათი იქნებოდა. ბრძანებები დავატარეთ, რომ ყველა ბორნები, რაც კი არსებობდა ხაშურის რაიონში, მარცხენა ნაპირისაკენ გადმოეყვანათ, რომ მტერს არ ესარგებლნა და არავინ არ გაეშვათ არც იქით, არც აქეთ არავითარ შემთხვევაში. მტერი უკვე მოსულიყო და ჩვენ პირდაპირ მაგრდებოდა. ერთი რამ მაკვირვებდა: ჩვენი („ნაბლიუდატელები“) ჰხედავდნენ მარცხენა ნაპირიდგან თუ მარჯვენა ნაპირზედ მტრის თითო-ოროლა

.... ———————————————— ....

[75] სწორედ აქ დაგეგმა გენერალმა კვინიტაძემ საბჭოთა რუსეთის არმიის დაჯგუფების ავანგარდზე იერიშის მიტანა, მათი ალყაში მოქცევა და განადგურება. თბილისის აღების შემდეგ რუსებმა შექმნეს ბათუმის მიმართულების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა 4 მსროლელი და 4 ცხენოსანი ბრიგადა, მთლიანობაში 15 000-მდე მებრძოლი, მაგრამ ეს ძალები თბილისიდან ქარელამდე იყო გაჭიმული, რაც მათ წინააღმდეგ ბრძოლას აიოლებდა. რუსთა მეწინავე ნაწილებს (დაახლოებით 5000 ჯარისკაცი) ჩამორჩა არტილერია და სურსათი. ბათუმის ჯგუფის პირველი ამოცანა იყო ქართული არმიის დევნა მცხეთა-გორი-სურამის მიმართულებით და სურამის უღელტეხილის დაკავება. ამავდროულად რუსული სამხედრო შენაერთები ქართველებს აფხაზეთის მიმართულებიდან და ჩრდილო კავკასიის უღელტეხილებიდანაც უტევდნენ, მაგრამ ქართულ არმიას მთავარი ბრძოლა თბილისიდან მომავალ მეთერთმეტე არმიასთან ელოდა. კონტრშეტევის მართებულობას გენერალი კვინიტაძე შემდეგნაირად ასაბუთებდა: „პირველ რიგში, შეტევა უნდა განგვეხორციელებინა იმ მოწინააღმდეგეზე, რომელიც ამ წუთას ჩვენთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა; ასეთი გახლდათ უახლოესი თბილისის მხრიდან მოახლოებული მოწინააღმდეგე. მამისონის უღელტეხილიდან და შავი ზღვის სანაპიროდან მომავალ მტერს თავისი მოქმედებები ჯერ იმდენად არ გაეშალა, რომ ხაშურში შეკრებილ ცოცხალი ძალის ბირთვს უშუალოდ დამუქრებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე, უპირველეს ყოვლისა, შეტევა თბილისის მხრიდან მოახლოებულ მტერზე განმეხორციელებინა და უკუმეგდო, ხოლო მისი მოწინავე რიგები სრულიად გამენადგურებინა“. შეტევა ასევე აამაღლებდა თბილისის დატოვებით გამოწვეულ ჯარისკაცთა მძიმე ფსიქოლოგიურ განწყობას, რაც ხშირად დეზერტირობის მიზეზი ხდებოდა. ამის გამო ოსიაურთან 6000-მდე ქართველი მებრძოლი იყო დარჩენილი არმიის რიგებში, თუმცა ახალციხიდან მე-11 პოლკი მოემართებოდა ხაშურისაკენ 1 500 ჯარისკაცით (დიმიტრი სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა, [რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი]; საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ.1, თბ., 2011, გვ. 242-251).

[76] აღნიშნული პრობლემა მწვავედ იდგა ქართულ ჯარში, რადგან ოფიცერთა აბსოლუტური უმრავლესობა ნამსახურები იყო რუსულ არმიაში და ბევრ მათგანს ქართულად არათუ გამართულად წერა, არამედ საუბარიც კი უჭირდა. ამის გამო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გენერალურმა შტაბმა დაიწყო ზრუნვა ქართულის არმცოდნე ან ცუდად მცოდნე ოფიცრებისთვის ქართულის სწავლებაზე, მაგრამ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ეს პრობლემა ბოლომდე მაინც ვერ აღმოიფხვრა და ზოგჯერ მიმოწერა მაინც რუსულ ენაზე ხდებოდა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჯარისკაცი როგორ ჩამოდიოდა და წყალს სვამდა და იმის მაგივრათ, რომ წყლით პირსავსე გაეცივებიათ, თავისუფლათ უშვებდნენ უკანვე. მტრის ჰაეროპლანები სამაგალითოდ უხმოდ დაჰფრინავდნენ, ძლიერ დაბლა და თამამად ათვალიერებდნენ ყოველივე ჩვენ მოქმედებას, თუ როგორ მიდიოდა ჯარი სადგურიდან, რამდენი ჯარი რჩებოდა ხაშურში, თხრილებს როგორ და სად [გვ.95] ვთხრიდით. ერთის სიტყვით, მასხრობა იყო. ყველაფერს ისე, როგორც სარკეში ჰხედავდნენ. ცხენები ბოსელში დავმალეთ, ფურგონებზე ჩალა დავყარეთ, მაგრამ ეს ყველაფერი მასხრობა იყო. ისე დაბლა დაფრინავდა აეროპლანი, ბრაზი გვახჩობდა, უთუოდ კარგათ იცოდნენ, რომ არაფერი აეროპლანის საწინააღმდეგო იარაღი არ გვქონდა და ასე აშკარათ დაგვცინოდნენ. ერთმა-ორმა ჯარისკაცმა ესროლა, მაგრამ ამაზედ გამოვარდა ნაცვალი[77] და დაგვიყვირა, გიჟები ხომ არ ხართო. ეს ის დრო იყო, როდესაც მეც მოვინდომე სროლა. ბევრი ვთქვი, რომ მსოფლიო ომის დროს ამაზედ მაღლა მყოფ აეროპლანებს ესროდნენ, სურათებიც ხომ გინახავთ-მეთქი. ზოგჯერ ერთი ტყვია იმისთანა ადგილას ხვდება, რომ ჰაეროპლანი ძირს ეშვება-მეთქი, მაგრამ ნაცვალმა დაგვიშალა სროლა და ნაცვალს ხომ ჯარისკაცი უნდა უსიტყვოდ დაემორჩილოს. ასე ამრიგათ, მთელი დღის განმავლობაში კარგათ აგვათვალ-ჩაგვათვალიერეს, ყველაფერი დაწვრილებით ნახეს.

ამბობდნენ, ხაშურში პროკლამაციები ჩამოჰყარეს: ამხანაგებო, ტყუილა ნუ იხოცებითო და ნელ-ნელა გაფრინდნენ გომისაკენ ამბების მისატანათ. ეხლაც ბრაზი მომდის, როდესაც მაგონდება ნაცვლის წინააღმდეგობა, როდესაც აეროპლანებს ჩვენებმა სროლა აუტეხეს ... მთელმა დღემ მშვიდათ ჩაიარა, ცოტა [გვ.96] დავისვენეთ, ფეხები კი უფრო გაგვეყინა. ვუცდიდით მტერს, მტერიც ნელ-ნელა მოდიოდა. გვარდია გამაგრებულიყო ოსიაურის გაღმა ირიბათ, ჯარი, სახელდობრ, მე-7 ათასეული, მე-10 ათასეული და ლეგიონი მე-8 ათასეული[78] ჭალის შესასვლელთან, ოსიაურსა და ამ უკანასკნელს შორის. საბრალო სანახავი იყო თოვლში მწოლიარე ჯარისკაცები. მადლობა ღმერთს, რომ კავშირში ვიყავი, თოვლში წოლას ვერ ავიტანდი.

წინ თოვლი დაეგროვებინათ, ორ-ორი ყავარი ეშოვნათ, მუცელთან დაედოთ, მაგრამ თოვლი დნებოდა და აღარც ჯდომა არ შეიძლებოდა, ზოგიერთი ამოსულიყო თავის თხრილიდან, ორი ფეხი აგურებზე შეედგა და ისე მხეცივით გამომყურე იცდიდა, გეგონებოდათ 5 წამის მეტი არ გაჩერდება ასეო, თითქოს ვიღაცას ელოდა. ყველას სასაცილოთ ჩამოეკიდათ შევროს ფეხსაცმელები წელზედ, არავის არ შეეძლო მათი ჩაცმა, ყველას იმედი ჰქონდა, რომ ომის გათავებისას ყველა უვნებელი წავიდოდა თავის სახლში და შემდეგში გამოადგებოდა ეს ფეხსაცმელი. ზოგი, ალბათ, საიქიოსთვის ინახავდა. ისე კი ყველანი საძაგელი შესახედავი ვიყავით: ორ-ორი კვირა პირი არ დაგვებანა, პარაზიტებით გავსილი ვიყავით; მოფხანვაც კი გვეზარებოდა, ქუდებს ყურებამდის ვიშვებდით, ვინაიდგან თავიდგან კისერში ვარდებოდა

.... ———————————————— ....

[77] იგივე უნტერ-ოფიცერი, სერჟანტი.

[78] აქ უნდა იყოს ან მერვე ლეგიონი, ან მერვე ათასეული, ომის დროს რეალურად ათასეულები ვერ გაიშალნენ პოლკებად (ლეგიონებად).

საქართველოს ეროვნული არქივი

პარაზიტი. ერთი შემთხვევა რომ ყოფილიყო ტიფისა, ყველანი ორ დღეში [გვ.97] ამოვწყდებოდით. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ღამე ერთმანეთზე ვიწექით სიცივის გამოისობით, ვინაიდგან ბუნებას როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები ფეხებზედ ეკიდა.

დაღამდა. ასე ღამის 11 საათი იქნებოდა, ყველა შიკრიკები საჩქაროდ წამოგვყარეს, ეხლაც არ ვიცი რატომ, შეიძლება სტრატეგიულის მოსაზრებით, ბოლშევიკებს ცოტა დაეხიათ, ბრძანება მოვიდა რუსულად გენერალურ შტაბში: „Къ разсвету наступать“-ო[79]. ჩვენი კავშირის მდივნები ამუშავდნენ, მრავალი პაკეტები დაამზადეს, რომელიც შუაღამეში ჩვენ-ჩვენი ათასეულების შტაბებში ჩამოვარიგეთ. შეიქნა ფაცაფუცი ყველა სოფლის ჩამქრალ ქოხებში. ჩემი გუნდიც მოემზადა, საჭირო იყო, ავადმყოფების და სხვადასხვა მოვალეობის აღმასრულებელთა გარდა, რამდენი მეომარი იყო ხელზედ. მთელ მე-7 ათასეულმა 270 კაცი აღნიშნა, ერთი მეათედი იმისა, რაც თბილისში იყო. საკვირველი იყო, სად დნებოდა ეს ხალხი, დეზერტირები ასობით იყო, მაგრამ მათ ათეულობით ხვრეტდნენ. როდესაც მთავარ შტაბში მოვიტანე ცნობა, რომ მე-7 ათასეულს 270 ხიშტი ჰყავს, ოფიცრებმა სიცილი დაიწყეს, მაგრამ სხვა ათასეულებში ნაკლები აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ ღამე იყო. სოფლის ორღობეებში ჯარის სხვადასხვა ერთეულები გამწკრივებულიყო. ჩვენც მთელი ბარგი-ბარხანით, რუქებით და ტელეფონებით გავუდექით გზას ოსიაურის მიმართულებით. ჩვენი, ესე იგი მე-2 ბრიგადის შტაბი ცხენებით წავიდნენ. ჩვენ [გვ. 98] უნდა მივსულიყავით ოსიაურში. პირვანდელი თხრილები მივატოვეთ. ოსიაური ჭალიდგან მგონი 3-4 ვერსის მანძილზეა. ასე რომ, ჩქარა მივედით დანიშნულ ადგილას. ჩვენი ამხანაგი ჯიღაური ძლიერ შეგვნატროდა, მე და ბილანიშვილს, მაგრამ მაინც სულ წინა თხრილში, ოსიაურიდან 1 ვერსზედ გაიყვანეს. მე და ბილანიშვილს ძლიერ გვებრალებოდა ჯიღაური, მაგრამ ჩვენ რა შეგვეძლო. თბილისის მიტოვების შემდეგ ეს პირველი წაწევა იყო. ბოლშევიკებს თავიანთი ჯარისკაცები დაეხვრიტათ, ვინაიდგან ცოტა დაეხიათ. ბოლშევიკებს ეტყობოდათ, რომ სურამის ქედის გადაყლაპვა ცოტა ეშინოდათ. ეხლა მოვიყვან პატარა ნახატს ხაშურის მიდამოსას, სადაც ჩემი ათასეული იყო [გვ.99].

3 მარტი[80]

ტყის პირას იყო ჩვენი შტაბი გენ. სუმბათაშვილის მეთაურობით, ტყის უკან კი მახარაძის ოთხი სამთო ზარბაზანი ჯორებით. მახარაძე თითონ იყო წისქვილის წინ და ათვალიერებდა მტერს, რომელიც ჩვენსავით გაშლილ თოვლიან ველზე იყო.

დილიდან არ შეწყვეტილა სროლა არც გვარდიისაკენ, არც – ჩვენკენ. არტილერია გაუჩერებლივ მუშაობდა. ბოლშევიკების მიზანი კი იყო ხაშური, ჩვენი

.... ———————————————— ....

[79] „გათენებისას შეუტიეთ“ (რუსულად).
[80] სინამდვილეში უნდა იყოს 4 მარტი.

საქართველოს ეროვნული არქივი

კი ასე ამრიგათ: გვარდიას უნდა აეღო რომელიღაც ნომერი გორა, ჯარს კი – ახალსოფელი[81]. ახალსოფელზე სროლის ბრძანება ჩემის ხელით მივუტანე მახარაძეს. მან ქაღალდი გამომართვა, წაიკითხა, მწარედ გაიცინა და ქაღალდი ჩემსკენვე გადმოაგდო. ამის შემდეგ მოვბრუნდი ტყის დასაწყისთან. ტელეფონები გაცხარებით მუშაობდნენ, ერთ წამს არ შეწყვეტილა სროლა. ტყვიები, ყუმბარები და შრაპნელები ყურებს მიხევდნენ. ყველა რაღაც აღელვებული იყო. ამ დროს შემთხვევით ვნახე კოლა, რომელსაც რამოდენიმე კაცი ახლდა და მართულს ახვევინებდა. ისე გარეტიანებული ვიყავი, რომ ვერც კი ვუთხარი ვერაფერი. ბოლოს მოვიდა ჩვენ ოფიცრებთან, რაღაცეები ელაპარაკა გარსიაშვილს, რასაკვირველია, რუსულათ, ჩემზედაც ვიღაცას რაღაც უთხრა, მოწაფეა, მოხალისეაო და წავიდა.

ამასობაში შრაპნელები წვიმასავით წამოვიდა, ჯავშნიანი მატარებელი ხშირად გადიოდა წინ და ისროდა. ბოლშევიკები სცდილობდნენ რკინისგზის გაფუჭებას. დაჭრილები თითო, ორ-ორი მოჰყავდათ, ზოგი თითონ **[გვ.100]** მოჩანჩალებდა. ჩემი ერთი ნაცნობი გოგნიაშვილი ფეხში დაჭრილიყო და ასკინკილა სიცილით მორბოდა. ზოგი კი ზურგით მოჰყავდათ. ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ დაჭრილები, ყველანი შტაბთან გადიოდნენ და ოფიცრები ცნობისმოყვარეობით ჰკითხავდნენ, თუ სად და ვინ როგორ იყო დაჭრილი. სანახაობა სულ გაგვიფუჭდა, როდესაც მოიყვანეს, უკეთ ვთქვათ, მოათრიეს ფეხებით და ხელებით მოხალისე ხიპაშვილი. სახე ჩანგრეოდა და საშინლად ორთქლმავალივით ქშინავდა. ექიმი მოვიდა, ბამბები დააჭყლიტა კიბოსავით გადმოსულ თვალებზე, მაგრამ 15 წამი კიდევ ფხაჭნა მიწა ხელებით და ფეხებით. ამ ხიპაშვილს მგონი სიკვდილი არ უნდოდა. რაღაც ჯიუტობდა. სუმბათაშვილმა არაერთხელ მისცა შენიშვნა ექიმს, მოჰხედეთ დაჭრილსაო, მაგრამ ექიმმა მიაყვირა: უკვე მკვდარია, აღარაფერი სჭირიაო. მე ისე ახლო მივედი, რომ სისხლიც კი შემომესხა, რაღაც გიჟივით ვაშტერდებოდი. ხიპაშვილი ჯერ კიდევ ფეხებს აფხაკუნებდა, რომ ვიღაც ტუტუცი დაიკუზა და დაუწყო ფეხსაცმელების გახდა. მე ვკითხე: მერე არ შეიძლება გახადო-მეთქი. მიპასუხა: მერე ფეხი სწორე რჩება და ძნელი გასახდელიაო; წააძრო მომაკვდავს ახალი ფეხსაცმელები და იქავ ჩაიცვა. თითონ წინდებით იყო თოვლში. ამ პატარა სცენამ ძლიერ ცუდათ იმოქმედა ჩემზე.

.... ———————————————— ....

[81] უფრო დაზუსტებით, 4 მარტს მარჯვენა საბრძოლო უბანს, რომელსაც გენერალი სუმბათაშვილი მეთაურობდა, უნდა შეეტია სოფელ აღარაზე (დღევანდელი აგარები), ხოლო შემდეგ – სოფელ ზემო გომზე, შუა საბრძოლო უბნის მეთაურს, გენერალ მაზნიაშვილს, უნდა შეეტია მდინარე სურამულას გასწვრივ, აეღო სოფელი სატივე და შემდეგ სიმაღლე 332. მარცხენა საბრძოლო უბანს, რომელიც შედგებოდა გვარდიის ნაწილებისაგან, უნდა შეეტია სოფელ აზარიდან მდინარე ბუნეულამდე, მარჯვენა ფრთით სიმაღლე 332-ზე, ხოლო მარცხენა ფრთით სოფელ ნაბახტევზე. კიდევ უფრო მარცხნივ გვარდიის ცხენოსანი რაზმი იწყებდა შეტევას სოფელ ალიდან ახალუბანზე გავლით. მარცხენა ჯგუფის რეზერვს გენერალ ჯიჯიხიას მეთაურობით უნდა შეეტია სოფელ ქემფერზე, შემდეგ სიმაღლე 83-ზე სოფელ კლდისწყაროს ჩრდილოეთით. მარჯვენა ჯგუფის რეზერვი რჩებოდა მთავარსარდლის განკარგულებაში. ასევე მარჯვენა ფრთის დაცვა ევალებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადასროლილ ორ ასეულს, რომელთაც უნდა დაეკავებინა სოფლები მიწობი და წრომი (დიმიტრი სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა, გვ. 250-251).

საქართველოს ეროვნული არქივი

3 კაცი დაიჭრა და ორი მოკვდა ჩემ გუნდში, მეორეც ჩქარა მოათრიეს და იქვე დააგდეს. [გვ.101] ამასობაში, ბრძოლა მაინც არა სცხრებოდა. ჩვენი მიზანი იყო ახალსოფლის აღება იმ დროს, როდესაც გვარდიას უნდა აეღო რომელიღაცა ნომერი გორაკი. ამ დროს მტკვრის გადაღმა გამოჩნდა შავი მწკრივი ცხენოსნებისა, თითო-თითო განცალკევებული მოსრიალებდნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ. ჩემმა გუნდმა მარცხენა ნაპირიდგან დასცხო მტრის კავალერიას. ასეთი მხურვალე სროლა აქამდის არ გამეგონა. ცხენოსნები შეჩერდნენ, პატარა ხნის შემდეგ კი უკანვე გაჰქუსლეს.

პატარა-პატარა ანტრაქტებით მთელი დღე გრძელდებოდა ტკაცატკუცი. ჯარისკაცებს არავითარი ხალისი არ ჰქონოდათ ბრძოლისა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თბილისს ვეღარ დაიბრუნებდნენ. იძახოდნენ: თბილისი უჩხუბრათ მიგვაცემინეს და ეხლა უკან აღება რა დროსიაო. ერთმა (უთუოდ ბოსლეველი) იყო: „არა, აქიდან არ ღირს, წევიდეთ ბოსლევში და იქიდგან ევიღოთ თბილისიო“. როდესაც ამისთანაებს ლაპარაკობს ჯარისკაცი, მაშინ გამარჯვებას დამარცხება სჯობია. ყოველი ჯარისკაცი ხმამაღლა ბჭობდა და თავის აზრს ემყარებოდა. ზოგიერთი, ალბათ, ეს-დეკი იძახოდა: ნოე ჟორდანიამ ჩვენზე მეტი იცის. რადგან გვაჩხუბებს, ალბათ, მიზანი აქვსო! ... მაგრამ, ვაი, რომ ნოე ჟორდანიამ ყველაზე ნაკლები იცოდა იმ დროს. ჯარისკაცები აშკარათ დეზერტირობდნენ, არავისი ერიდებოდათ.

ამ დროს ტელეფონით ურეკავდნენ ჩვენ შტაბს: „გვიშველეთ, ტყვიები გამოგვიგზავნეთ, 50-50-ღა გვაქვსო ... ჯარისკაცები გამოვგზავნეთ ჯავშნოსანით ტყვიების მოსატანათ და არ მოდიანო“ ... გენერალი [გვ.102] სუმბათაშვილი გასწყრა: რა ჩემი საქმეა თხრილში ტყვიების მიწოდებაო, ბევრი აბრახუნა ფეხები. ნათელი იყო, რომ ტყვიებზედ გამოგზავნილნი იპარებოდნენ, არავის არ უნდოდა გაცხარებულ სროლაში, ტრიალ მინდორზედ ტყვიების მიტანა. ამასობაში მეორეთ დაურეკეს, ტყვიები მოგვაშველეთო, შიკრიკები, ვინც გაგზავნილნი არ ვიყავით, ბრძანებებზედ ვიდექით იქვე. ბოლოს მოგვიტრიალდა და ჩვენ ოთხს: „Ничего поделаеш, придется вам отнести“-ო[82]. აბა უარს ვინ იტყოდა. ბევრად არაფრად გვეჭაშნიკა, თუმც ტყვიის მიტანასავით საფრთხილო იყო ბრძანებების დატარება სხვადასხვა მომქმედ ათასეულების შტაბებში, რომლებიც ტრანშეებთანვე იმყოფებოდნენ.

გავექანეთ ფურგონისაკენ. ფურგონში თითქმის ინგლისური ტყვიები იყო. მე-3 ათასეულის ლეგიონს კი რუსული თოფები ჰქონდათ. ტყვიების გამანაწილებელი ვიღაც რუსი იყო; ვინტოვკის ტყვიები რომ ვთხოვეთ, იყოყმანა, ორი ყუთის მეტი არა მაქვსო. აი, სად იყო ჩვენი ტრაგედია: მთელი ტყვიები თოვლში ჩავყარეთ ყველაგან და ეხლა, ორი ყუთის მეტი აღარ იყო შეტევაზედ გადასვლის დროს. დავავლეთ 4 კაცმა ამ ორ ყუთს ხელები და სირბილით გავექანეთ მე-8 ლეგიონის თხრილისაკენ, რომელიც მე-7 ათასეულის გასწვრივ იყო. გზა კარგად არ ვიცოდით, ტყვიები უნდა მოგვეტანა მე-8 ათასეულის [გვ.103] უახლოეს პოსტამდის, მერე თითონ უნდა გაეგზავნა ამ

.... ———————————————— ....

[82] „ვერაფერს იზამთ, მოგიწევთ წაღება“ (რუსულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

პოსტს ტყვიები. ეს გარკვევით გვითხრეს შტაბში, ვინაიდგან ჩვენ საჭირონი ვიყავით პოსტთან.

შრაპნელები საზიზღრათ, იისფერათ სკდებოდნენ. ყუმბარების აღარ გვეშინოდა, დაახლოებით ვიცოდით, სად დაეცემოდნენ, შრაპნელები რაღაც ძლიერ უსიამოვნო იყო, არ ვიცოდით, სად სკდებოდა ... ეხლა ეფექტის მოხდენა ჩემი საქმე არ არის. ვინც ყოფილა შრაპნელების წვიმის ქვეშ, ის კარგათ წარმოიდგენს. სიმართლეს ვიტყვი: ძლიერ სასიამოვნო არ იყო მუხლებამდის თოვლში სირბილი და 2 ფუთ-ნახევარ ყუთის თრევა. ყუმბარებს და ტყვიებს წამდაუწუმ ვუწვებოდით; სირბილის გამოისობით იისფერი გვედო სახეზე. გული თოვლზე წოლით დაგვსველებოდა. როგორც იქნა, ბევრი ვაივაგლახის შემდეგ მივაღწიეთ ერთ პატარა ქოხს, რომელშიდაც იყო მე-8 ათასეულის შტაბი. მთელი რკინისგზის პირი ამოთხრილი იყო ყუმბარებით. ერთი ყუმბარა ზედ რკინის გზის სადარაჯოს კედელთან გამსკდარიყო და მთელი კირი ძირს ჩამოეფშვნა. მიუხედავათ ამისა, შიგ მოთავსებულიყო შტაბი.

მივედით დაბალ კარებთან. ორი ჯარისკაცი ამოფარებოდნენ კედელს მეორე მხრიდგან და ყარაულობდნენ. ყველას ცხვირი განსაკუთრებულათ ჩამოეშვა. უნდა ვსთქვა, რომ [გვ.104] ეს ორი ჯარისკაცი, მიუხედავათ ცხვირ-პირის შეხედულებისა, ძლიერ ჭკვიანები იყვნენ. დამამტკიცებელი საბუთიც: ორივენი შიკრიკები იყვნენ, ქოხიდგან თხრილში მიჰქონდათ ბრძანებები. იცოდნენ, რომ ტყვიები უნდა მოსულიყო და მათ უნდა წაეღოთ, ამიტომ, როგორც ახალგაზრდები და გამოუცდელები, დაგვჯაბნეს, თოფები მოგვიღერეს: თქვენ თითონ მიიტანეთ თხრილამდე, აქ შემოსვლა არ შეიძლებაო. ჩვენ გავძალიანდით, ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ გენერალმა გვიბრძანა, ჩქარა მობრუნდითო. ერთი შიკრიკი აღარ იყო მე-2 ბრიგადის შტაბში. პატარა ხანს შევიცადეთ და რას ვიზამდით, გადავსწყვიტეთ, ესენი აყალმაყალს აგვიტეხდნენ და ისევ მივიტანოთ. თითქმის ოთხზედ დავიწყეთ ცოცვა, ის ოხრები სწორეთ რკინისგზის გაფუჭებას სცდილობდნენ, ჩვენ კი სწორეთ რკინისგზას ვეფარებოდით, რადგან მარცხნიდგან უფრო მეტი მოდიოდა ტყვია, ვიდრე პირდაპირ. ერთი, ორი, სამი ... სკდებოდა ყუმბარები ბუბუნით. თითქმის ვიცოდით, სად ეცემოდა. ჩვენ მხოლოდ სამთო ზარბაზნები გვქონდა, მტერს კი საველეები მოეტანა, ამან ძლიერ გაანცვიფრა ყველა, მითუმეტეს, რომ ხიდები [გვ.105] აფეთქებული იყო და გზით კი ჩვენი ზარბაზნების ბედი უნდა სწვევოდათ: თოვლში ჩაფლვა, ცხენების სიკვდილი და გაფუჭება.

ჩვენი ოფიცრები მხოლოდ მტრის ქებაში იყვნენ, რომელიც ისე მშვენივრათ ისროდა მიზანში, ტრანშეიას რომ დაჰყვებოდა; ისე მწკრივით ისროდნენ, რომ მთელი ჯარისკაცები თხებივით ამორბოდნენ და ძლივსძლივობით ჰყრიდნენ უფროსები მათ თხრილში. ამ ალიაქოთში ერთი ყუმბარა რაღაც ნელი შიშინით წამოვიდა. ცხადი იყო, ჩვენ ახლო ან ჩვენზედ გასკდებოდა. ყუთი დავაგდეთ და ერთმანეთისაგან განდაგან დავეგდეთ მიწაზედ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ყუმბარის ერთ-ერთი ნატეხი ყუთს მოხვდებოდა და დავშავდებოდით ყუთთან სროლით. ყუმბარა ზედ რკინისგზაზედ საშინელის ხმით გასკდა ისე, რომ პატარა ხანს არაფერი გვესმოდა. ჩვენ რკინისგზასთან რომ რუა, იმაში ვეგდეთ, მთელი მიწა და მოხარშული ქვები ჩვენ და ყუთს გადმოეყარა. თავზედ ხელი მოვიჭირე, რომ ხმის გამოისობით არ გამსკდარიყო ან

საქართველოს ეროვნული არქივი

შეიძლება ინსტიქტურათ. ყველაფერი ეს ზედ გადაგვეყარა. ჩვენ გვეგონა, ეს არის გავთავდით-თქო, როგორც ოჰანეზას, ერთმანეთს მე და ბილანიშვილი ტუტუცებივით მივაშტერდით. [გვ.106] ჩემი ამხანაგი ისე საშინლათ იყურებოდა, რომ მეც შემაშინა, ალბათ, მეც მმასავით (!) საშინელი სახე მქონდა. წამოვდექით სიცილით და გინებით, ძლივს ფეხზედ ვიყავით. იგივე სცენა განმეორდა. ამან ძლიერ გაგვაჯავრა, ნამდვილათ ჩვენ გვესვროდნენ. კიდევაც გავიხუმრეთ. თხრილამდი ცოტაღა გვაკლდა, მაგრამ ამ ცოტამდი ტყვიები წვიმასავით მოდიოდა. გაშლილ მინდორში მტერი თხრილიდგან ამოყრილ და წინ დაყრილ თოვლს და მიწას კარგათ ჰხედავდა და კარგათაც ისროდა. წამოვდექით მეორეთ ფეხებზედ, არ ვიცი, რამდენჯერ წაგვაქცია ყუმბარამ ამასობაში. ეხლა კი მართლა ვიღაც მიზანში გვესვროდნენ ტყვიისმფრქველით, ვინაიდგან ოთხი კაცი ორი ყუთით ნათლად ვემჩნეოდით თოვლზედ. ფეხებში რომ დაგვიარა ტყვიამ და ჩვენ ახლოს დაიწყო თოვლში შერჭობა, მართალი რომ ვსთქვა, ცეკვა არ ვიცოდი და სულ ნაურული (?) გვათამაშა. ეხლაც მიკვირს, როგორ გადავრჩით მაშინ ან არსად დავიჭერით. ტყვიები კი აღარ სისინებდნენ, ტყაპატყუპი გაჰქონდათ. ეს ნიშნავდა, რომ იქვე ეცემოდნენ. ამას გარდა, ვხედავდით, სადაც ეხეთქებოდნენ, მაგრამ ომი არც ისე საშინელი ყოფილა, თორემ აქამდის ერთი ჯარისკაცი არ [გვ.107] გადარჩებოდა. იმდენს არ სწვიმს, რამდენსაც ჰქუხს და იმდენს არ ჰხვრეტს, რამდენსაც სწვიმს. ამას გარდა, სტატისტიკით იციან, რომ ადამიანის სივრცისოდენი ტყვიაა საჭირო ერთი კაცის მოსაკლავათ.

თხრილთან თითქმის მივედით, ყველა ჩაკუზულიყო, ბოლშევიკებს ასროლებდნენ, როგორც ყოველთვის, და 50-50 ტყვიით უცდიდნენ მტრის შეტევაზედ გადმოსვლას, რათა ყოველ ტყვიას მიზანი განეხორციელებია. ეს თავშეკავებულობა და წესი, მგონი რომ, ძლიერ მოსაწონი იყო, მაგრამ ამას, მგონი, ტყვიის უქონლობაც უწყობდა ხელს.

ყველამ ერთად დაგვიქნია ხელი, დაიკუზეთო, მაგრამ მიწაში ხომ ვერ ჩავძვრებოდით, ჩავხტით ბოლოს თხრილში. ძლივს ამოვისუნთქეთ. ტყვიები ჯარისკაცებმა დაირიგეს. ჩემ ცხოვრებაში ჯერჯერობით ამაზედ დიდი განსაცდელი არ გამევლო და არც მგონია, რომ სადმე ჯარისკაცებს ასე ღია მინდორზედ, უკანიდგან, მიეტანოთ ტყვიები. ამისთანები მხოლოდ ქართულ ჯარში ხდებოდა. ეს ყველაფერი კარგი, ეხლა უკან წასვლა ... სიმართლე რომ ვთქვა, აქ დარჩენა გვირჩევნოდა, ვიდრე კიდევ ამოსვლა თხრილიდგან. მეორეთ ხომ ვეღარ გადავრჩებოდით. ცოტა დავისვენეთ და ამოვხტით თხრილიდგან. შტაბში რომ არ მივსულიყავით, [გვ.108] დეზერტირებათ ჩაგვთვლიდნენ. სროლა იმავე კურსით მიმდინარეობდა. ჩვენ, ოთხივე შიკრიკი, კმაყოფილნი ვიყავით. ვგრძნობდი, რომ მართლა რაღაც საქმე სასარგებლო გავაკეთეთ. გიჟებივით მოვუსვით ტყისკენ, არ ვიცი, თუ მტერი გვხედავდა, ვინ ვეგონეთ ეს ოთხი ორფეხა მერანი, თანაც დანარჩენ ნაწილების გვეფრთხილებოდა. ეხლა ყუთები აღარ გვქონდა და იქნებ დეზერტირები ვეგონეთ. ვეცადეთ იმავე გზით გამობრუნება. ყუმბარები ზოგი არ სკდებოდა, რომლებიც სკდებოდა, გარშემო თოვლს და მიწას ერთმანეთში ურევდა და ნაცრისფერი ბოლი ვარდებოდა. მთელი ტრიალი მინდორი შავი წერტილებით დაისერა, შრაპნელები კი ისე ორფრათ სკდებოდნენ, უკეთ ვსთქვათ, იხეოდნენ.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოვირბინეთ მახარაძის პოსტამდის, გვითხრეს ჩვენი ამბავი. იქვე იყო ლეიტენანტი გოგა ერისთავი. მოკლეთ ავუწერეთ ამბავი მახარაძეს. ტყის უკნიდგან ერთი ზარბაზანი იქვე გამოეყვანა, ჯორები შიგ შებმული ჰყავდა და ისე მგონი საშინჯავათ, თუ არ ვიცი რათ, ტრიალ მინდორიდან ისროდა. ყოველ გასროლაზედ ექვსი ჯორი ერთად იქნევდა ყურებს და სამჯერ გააქანებდა. ამაზედ სიცილიც კი აგვიტყდა. ამასობაში ერთი ყუმბარა ზედ ზარბაზნის ტუჩთან გასკდა. ჩვენი ჯორები შეხტნენ. ეხლაც არ ვიცი, რათ [გვ.109] შინჯა მახარაძემ ზარბაზნის საფარიდგან გამოყვანა: იქნებ მტრის შეშინება უნდოდა ან მიზანი ეპოვა. ის კი ვიცი, რომ ზარბაზანი უკანვე ტყისაკენ გააგზავნა და მე და ჩემი ამხანაგებიც ამის შემდეგ ჯორების გზას გავყევით. მივედით შტაბში. უფროსებს და ამხანაგებს ვუამბეთ ჩვენი ამბავი, გვითხრეს კიდეც, თქვენი საქმე არ იყო თხრილამდის მიტანა, მაგრამ რას იზამდითო. ამასთანავე, მინდა ავწერო, თუ რა მანძილი იყო შტაბსა, მახარაძის წისქვილსა და თხრილს შორის, რომ მკითხველმა არ წარმოიდგინოს, რომ ჩვენ ქუთაისის შტაბში გვქონდა საქმე. შტაბი იყო მოთავსებული იქ, სადაც ბრძოლის ველი თავდებოდა, ტყის შესავალთან. მთელი ავეჯი იყო ერთი კონა ჩალა და ორი ტელეფონის აპარატი სამი ცხენით. წისქვილი, საიდანაც მახარაძე იყურებოდა, იყო 200 ნაბიჯზედ და სულ კი თხრილი შტაბიდან - 400-500 ნაბიჯზედ.

ამასობაში დაბინდდა, მტერმა ვერაფერი ვერ იმოქმედა, ჩვენც იმავ თხრილებში დავრჩით. ასე ამრიგათ, გადაწყდა, რომ ყველაფერი უცვლელათ დარჩებოდა მეორე დილამდი. კიდევ ერთმანეთი გვეჭამა და გვეკლა. შტაბმა გადასწყვიტა ღამის 10 საათზედ ოსიაურში წასვლა ღამის გასათევად 500 ნაბიჯზედ უკან. მაგრამ ამ დროს მოისმა ტყეში რაღაც ხმაურობა, ჩხუბი, სროლა. მთელი ჩვენი ქართული მამაცი ჯარი [გვ.110] ამობრძანებულიყო თხრილებიდგან და თითქოს შტაბის განზრახვა გაეგო, მასთან აპირებდა ოსიაურში ჭერქვეშ გათევას. გენ. სუმბათაშვილმა დაურეკა ხაშურს: გამოგზავნეთ ერთი როტა, ჯარისკაცები ამორბიან და გზები შეჰკარითო. რამოდენიმე ჯგუფი ზედ შტაბს წამოადგა. გარსიაშვილი წამოხტა და დაუყვირა: ვინ ხართ, საით იპარებითო. ჯარისკაცები დაიბნენ: გვშია, გვცივა, აღარ შეგვიძლიანო. პირველად ვნახე მაშინ წვერულვაშიან კაცის ცრემლები. ნერვები ყველას ისე მოშლოდა, რომ ბავშვებივით სლუკუნებდნენ. გენერალმა დაუყვირა: რა მოგდისთ, თქვენ 3000 მკვდარი ერთად, ალბათ, არ გინახავთ, თორემ ასე არ მოიშლებოდით. ჯარისკაცებმა უპასუხეს, რომ მკვდრები კი არ იყვნენ მიზეზი, არამედ შიმშილი და ფეხშიშველობა. ერთი-ორი ჯარისკაცი ვერ ამჩნევდნენ გენერალს და გვერდში ამოუჯდნენ. გენერალმა გაოცებით გადაჰხედ-გადმოხედა, აღარაფერი გაუდიოდა. თავაშვებულ ჯარს ისევ ტყვია თუ დააშოშმინებს, თორემ სიტყვა არ გავა. მე წავავლე ერთ-ერთს ხელი და ვუთხარი: სად ჯდები, ეს შტაბია, გენერალია-მეთქი. ამაზედ გამოერკვნენ და წამოხტნენ. ჯარისკაცები გაგვშორდნენ. სხვები კიდევ მოდიოდნენ. გენერალმა აღარ იცოდა, რა ექნა. როტის იმედით იყო, რომელსაც [გვ.111] გზა უნდა შეეკრა, მაგრამ მაინც თავისი ტელეფონისტები და შიკრიკები დაგვადევნა ჯარისკაცთა დაჯგუფების შესაჩერებლათ. ჩემსკენ კინაღამ და ჩემ ორ ამხანაგს ჯარისკაცებმა ისეთი სროლა აუტეხეს, გენერლის შიკრიკებს, რომ იცოცხლეთ, შიკრიკებმა უკან მოუსვეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩემი მხრიდგან მოისმა აყალმაყალი, ჯარისკაცები ჩხუბობდნენ. გენერლის მოთხოვნილი როტა ყველას უკან აბრუნებდა. ჯარისკაცები არ ბრუნდებოდნენ, დახვრეტით აშინებდნენ. მე ჩავერიე ლაპარაკში, ავუხსენი როტის უფროსს, რომ გენერალმა დაგვადევნა და ჯარისკაცები არ უჯერებენ-თქო. თითქმის ერთმანეთში გაიმართა ბრძოლა. ბოლოს, როგორც იყო, ძალით ჩაჰყარეს ჯარისკაცები თხრილში. საშინლათ ცივოდა და წვრილი თოვლი მოდიოდა. ჩვენ შტაბთან ცეცხლი გვენთო და სიცივით ვკვდებოდით. ჯარისკაცებმა ცრემლებით სთხოვეს გენერალს, სიცივით ვკვდებითო, მთელი დღე არაფერი გვიჭამია, ამ ტყეში მაინც გავთბებით ცოტა ხანსო. გენერალმა გადასწყვიტა, რომ ზოგი ტყეში ცეცხლს დაანთებდა, ზოგი თხრილში ჩაძვრებოდა, შემდეგ კი გამოიცვლებოდნენ. ჩვენი ამხანაგი ჯიღაური ამ უბედურების თხრილში იყო და აღარ ვიცი, რა უყვეს – დასჭრეს, მოკლეს თუ იმ ღამეს გაიყინა.

გენერალი გიორგი კვინიტაძე (ცენტრში) ჯარისკაცებთან ერთად
[1918 წელი]

საქართველოს ეროვნული არქივი

გენერალს ძლიერ ებრალებოდა თავისი ჯარისკაცები. თითონ სთქვა, ასეთ პირობებში **[გვ.112]** ყოვლად შეუძლებელია დილის 6 საათიდგან ფეხშიშველი თოვლში, ესე იგი წყალში არიან და არაფერი არ უჭამიათ. ამას გარდა, მთელი დღე სროლა არ შეჩერებულა. ალბათ, რუსებსაც სცივოდათ, ვინაიდგან ისეთი ჭიაკოკონები დააბრიალეს, გეგონებოდათ უქმეა და არა ომიო. შტაბმა კიდეც შეატყობინა კვინიტაძეს[83], მტერმა ისეთი ცეცხლები დაინთო, თითქოს დაგვცინისო. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი ბ-ნი ოფიცრები ოსიაურის ერთ-ერთ ქოხში ავიდნენ, სადაც ერთ შიკრიკს ვახშამი დაემზადებინა და თივა. ჩვენ კი, დანარჩენი შიკრიკები და ტელეფონისტები, შევძვერით მიწურში, სამზარეულოში. ისე მოსხლეტილნი ვიყავით, რომ ბევრს დაეძინა. ვისაც ძლიერ გვშიოდა, განჯინაში ფათური დავიწყეთ, როგორც ეტყობოდა, შეძლებული გლეხი იყო. აუარება ლობიო და ქერ-პური მიეტოვები[ა]. სხვადასხვა კიდობნებში აღმოვაჩინეთ ლობიო და ხახვი, ქოთანიც იქვე იყო და ვახშმის მოლოდინში წამოვწექით. მე და ჩემი ამხანაგი ბოსლის რგვალ ხეებში, ნეხვით ამოვსილში წამოვწექით, გვეგონა აღდგომას ვათევთ, ერთხელ ტკბილად დავიძინებთ-თქო. შიკრიკების უფროსი მჟავანაძე ოფიცრებთან ასულიყო ბრძანებების მისაღებათ. როდესაც ჩამოვიდა, მე და ჩემ ამხანაგს გვიბრძანა: **[გვ.113]** ღამის პირველ სა[ა]თზედ ზემო ოსიაურში წახვალთ მაზნიაშვილის[84] შტაბში, როგორც მე-2 ბრიგადის შტაბის შიკრიკებიო. ეს ამბავი მეხივით გვეცა. ისე გავმწარდი, რომ კინაღამ ბრაზით გინება არ დავიწყე. ამაზედ მჟავანაძეც გასწყრა: თქვენი საქმე არ არის! ეხლა მე

[83] გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970), ქართველი სამხედრო მეთაური. დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველ მსოფლიო ომებში (1914-1918). იყო წმინდა გიორგის IV ხარისხისა და სხვა მრავალი სამხედრო ორდენის კავალერი. დამოუკიდებლობის პერიოდში გამოირჩეოდა განსაკუთრებული პოპულარობით, აქტიურად მონაწილეობდა შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. თავი გამოიჩინა სომხეთ-საქართველოს ომში, 1919 წელს სერვერ ბეგის, 1920 წლის მაისში კი - საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. რუსული დაზვერვა გენერალ გიორგი კვინიტაძის შესახებ წერდა: „ფიცხი, მამაცი, ჭკვიანი. მისი ტაქტიკა-აღტკინება, შეტევა, ჩინებული მცოდნე ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა, დიდი ინიციატივის პატრონი. მან ერთადერთმა შეინარჩუნა წესიერება თავის ნაწილებში ფრონტზედ ჯარების დაშლის დროს. ბრძოლაში სრული უშიშრობა; იცის მასების გამხნევება და მათი გატაცება. ნერვიული, განუწყვეტლივ ეწევა პაპიროსს. საუკეთესო ოფიცერი ქართული ჯარისა“ (რომან მკურნალი, მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა; გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.VI, თბ., 2005, გვ. 350). 1921 წლის ომში იგი მთავარსარდლად 16 თებერვალს დაინიშნა. თბილისთან მოწინააღმდეგეს რამდენიმე მარცხი აგემა, თუმცა მის მიერ თბილისის დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება დღემდე კამათის საგნადაა ქცეული. ომის დასრულების შემდეგ ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა და, მიუხედავად შეთავაზებებისა, სამხედრო სამსახური არც ერთი ქვეყნის არმიაში არ გაუგრძელებია.

[84] გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937), ქართველი სამხედრო მეთაური, საქართველოს ეროვნული გმირი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველ მსოფლიო ომებში (1914-1918). წმინდა გიორგის IV ხარისხისა და სხვა მრავალი სამხედრო ორდენის კავალერი. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, თავი გამოიჩინა 1918 წლის 8 აპრილს ჩოლოქის, დამოუკიდებლობის პერიოდში კი - აფხაზეთსა და სოჭის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში, ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1921 წლის ომში, თბილისთან ბრძოლების დროს, ქალაქის დაცვის ცენტრალურ სექტორს მეთაურობდა, 18-19 თებერვალს სოღანლუღის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 1921 წლის მარტში ბათუმიდან განდევნა თურქული ჯარები. 1937 წელს საბჭოთა მთავრობამ დახვრიტა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ვარ თქვენი უმფროსიო. წამოწვა სადღაც და ხვრინვა ამოუშვა. ჩვენ მასზედ ნაკლებათ დაღალული არ ვიყავით და ხვრინვაში არ ვუღალატეთ. უცებ ელდანაკრავივით წამოხტა მჟავანაძე, 3 საათია, თქვენ კიდევ აქა ხართო. გვიბრძანა, ეხლავე შეგვეჭამა ჩვენ შემწვარი და არა მოხარშული ლობიო და წავსულიყავით ბრძანებისაებრ. ნახევარ საათში კარებში გამოგვაგდო. არასოდეს არ დამავიწყდება ეს მომენტი, როგორც ყველაზედ უსიამოვნო, ღამის სამ საათზედ ლობიონაჭამი, თბილი ოთახიდან ყინვაში გამოსული. არ ვიცი ბრაზით თუ სიცივით, ცრემლები წამომივიდა.

შიკრიკობას ვარჩიე ისევ ჯარისკაცობა, რადგან ჯარისკაცს მხოლოდ საიქიოში აგზავნიან და იქ ასვენებდნენ, შიკრიკი კი ტელეფონზე ნაკლებია, როცა ტელეფონი ფუჭდება, შიკრიკი ასრულებს მის მაგივრობას. ბილანიშვილიც ჩემს გუნებაზედ იყო. უსიტყვოთ გავემართეთ ზემო ოსიაურისაკენ. არც კი ვიცოდით, თუ სად იყო მაზნიაშვილის შტაბი. კითხვა-კითხვით მივახწიეთ **[გვ.114]** შტაბს. 30-ათამდე გვარდიის და ჯარის შიკრიკი ეყარა ძირს, ტელეფონების ოთახში. მაზნიაშვილი მეთაურობდა ხაშურის ფრონტს[85]. როგორც აჩრდილები, მივედით მორიგესთან და ვაუწყეთ ჩვენი მოსვლა, მან გვიბრძანა მოცდა ამ ოთახში. მთვრალებივით ვიდექით ოთახში. ერთი კუთხე არ იყო დასაძინებლათ, ძვლები გაყინული გვქონდა და ძალით გვინდოდა მათი გათბობა. საშინელი სუნი ტრიალებდა. სადღაც დავეგდეთ, აღარ მახსოვს. ვიღაცამ წიხლები ჩაგვკრა, თურმე მაზნიაშვილის ოთახის წინ გამოსავალთან ჩავწოლილიყავით და გასავალი აღარ იყო. ხმამაღლა დავიყვირე: რა არის ,ძილი აღარ შეიძლება-მეთქი და მეორე კუთხე მოვძებნე ...

4 მარტი[86]

მეორეთაც წიხლებმა გამომაღვიძეს. გათენებულიყო, ნეტავი ეს დილა არ მენახა მეორეთ და სამუდამოთ ამოისვარა ლაფში ქართველი ჯარის სახელი. ყველა შიკრიკები ვემზადებოდით, ამ დროს მაზნიაშვილის ოთახიდგან გამოვიდა კოლა, ჩემი ნახვა გაუკვირდა და ესიამოვნა, პირი დამაბანინა, საჭმელიც მომცა და მითხრა, რომ მასთან დავრჩენილიყავი. სანამ ქვეით ვნაყრდებოდი, ყუმბარებს ალიონისთანავე გულის მომკუმშველი ხათქახუთქი გაჰქონდათ. ჩემი ამხანაგი, მშიერი, გარეთ მიცდიდა ...

[გვ.115] ერთი მოხუცი ჩამომჯდარიყო შორიახლოს და ცხვრის თავს სწმენდდა. გამოვკითხე, თუ ვინ იყო. ეს იყო სკოლის ყარაული, ჯავახელი, რომელიც, მიუხედავათ ყუმბარებისა, ჩაფიქრებული ცხვრის თავს აკეთებდა. მე ცნობისმოყვარეობით გამოვკითხე: „აქ რომ დარჩი სკოლის საყარაულოთ,

.... ———————————————— ....

[85] სინამდვილეში მაზნიაშვილი მეთაურობდა მხოლოდ შუა საბრძოლო უბანს (იხ. დიმიტრი სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა, გვ. 250).
[86] სინამდვილეში 5 მარტი.

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია თბილისში
[1921 წელი]

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

არ გეშინია? შეიძლება ეს სკოლა სულ დაინგრეს-მეთქი“. ბერიკაცმა მწარეთ ამოიოხრა: „აბა, რა ვქნა, სადღა წავიდე, ერთხელ კიდევაც დავწიოკდით, ჯავახეთიდგან აქ გამოვიქეცი და ეხლა საითღა წავიდეო!..“ ამ საუბარში რომ ვიყავით, შემოირბინა კოლას ჯარისკაცმა და დაიწყო კოლას ცხენის კაზმვა. მომაყვირა: წამოდი, უკან ვიხევთო ... ამას კი სწორედ არ მოველოდი. ნუთუ კიდევ ერთხელ უნდა მოგვჭროდა თავი? როგორც შემდეგში გავიგე, აქ ბრალი გვარდიის იყო, რომელიც უმეთაუროთ დარჩენილიყო. ჯუღელი მკლავში დაჭრილიყო და, მიუხედავათ სურვილისა, იძულებული გამხდარიყო წასულიყო. შემდეგ, როგორც ჯუღელის სიტყვიდგან გავიგე, ძალიან სწყენოდა ეს ამბავი; იცოდა, რომ საქმე ასე წავიდოდა და იმიტომ არ უნდოდა წასვლა. ამ დამარცხებას დაერქვა „გვარდიის ღალატი“ [87].

კოლას დაევლო ყველა თავის რუქებისათვის ხელი და მითხრა: „არსად წახვიდე, ჩემთან იყავი, მე შტაბში ვარ და შენზედ მეტი ვიცი, ყველაფერი გათავდა, წავიდა ხელიდანო ...“ ამან ძლიერ დამაღონა. მთელი [გვ.116] გვარდია, მარცხენა ფრთა, გიჟებივით გარბოდა ხაშურისაკენ. მე მინდოდა ჩემ ათასეულში დაბრუნება, მაგრამ გვითხრეს, რომ შიკრიკები შტაბთან უნდა დარჩეთო. რაღას ვიზამდით, ჩვენც აფიცრებთან ერთად მოვუსვით რკინისგზის ლიანდაგით. ამ დროს გადავიხედეთ ქვეით, მტკვრისაკენ, იქ, სადაც ჯარი იდგა, არტილერია და ჩემი ათასეული ტრიალ მინდორზედ ჭიანჭველებივით გარბოდა ჯარი.

აქ ისე ავღელდი, რომ ეხლაც ვერ ავწერ ამას. ჯარს ეშინოდა მტრის ხელში მოხვედრა[88], ზარბაზნები მიაჭენებდნენ მტერს, ვინაიდგან უკვე დრო იყო დაენახა ქართველი ჯარის კურდღლებივით სირბილი. მიზანი ამოეღო და ერთი ლაზათიანად დაგვიშინა ყოველნაირი ასაფეთქებელი მასალა. მიკვირს, კავალერია ან ფეხოსნები როგორ არ დაგვდევდნენ. დამფრთხალ თაგვებივით სულყველას მიგვათავებდნენ ხაშურამდის. წამდაუწუმ ყუმბარები რკინისგზის ლიანდაგზედ სკდებოდა. ოფიცრები სასწრაფოთ ეცემოდნენ ძირს. მე ისე დავკარგე ჭკუა, რომ ერთხელაც არ დავწექი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ხაშურამდის ვერ მივიდოდით. ჩემ უკან, შორიახლოს, მოდიოდა კოლა სიცილით; როგორც ომში ნაცადს, პირველად არ ენახა ამისთანეები და ნელ-ნელა მოდიოდა, რუქები ხელში ეჭირა. კოლა რომ დავინახე ასე დინჯათ მომავალი ამ მერცხლებივით მრბენ ჯარისკაცებში და ოფიცრებში, [გვ.117] რომლებიც მის ფეხებთან ებერტყებოდნენ, ძლიერ აღვფრთოვანდი. მართლაც, სულით სამხედრო უნდა იყოს კაცი, რომ ამ დროს იცინოს და ნელა

.... ———————————————— ....

[87] ვალიკო ჯუღელის დაჭრამ გვარდიის ნაწილებში არეულობა გამოიწვია, მაგრამ, სანამ ჯუღელი ფრონტს დატოვებდა და ხაშურში მთავარსარდალ კვინიტაძესთან გამოცხადდებოდა, მან შეძლო გვარდიელების დაშოშმინება, თუმცა დროებით. 5 მარტს, ღამის პირველ საათზე, გენერალმა კონიაშვილმა მთავარსარდალს უპატაკა, რომ გვარდიამ პოზიციები თვითნებურად მიატოვა და სურამისაკენ დაიხია (იხ. დიმიტრი სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა, გვ. 254).

[88] მას შემდეგ, რაც გვარდიამ თვითნებურად დაკავებული პოზიციებიდან დაიხია, არმიის მარცხენა ფლანგი დაუცველი დარჩა და ახლა ქართული არმია თავად ექცეოდა ალყაში (იხ. დიმიტრი სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა, გვ. 254).

საქართველოს ეროვნული არქივი

იაროს, თანაც ჰყვიროდა: ერთად, ჯგუფათ ნუ მირბიხართ, დაიფანტეთო. კოლა რომ არ ყოფილიყო, ეხლაც არ ვიცი, სად ვიქნებოდი. ძალიან ძნელი იყო ამ ტალღაში შეჩერება მის მოსაცდელათ, მაგრამ მაინც მოვიცადე. გუნებაში გავიფიქრე: თუ ყუმბარა გაგვხლეჩს, ბარემ ერთად გაგვხლიჩოს-თქო. საბედნიეროთ, ყუმბარები რკინისგზის ლიანდაგის მარჯვნივ და მარცხნივ, ატალახებულ თოვლში, ეცემოდნენ. აქვე ჭაობებიც იცის, თორემ ხმელი მიწა რომ ყოფილიყო, ნახევარი არ გადავრჩებოდით იმ დროს. ამას კოლაც და ბევრი იქ მყოფი დამიდასტურებს. ყუმბარები უმეტესათ მთელ-მთელი ეცემოდა. ამ დროს შევამჩნიე ერთი წვრილმანი, რომელიც აქ მოსაყვანი არ არის, მაგრამ იმ დროს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ.

რკინისგზის ლიანდაგთან ერთი ცხენი საბრალოთ გაეგლიჯა ყუმბარას, თავი და ფეხები ძლივს ერკვეოდა. მაშინ კარგად წარმოვიდგინე, თუ რა საშიშროება მოგველოდა ყველას ყუმბარით. ბევრის ვაივაგლახით მივახწიეთ ხაშურის სადგურს. ყველგან ჯარი, უთავბოლო ყვითელი ზღვა. რაც უფრო ვიხევდით ტუნელისაკენ, მით უფრო მატულობდა ტალღა დამარცხებულთა ...

[გვ.118] ხაშურის სადგურზედ მივედით იმ დროს, როდესაც კვინიტაძის მატარებელი, რომელსაც დიდი საფრთხე მოელოდა, წიფისაკენ დაიძრა. კოლას არ უნდოდა ჩემი აყალმაყალში გაფუჭება, მით უფრო, იცოდა, რომ სამუდამოთ დავმარცხდით.

მტერი სოხუმში ჩამოჭრილიყო[89]. ამან, როგორც შემდეგში გავიგე, სურამის ქედის მნიშვნელობა სრულად დაჰკარგა. ამას გარდა, საჩხერეშიდაც მტერი იმარჯვებდა[90]. მონახა ვიღაც რადიოს უმფროსი ოფიცერი ებანოიძე, მოკლედ რაღაც წასჩურჩულა და მითხრა, ებანოიძის განკარგულებაში გადაგეცი და სადაც გეტყვის, იქ წახვალო. ეს კარგი იყო ჩემთვის, ვინაიდგან ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა. ჩემი ათასეული სადღაც გამქრალიყო, სურამისაკენ მირბოდნენ თოვლში. შტაბმა არ იცოდა, ვინ სად იყო და მე რას ვიზამდი. გავყევი ებანოიძეს, კვინიტაძის მატარებელი დაიძრა და წამავლო ხელი, ამოხტიო. მეც ავხტი. ბილანიშვილი ჩემს უკან იდგა, არ იცოდა, საით წასულიყო. ყველა თავის ათასეულში უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან სხვებს ათეულობით ხვრეტდნენ, როგორც დეზერტირებს და დარწმუნებული ვარ, რომ მე და ბილანიშვილი მატარებელში არ ავსულიყავით, მიუხედავათ იმისა, რომ გვიბრძანეს შტაბთან დახევა და არა თავ-თავის ათასეულებში წასვლა, ორივეს იქვე დაგვხვრეტავდნენ.

მატარებელი ნელ-ნელა [გვ.119] დაიძრა. ყვითელ ჯარის ტალღაში ყველანი თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ ტუნელისაკენ. უმეტესობა მატარებელს ახტებოდა. ოფიცრები მთავარი შტაბისა დარბოდნენ გამწარებულნი ვაგონებში და რუსულათ დედის გინებით რევოლვერებით ისროდნენ ძირს ჯარისკაცებს.

.... ———————————————— ....

[89] რუსეთის მეცხრე წითელი არმიის 31-ე დივიზიამ 4 მარტს სოხუმი აიღო.

[90] საჩხერეში მოწინააღმდეგე გადავიდა ორი გზით: ერთი - ცხინვალის აღების შემდეგ და მეორე - ონის დაცემის შემდეგ მამისონზე გადმოსული რუსული ნაწილები სამი მიმართულებით გაიშალა; ერთ-ერთი მიმართულება, საითაც მათ შეტევა განაგრძეს, იყო ონი-ქვაგატეხილა-შქმერი-საჩხერე.

საქართველოს ეროვნული არქივი

ეს კარგა ხანს განმეორდა, ვიდრე მატარებელი მოუჩქარებდა. მატარებელი გატენილი იყო. ერთგან ჯარისკაცებმა კინაღამ მოჰკლეს მაიორი გოცირიძე, როდესაც მან დაუყვირა ჯარისკაცებს ძირს ჩასვლა, ჯარისკაცები ჩახტნენ და ერთი ლაზათიანად მოცხეს ტყვიები. სრული ანარხია, დეზორგანიზაცია, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. მთავარ შტაბის ოფიცერს ჯარისკაცები ტყვიებს ესვროდნენ. გაცოფებული მაიორი შემოვარდა ჩემ ვაგონში. ყველას, გარდა ბილანიშვილის და ჩემისა, რადიოსადგურის მწვანე ფორმა ეცვათ. ეს ეცა თვალში მაიორს, წაგვავლო ხელი და დაგვიყვირა, რომელი ათასეულის ხართო, სანამ ხმას ამოვიღებდი, წამოვარდა ტელეფონისტების უფროსი ნაცვალი, გამოეჭიმა მაიორს და უთხრა: ეს ჯარისკაცი ებანოიძემ მე ჩამაბარო. ამაზედ მიტრიალდა ბილანიშვილისაკენ, ეს კი ვიღა არისო, მაგრამ ჩვენი ბილა, უკვე ვაგონის ბოლოს რომ საიდუმლო ალაგია, იქ განისვენებდა. მაიორმა ჩაილაპარაკა: შენ აგებ პასუხს, შენი იმედით ვარო, უთხრა ნაცვალს **[გვ.120]** და განაგრძო გაჭედილი ვაგონებიდგან ჯარისკაცების ჩაყრა და ნადირობა.

შემდეგში მაიორი გოცირიძე გავიცანი კონსტანტინოპოლში, მონასტერში და ყოველივე ეს ვუამბე, რაზედაც ბევრი იცინა. მე აღარ ვახსოვდი, მაგრამ ჯარისკაცებმა რომ მოკვლა დაუპირეს, ეს კი არათ ესიამოვნა. ურემივით მივდიოდით. როგორც იქნა, ასე სამ საათზედ მივედით წიფაში. აქ გაჩერდა გენერალური შტაბი ახალი გეგმების შესამუშავებლათ. ზღვა ჯარისკაცებისა ნელ-ნელა მოდიოდა ან ეშვებოდა წიფიდგან. ზოგი ერთეული მთელ-მთელი, მწყობრათ იხევდა, ზოგი კი არეულათ, ჯგუფებათ მოდიოდა. მატარებელი იდგა სადგურზედ. გამოვედი ბაქანზედ. ოცდახუთი კაცი გაემწკრივებინათ ბაქანზედ. რაღაც საბრალოთ გამოიყურებოდნენ რაღაცის მოლოდინში. ამ დროს, როგორც გავიგე შემდეგში, სადგურიდან გამოვარდა ვიღაც გვარდიელივით ჩაცმული, მგონი, დამფუძნებული კრების წევრი ჟღენტი. წაიკითხა ყვირილით რაღაც ქაღალდი. ეს 20-მდე კაცი ისე ტუტუცურათ გამოიყურებოდნენ, რომ რაღაც სეირი არ უნდა მომხდარიყო. მე ჯერ არ ვიცოდი, ტუნელის იქით უფრო სასტიკათ ექცეოდნენ დეზერტირებს; ათეულობით ეხვრიტათ. აგერ სადგურის ბაქანზედ ტოლმასავით ოთხ-ოთხი კაცი ეწყო გასისხლიანებული. ერთი განაპირა ჯარისკაცი, როდესაც მივუახლოვდი **[გვ.121]** ჯგუფს, დაიკუზა გარშემო მოხვეული ჯარისკაცებისაკენ და ჰკითხა, რას გვიპირობენ, რა უნდათო. ეს ჯარისკაცი ვიღაც გონებიათ. მოკლე იყო. მსწრაფლათ უპასუხა: „რას გიზამენ და ყველას დაგვხვრეტენო! ...“ ეს მოკლე პასუხი უსიამოვნოთ მომხვდა, მაგრამ, ეტყობა, ამ საცოდავებს უფრო არ ეჭაშნიკათ. წვერულვაშიან კაცებმა ბავშვებივით მორთეს ბღავილი, რაზედ გვხვრეტავთ, რა ჩავიდინეთო. ამაზედ დანარჩენებმა ბღავილითვე უპასუხეს დასაცინათ. ეს სურათი ისე მძიმე და საზიზღარი იყო, ისედ მძიმე და შეხუთულ ატმოსფერაში, რომ ამას მხოლოდ იქ დამსწრენი თუ განიცდიან.

ამ დროს სადგურის წინ მოგროვილ ჯარისკაცებში ამოარჩიეს ჯალათები. მე შემეშინდა, მეც არ მომაყოლონ იმ ჯარისკაცებში, რომლებსაც უნდა დაეხვრიტათ და შევვარდი ვაგონში. ალყაშემორტყმული დასახვრეტნი ნაიყვანეს წიფის სადგურის უკან, რომ წყარო გადმოსჩქეფს, ჩამოვედი ვაგონიდგან,

საქართველოს ეროვნული არქივი

შორიახლოს გაიოზ ბერელაშვილი[91] იდგა, ხელები ჯიბეში ჩაეწყო, წვერ[ი] მოეშვა და თავის ქნევით უყურებდა. მეც მასთან მივედი, ხელი ჩამოვართვი და დავიწყეთ ბაასი დასახვრეტებზედ. ამ დროს ერთ-ერთ ჯარისკაცს ვერ აეტანა ეს სურათი და ალყიდგან გამოქცეულიყო. ამაზედ ასტყდა სროლა, დანარჩენები გამოეკიდნენ და **[გვ.122]** იქვე, ფეხსალაგთან, ნელ-ნელა სროლით ჩაჰკლეს. ამან უფრო ააღელვა ყველა იქ დამსწრენი. საცოდავები ყველა წყაროს თაღზედ გადაატარეს და სადგურის გვერდით ისე, რომ 3 000-მდე ჯარისკაცს, რომლებიც წიფის ვიწრო არემარეში იყვნენ, დაენახათ ხმამაღლა განაჩენის წაკითხვის დროს, ისე უშნოთ, ცალ-ცალკე სროლით დაჰხვრიტეს, პირველად ჩემ ცხოვრებაში ასე საზარლად ასეთ მძიმე მომენტს, ასე ახლო, ასე უდანაშაულოთ დახვრეტამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. განა ყველანი დეზერტირები არ ვიყავით, მთელი ჯარი მთავარსარდლით დაწყებული და თუნდ ჩემით გათავებული?! სულყველა ლაჩრულათ მივრბოდით, მხოლოდ როგორც იმ დროსვე და შემდეგში გავიგე, საჭირო იყო დახვრეტა, რომ ჯარი უკუქცეული, გახრწნილი შეეჩერებინათ. ამ წიფის დახვრეტის შემდეგ ყველამ კარგათ თუ ცუდათ თავ-თავისი ნაწილი მოსძებნა[92].

ჩვენი ათასეული არსად ჩანდა. მე ებანოიძეს ვუთხარი, რომ მირჩევნია ჩემ ათასეულთან ვიყო-მეთქი. მან მითხრა: ჩემ განკარგულებაში ხარ და ვერსად წახვალო. მეც ებანოიძესთან დარჩენა ვარჩიე, თუმც ყოველივე ამას მამიდაშვილობის სუნი სდიოდა და რომ მცოდნოდა ჩემი **[გვ.123]** ათასეულის ბინა, უთუოდ იქ მივიდოდი. ჩემი ამხანაგი ბილანიშვილი მივიდა სადგურის კომენდანტთან და პირდაპირ განუცხადა, რომ შიკრიკათ იყო მე-7 ათასეულიდგან, მაზნიაშვილის შტაბი დაჰკარგა და თავისი ათასეული ვერ მონახა. სადგურის კომენდანტმა ჩარიცხა რომელიღაც ბატალიონში, რომელიც რკინისგზის რაიონში წესრიგს იცავდა, მეც დავმშვიდდი ჩემი ამხანაგის ბედზედ. ამ დღიდგან ბილანიშვილი კიდევ ერთხელ ვნახე და შემდეგ ეხლაც არ ვიცი, რა ბედი ეწვია, სად არის და რას აკეთებს. დაღამდა, აყროლებულ ვაგონში ყველას ზეპირად დაგვეძინა. წიფის მიდამოებში თხრილები გაითხარა, ჯარი დახევას განაგრძობდა. ერთი ნაწილი თხრილებში ავიდა, საშინლად ჰყინავდა, განთიადისას გამეღვიძა ...

.... ———————————————— ....

[91] გაიოზ ბერელაშვილი (1892-1937) - სპორტსმენი, ქიმიკოსი; ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთი ფუძემდებელი; დააარსა სპორტული საზოგადოება „შევარდენი"; დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ხელმძღვანელობდა რუსული მე-11 არმიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელარმიელთა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების განყოფილებას; დახვრიტეს 1937 წელს; რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ.

[92] დეზერტირობა მშვიდობიანობის პერიოდშიც დიდ პრობლემას უქმნიდა შეიარაღებულ ძალებს. მაგალითად, 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის იანვრამდე ჯარიდან 2707 ჯარისკაცი გაიქცა. დეზერტირობა არმიაში მძიმე მატერიალური პირობებით იყო განპირობებული. ამას ემატებოდა ჯარისკაცთა, სერჟანტთა და ოფიცერთა ნაწილის დაბალი სამოქალაქო შეგნება და ბოლშევიკთა აგიტაცია. სახელმწიფო დეზერტირთა მიმართ, ძირითადად, ლმობიერ პოლიტიკას ატარებდა, ითვალისწინებდა რა სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცების მძიმე პირობებს (დიმიტრი სილაქაძე, დეზერტირობის პრობლემა საქართველოს პირველი რესპუბლიკის რეგულარულ არმიაში (1918-1921წწ.); საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ.2, თბ., 2011, გვ. 386-392).

საქართველოს ეროვნული არქივი

5 მარტი[93]

ჯერ არ ვიცოდი, რაში იყო საქმე. ჩვენი ჯარი განაგრძობდა უკან დახევას. აღარ ვიცოდი, სად მივდიოდით, სულ უკან და უკან. ტყუილა არ დაარქვა ზოგიერთმა სიტყვამოსწრებულმა რკინისგზას, რომელსაჩ ეწერა ს.ს.რ.გ., საქართველოს სამხედრო რკინისგზა. ზარბაზნებისაგან და ცხენებისაგან, რომელიც ჭექაჭუხით მოდიოდნენ რკინისგზით, მთელი ლიანდაგი ხნულს ჰგავდა. **[გვ.124]** სომხეთის ომის დროს ერთ-ერთი ეპიზოდი განმეორდა: ის ჯარისკაცები, რომლებიც სტრატეგიულ პუნქტებზედ იყვნენ ასულნი მტრის მოლოდინში, მიუხედავათ იმისა, რომ წიფაში მთავარსარდლის მატარებელი იდგა და წინა დღეს არა ერთი და ორი დაეხვრიტათ, ჩამოსულიყვნენ სადგურთან და მყუდრო ადგილებში ცეცხლაპირს თბებოდნენ[94]. დილით ადრე, როდესაც ასულიყვნენ თავ-თავიანთ პოსტებში, ცხვირაბზეკილი „მიტიუხები“ დახვედრიათ, რომლებმაც სამაგალითოდ დასცხეს როგორც ტყვია, ისე ყუმბარა. აღარ მინდა, ჩვენი ჯარი სულ მიწასთან გავასწორო, მაგრამ რამოდენიმე ათეულ ჯარისკაცის წინ მთელი ათასეულები ჯარისა სულ კერიკვრით გაიქცა მოლითისაკენ. მთავარსარდლის მატარებელი, რომელიც, მართალია, აქ არ უნდა ყოფილიყო, ასე ახლო, ყუმბარების შიშით ისე დასრიალდა მოლითისაკენ, რომ ყველა უკუქცეულებს ჩაასწრო მოლითში.

საკვირველი იყო რუსების თავგასულობა. როგორც შემდეგში გავიგე, ჯერ შეშინებოდათ სურამის ქედის, როდესაც 3 ვერსი წინ წავიწიეთ. თბილისში დაჭრილები გაემზადებიათ ბაქოში გასამგზავრებლათ. მიუხედავათ დაჭრილების სურვილისა, გვარდიამ რვა ვერსი შემოუარა **[გვ.125]** მტრის არტილერიას, მაგრამ, როდესაც 4-ს დილით[95], ასე დღე, ასე არეულათ დავიხიეთ ოსიაურიდგან, მაშინ კი რუსებმა საბოლო[ო]დ დაგვჯაბნეს. თურმე იძახოდნენ: ზღვის იქით ხომ ვერ წავლენო და თავხედურათ კვალდაკვალ მოგვდევნენ. მართალია, სურამის ქედის მნიშვნელობა სრულიად გააუქმა შავი ზღვის ფრონტმა, მაგრამ ოცი ჯარისკაცის წინ რომ 3500 კაცი გარბოდა, ეს მართლა რაღაც სამხედრო დეზორგანიზაციის ეპიდემია იყო. ყველა ჯარისკაცი ხმამაღლა ვფილოსოფოსობდით და ამდენ ხალხში ერთი თავმოყვარე არ გამოჩნდა, რომ 50 კაცი აეყოლა და მტრისათვის ეპასუხა. ჩხერიმელას გორაკებზედ გაშენებული პატარ-პატარა ციხეები, სადაც უწინ 10-15 კაცი უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოდა, სირცხვილს გგვრიდნენ. ამისთანა პატარა ციხეებში 15-იც ვერ მოთავსდებოდა, ჩვენ კი ათასობით ვიყავით.

მოლითში სადგურთან კიდევ თხრილებს თხრიდნენ, მაგრამ არ ვიცი, მტერს

.... ———————————— ....

[93] სინამდვილეში 6 მარტი.

[94] აქ იგულისხმება სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის დროს მომხდარი ამბავი, როდესაც სამტრედიელმა გვარდიელებმა შულავერთან ორჯერ აიღეს სტრატეგიული სიმაღლე, დაღამებისას ორჯერვე დატოვეს და თავდაპირველი დისლოკაციის ადგილზე, სოფელ სარაჩლოში, ღამის სიცივისა და ჩაის დალევის სურვილის გამო დაბრუნდნენ (არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007, გვ.390).

[95] უნდა იყოს 5 მარტი.

საქართველოს ეროვნული არქივი

ატყუებდნენ თუ თავისთავს. მოლითში მოვნახე ჩემი ათასეულიდგან თავი-სუფალი მოხალისე მწყობრის გარეშე. ნაკაშიძე ძალიან სიმპატიური პირო-ვნებაა, მასაც ყოველივე იმედი გადასწყვეტოდა. ორივე ვიდექით მოლითის სადგურთან და უცებ [გვ.126] ლაპარაკი ჩამოვარდა სერგო ღამბაშიძეზედ. ალყის გასვლა, რომელიც მთელ რკინისგზის ლიანდაგს ერტყა, არ შეიძლებო-და. ვთხოვეთ პოლკოვნიკს, რომელმაც ნება დაგვრთო. გავედი სერგოსთან. მთელი სახლი დაეცალიერებიათ და არ სჯეროდათ, თუ ბოლშევიკები ასე ახლო იყვნენ. ჩვენ დავარწმუნეთ, რომ უკვე წიფაში არიან და გამოვბრუნდით უკან. მე რომ სერგო ღამბაშიძე ვყოფილიყავი, ჩემ შვილსაც არ შევუშვებდი ოჯახში.

მაზნიაშვილი დანიშნეს მოლითის ფრონტის უფროსათ და დავგორდით ზეს-ტაფონისაკენ. ბელაგორში[96] იდგა წითელი ჯვრის მატარებელი, რომელში-დაც დედა მეგულებოდა. დედა ვერ მოვნახე, ბელაგორში ვნახე ბილანიშ-ვილი, რომელიც სადგურის კარებში ყარაულათ იდგა. ერთმანეთის დანახვა გაგვეხარდა და მალე დავშორდით ერთმანეთს. საღამოს 5 საათზედ ძირუ-ლაში ვიყავით. ძირულაში ვნახე კოლა, რომელიც ძლიერ გამიწყრა: კიდევ აქა ხარ? დედაშენი თავს იკლავს ყვირილაშიო. მე ვუთხარი კოლას, რომ დეზერ-ტირების რიცხვში მოყოლას იქ დარჩენა ვარჩიე, სადაც მითხრეს. კოლა ავიდა შროშაში თავისიანების სანახავათ. ძირულა ამორჩეული იქნა მთავარი შტაბის ბაზად, მხოლოდ [გვ.127] შუაღამემდის. კვინიტაძე უნდა წასულიყო ქუთაისში. მე არსად წასვლას არ ვაპირობდი, ამ უკანასკნელი ამბებით გარეტიანებული ვეგდე ბნელ ვაგონში. სიმართლე რომ ვთქვა, არაფერს არ ვფიქრობდი. მივე-დით ზესტაფონში. იქ ებანოიძემ გამიმეორა, რომ ყოველივე გათავდა, ძირუ-ლაში აღარც კი დავბრუნდებით საჩხერიდან, დაინგრა ფრონტიო. აღარაფერი იმედი არ არის, ყველაფერი გათავდა, დასტოვე თოფი ვაგონში და წადი, სადაც გინდაო. მე ბევრი არ ვიფიქრე, მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა: საჭირო ჩანთები, თოფი, ჩავტოვე იქ, სადაც ვიყავი და სადაც ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა და გავსწიე სახლისაკენ.

მივედი ჩვენ სახლში. გარედან დავინახე, რომ შიგ ბევრი ხალხი იყო. დავა-კაკუნე და შევედი. ყველამ ისე დაიკივლა, რომ შემეშინდა, აჩრდილი ხომ არა ვარ ჩემი თავის-მეთქი. მივედი, პირდაპირ ჩავჯექი ერთ კუთხეში. ვთქ-ვი: შორაპანში არიან ბოლშევიკები-მეთქი და კრინტი არ ამოვიღე. არ ვიცი, რა მელაპარაკნა. ყველანი დაფეთებულივით მიყურებდნენ. ამ დროს შემო-ვარდნენ დედა და ბავშვები და გადამეხვიენ. მე გამარჯობაც მავიწყდებოდა. თურმე ისინი სადგურზედ ყოფილიყვნენ, გაიოზ ბერელაშვილი ენახათ, მას ეთქვა, რომ [გვ.128] იმ მატარებელში ვიყავი. ბევრი ეძებნათ და ვერ ვეპო-ვეთ. მე კიდევ ვეცადე უკანვე დაბრუნება, მაგრამ, ჯერ ეს ერთი, სისულელე იქნებოდა და მეორე, ოფიცერს ეთქვა, რომ ყველაფერი გათავდა, კვინი-ტაძე ცოლის წასაყვანად მოვიდა ზესტაფონშიო. აქ დედამ მითხრა საუბე-დურო ამბავი, რომ, მამას ბრძანებით, ყველა ბათომში მივდიოდით და იქი-

[96] დღევანდელი ხარაგაული.

საქართველოს ეროვნული არქივი

დან კონსტანტინოპოლში, სადაც შემდეგ მამაც მოვიდოდა. მე ამ დროს ჩემი ჭკუა არ მქონდა, რაღაც სიზმარში ვიყავი. 18 დღე 3 საათი ზედიზედ თვალი არ მომეხუჭა. პარაზიტები ყველგან დასრიალებდნენ, კუჭი მეწვოდა შიმშილით. ყველაფერი მომიმზადეს და მგონი ვერაფერი ვერ ვჭამე. ღმერთმა ნუ ჩამაგდოს იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც მე ვიყავი 5 მარტს ქალაქ ზესტაფონში. შეკითხვაზედ, თუ ბოლშევიკები სად არიანო, მე ვუთხარი, რომ პირველი თხრილები ხარაგოულში ითხრება და, როგორც ყველგან და ყოველთვის, თბილისის დაცემის შემდეგ წამსვე მისატოვებლათ, თუ კი ერთი ათეული ცხენოსანი მტრის ავანგარდის გადმოჩნდებოდა. ეჭვი არ იყო, რომ გათენებისას ბოლშევიკები, რომლებიც ელვის სისწრაფით მოდიოდნენ, ზესტაფონში იქნებოდნენ და მე მხოლოდ 24 საათით ვცდებოდი, როდესაც ამას ვამბობდი. მთელი **[გვ.129]** ჩემი ჯარისკაცის მორთულობა გავიძრე და ზესტაფონში დავტოვე. მიხაკოს პარაზიტებით გავსილი „ბუშლატით“ გვერდები მაინც გავუთბე. ძალიან მენანებოდა ჩემი ბარგი-ბარხანის და თოფის მიტოვება, მაგრამ, როდესაც დაუსვენებლივ, საჩქაროდ დავეშვით ზესტაფონის სადგურზედ, მთავარსარდლის მატარებელი უკვე ქუთაისში გაქცეულიყო. საშინლად მეძინებოდა. არავითარმა მატარებელმა არ ჩამოიარა. ზესტაფონიდგან იმ ღამეს და მთელი ღამის განმავლობაში ძირს, ცივ იატაკზედ, მეძინა. დილით ჩამოვიდა სანიტარული მატარებელი. ვინაიდგან დედა წითელ ჯვარში იყო, ულაპარაკოდ შევედით ერთს დაჭრილებით სავსე მოხუთულ ვაგონში.

6 მარტი[97]

ამ დღით გათავდა ჩემი მოკლე, მაგრამ მომენტით დიდი სამხედრო ეპოპეია. ორი დაჭრილი სამტრედიამდის გარდაიცვალა და სამტრედიაში რამოდენიმე ჩვენსავით მიმავალ ქართველ ოჯახებს შევუერთდით. მეორე დღეს გავსწიეთ ბათომში, სადაც ქემალისტებს ჩვენივე მთავრობის მიზეზით ჩვენთვის საბოლოოთ ზურგში დანა უნდა დაეკრათ[98]. გაბრაზებულმა ჯარის ნაწილებმა ქემალისტებს ერთი ლაზათიანად ჩასცხეს და 45 კაცის დამარხვას, რომელიც

[97] სინამდვილეში 7 მარტი.

[98] რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის მიმდინარეობისას ქემალისტებმა პრეტენზია გამოთქვეს ართვინსა და არდაგანზე და დაიკავეს კიდეც. ამის შემდეგ ისინი დახმარებას შეჰპირდნენ რესპუბლიკის მთავრობას რუსეთის წინააღმდეგ და თავისი ჯარები შემოიყვანეს ბათუმის ოლქში, ახალციხესა და ახალქალქში. ბათუმში შემოსულ თურქულ ჯარებზე დაყრდნობით ქიაზიმ ბეიმ ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის ოლქები ოსმალეთთან მიერთებულად გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი – ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად. ქიაზიმ ბეიმ ქართულ მხარეს წინადადება მისცა, 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ ოლქის ფარგლები და დაეყარათ იარაღი.ოსმალებმა დაიკავეს ფოსტა, ტელეგრაფი, ქალაქის მილიციის სამმართველო და სხვა დაწესებულებები. ქალაქში დააყენეს პოსტები. დაიწყო შეტაკებები ქართულ ჯარსა და თურქულ ნაწილებს შორის. ქართულ ნაწილებს სათავეში ჩაუდგა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და თურქული ჯარი განდევნა ქალაქიდან.

საქართველოს ეროვნული არქივი

აზიზიეს მოედანზედ მოხდა, უკვე ლევ ჟლობას[99] კავალერისტები დაესწრნენ წითელის დროშით. ასე ამრიგათ, მეორეთ მთლიანად შთაინთქა საქართველო.

[გვ.130] ამით ვასრულებ ჩემ მოკლე რვეულს და ვეცდები შემდეგში ამ ცნობებით, რომელნიც ეხლაც ნათლად არიან ჩემს მეხსიერებაში, რაიმე კოხტა რვეულივე გამოვიყვანო. ეხლა კი არეულათ ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, როგორც მასალას, მოვიყვან ზოგიერთ წვრილმან ცნობებს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ასე ადვილათ დაეყრდნო ქემალს, რათა დრო ჰქონოდა გემებზედ ასვლის და ბარგის დატვირთვისა, ძლიერ შესცდა. ბოლო დროს, ვინაიდგან ქემალისტები არა როგორც რუსების მოწინააღმდეგენი, არამედ როგორც მათი მომხრენი, მეტისმეტი ამპარტავნობით შემოვიდნენ ბათუმში და როგორც ყველა ქართველი მსჯელობდა, სჯობდა, ერთ მგელს შთაენთქა მთლიანად საქართველო, ვიდრე ორს, ვინაიდგან ის ხანა შორს არ არის, როდესაც მშიერი ცოფიანი მგელი გადაბრუნდება და მის აყროლებულ მძორიდგან თავს გაინთავისუფლებს საქართველო.

ამ 3 წლის არსებობით საქართველომ ყველას დაუმტკიცა, რომ იგი უკვდავია და უკვდავი არასდროს არ მოკვდება. სანამდის სრულიად ჩაინთქმეოდა საქართველო, ჯარის მცირეოდენ ნაწილმა კიდევ ერთხელ საბოლოოდ გამოიჩინა **[გვ.131]** მამაცობა და ზურგიდან მოპარულ მტრებს ამცნო, რომ საქართველოს ცხედარსაც კი შეუძლიან, სრულ გახრწნამდის პასუხი მოსთხოვოს ვერაგ მტერს. თვით ბოლშევიკებიც კი აღფრთოვანებაში მოვიდნენ ქართველ ჯარის უკანასკნელი გაბრძოლებით. ლევ ჟლობა[100], როდესაც ერევნიდან ქურდულათ ხულოდგან მოდიოდა 11000 კაზაკით[101], მოვიდა ბათომში იმ დროს, როდესაც საქართველოს გული უკანასკნელათ ჰფეთქდა. იგი გახდა მოწმე საქმეში ჩაურეველად იმ ბრძოლისა, რომლითაც ქართველმა ჯარმა ქემალისტები უკუაქცია და თავის ბატონ-პატრონებს გაუგზავნა შემდეგი ტელეგრამმა: „Грузины разбили на голову Кемалистов. Лев Жлоба“[102].

* * *

კონსტანტინოპოლში ბევრჯერ დავესწარი გენერლების და სამხედრო პირთა კამათს. მათის აზრით, იმ პირობებში, რომელშიდაც ჩვენი ჯარი იყო, ყოველივე მოსალოდნელია. კარპატის მთებში დახევა 100-ჯერ უარესი იყო ამ დამარცხებაზედ. ორი ჯარის არსებობამ საქართველოს სიკვდილი დააჩქარა და ყოველი ქართველი რომ ნაპოლეონი ყოფილიყო, მშიერი დათვი მაინც

.... ———————————————— ....

[99] უნდა იყოს დიმიტრი ჟლობა (1887-1938), რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდის პოპულარული კავალერისტი და სამხედრო მეთაური. 1921 წლის მარტიდან მეთაურობდა მე-11 წითელი არმიის მე-18 ცხენოსან დივიზიას. დახვრიტეს 1938 წელს.

[100] დიმიტრი ჟლობა.

[101] სინამდვილეში ეს დაჯგუფება შედგებოდა 2500 კაცისაგან (Мартыненко, Г. А. Комкор Дмитрий Жлоба. М. 1985 С. 48).

[102] „ქართველებმა გაანადგურეს ქემალისტები. ლევ ჟლობა“ (რუსულად).

საქართველოს ეროვნული არქივი

დაჭრილი სახალხო გვარდიელი
ლაზარეთში მოწყალების დებთან ერთად
[1918-1921 წლები]

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ბოლოს შეგვჭამდა, მხოლოდ არა 1 თვეში, არამედ 1 წელში. **[გვ.131]** საქართველო ეკონომიურად კი 2 თვეს ვერ გაუძლებდა ომს.

ჩემი საქართველოდან ევროპაში გამოპარვა

[გვ.132] გავიდა 5 წელიწადი, რაც ეს რვეული პირველათ დავიწყე. ხუთი წლის შემდეგ გამოვიპარე საქართველოდგან. ეს რვეული ევროპაში მქონდა დატოვებული და ჩემს უცნაურ ახალგაზრდობის ამბავს განვაგრძობ.

3 წლის ბოლშევიკებთან ცხოვრების შემდეგ, მათი და საქართველოს მდგომარეობის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ, საქმე საქართველოდან გასაქცევათ გამიხდა. 1925 წლის მარტში დავიჭირე საქმე არალეგალურ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთან, გოგი ჭაჭიაშვილთან; გოგი ჭაჭიაშვილი[103] ემზადებოდა ევროპაში გასაქცევათ. მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა, რომ წითელ რუს-სომეხ ძაღლებს გავპაროდი და საზღვარგარეთიდგან ჩამეფურთხა მათს ჩირქიან პირსახეში. ეს ავისრულე. დღეს თავისუფალი ვარ, ბუზს ვერავინ **[გვ.133]** ამიფრენს თვალწინ, ხმამაღლა ვერავინ დამელაპარაკება და აი სანამ დავიწყებდე ამის წერას, ვუგზავნი სამშობლოს ვერაგ მტერს, რაც კი რამ მყრალი, გლახა და საშინელი არსებობს დედამიწაზედ. ამას ვუერთებ 10000 დახვრეტილი ქართველი მამულიშვილის წყევლა-კრულვას, დახვრეტილები არ კვდებიან, დახვრეტილები შურს იძიებენ, დახვრეტილებთან მთელი საქართველოა. მაშ ძრწოდეთ, ლაჩარო, გაუნათლებელო, ბრიყვო მტერო! ვინ მოგასქელათ, რომ საქართველო თქვენი ხელით დაიღუპება?! უტვინო ბრბო! თქვენისთანები საქართველოს ბევრი მოუნელებია და კარში გასულა ფაღარათათ.

ვფიცავ ყველა დახვრეტილ მამულიშვილის სულს, თქვენს მყრალ სისხლს დავაქცევ, თქვენს გაფითრებულ, გაციებულ გვამებს დავაჯვამ!.. ის დრო წავიდა, საქართველომ ეხლა იცის მხოლოთ შურისძიება, **[გვ.134]** შურისძიება, შურისძიება, შურისძიება, შურისძიება, საშინელი, ტრაღიკული, წარმოუდგენელი, ვეებერთელა, ჯერ არნახული, არწარმოდგენილი! თქვენ ქართული ტყვიის ღირსნი არა ხართ, ვერ დავსვრით ქართულ ტყვიას თქვენს დამპალ შხამში, თქვენს სისხლში. თქვენ, როგორც მყრალი არსებები, მხოლოდ ორ ბინძურ ქვით გაგიჭყლეტთ თავებს, ვით ტილებს. ქვეწარმავლებო! კანდელაკივით, ვაშა კანდელაკს!..

.... ———————————————— ....

[103] გიორგი (გოგი) ჭაჭიაშვილი (1898-1943) - ქართველი ექიმი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი; დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა გიმნაზია და სწავლა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო; დამოუკიდებლობის პერიოდში მოხალისედ იბრძოდა თითქმის ყველა ომში, მათ შორის რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომშიც; საქართველოს დაპყრობის შემდეგ დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გამოსულმა არალეგალურად გადაკვეთა თურქეთის საზღვარი, საიდანაც პარიზში ჩავიდა და სწავლა იქ განაგრძო; მუშაობდა პარიზის სენ ჟოზეფის სახელობის კლინიკის უროლოგიურ განყოფილებაში, წარმატებით დაიცვა დისერტაცია უროლოგიაში; მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა გერმანულ არმიაში, „ბერგმანის“ ქვედანაყოფში; იყო დანაყოფის სანიტარული სამსახურის უფროსი; 1943 წელს, ომის დროს, ყირიმში დაიღუპა.

საქართველოს ეროვნული არქივი

[გვ.135] მარტის მიწურული იყო. ჩემს პატარა ქოხში მეძინა. კარებზედ დაარაკუნეს. წამოვდექ ლოგინიდგან, გავაღე კარები. გულმა გამკრა, ნინა! ... ნინა! ... ამას მხოლოდ მე გავიგებ, ნინა! საბედისწერო ტელეგრამით მაშ გადაწყდა. მივდივარ. დღეს უნდა გავიპარო, ნერვიულმა კანკალმა ამიტანა. მიმავალ ნინას გავაყოლე თვალები. საჩქაროთ ჩავიცვი. მივედი მათ ოჯახში, გოგის ოჯახში. ეს იყო 23 მარტი, მგონი, 1925 წ. ტელეგრამაში ეწერა: „ქეთო სამშაბათს ჩამოვა“. ეს ძაღლებისთვის. ჩემთვის კი ნიშნავდა: სამშაბათს ბათომში ჩამოდი. გოგის მშვენიერი ცოლი, ელენე[104], დაღვრემილი და აღელვებული რაღაც წვრილმანებზედ მელაპარაკებოდა.

[104] იგულისხმება გოგი ჭაჭიაშვილის მეუღლე, მისივე თანაკურსელი, ელენე მაჭავარიანი, რომელიც 1922 წელს შეირთო ცოლად. საქართველოდან გაპარვისას გოგის ცოლ-შვილის დატოვება მოუხდა. მათ მიმოწერა ჰქონდათ, თუმცა ერთმანეთი ველარასოდეს ნახეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ფოტოალბომი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გივი, მედეა, სუნანა და ჟორჟეტა ღამბაშიძეები (მარცხნიდან)
ცემი, ბორჯომი
[1910-იანი წლები]

გივი ღამბაშიძე მშობლებთან, დებსა და სიძესთან ერთად
დგანან: გიორგი ნიკოლაძე, ჟორჟეტა ღამბაშიძე, გივი ღამბაშიძე და მედეა ღამბაშიძე; სხედან: სუნანა ღამბაშიძე, ვახტანგ ღამბაშიძე და ვანდა ჰოპე
[პარიზი, 1920-იანი წლები]
(ფოტო მოგვაწოდა ნინო ღამბაშიძემ)

საქართველოს ეროვნული არქივი

გივი ღამბაშიძე გრენობლში მექანიკოსთა კურსებზე
[1920-იანი წლები]
ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის არქივიდან
(ფოტო მოგვაწოდა ანა ჭეიშვილმა)

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გივი ღამბაშიძე ემიგრაციაში
[1920-იანი წლები]
ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის არქივიდან
(ფოტო მოგვანოდა ანა ჭეიშვილმა)

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გივი ღამბაშიძე ემიგრაციაში
[1920-იანი წლები]
ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის არქივიდან
(ფოტო მოგვაწოდა ანა ჭეიშვილმა)

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გივი ღამბაშიძე წინა რიგში, კლასელებთან ერთად
[თბილისი, 1910-იანი წლები]

გივი ღამბაშიძის დაკრძალვა
პარიზში, ბატინოლის სასაფლაოზე
1930 წელი
ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის არქივიდან
(ფოტო მოგვაწოდა ანა ჭეიშვილმა)

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გივი ღამბაშიძის დედა და დები მის საფლავზე
პარიზი, ბატინოლის სასაფლაო
[1930-იანი წლები]
ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის არქივიდან
(ფოტო მოგვაწოდა ანა ჭეიშვილმა)

საძიებლები

პირთა საძიებელი

აბაშიძე გია 61, 62
ანდღულაძე, კაპიტანი 14, 21, 26, 34, 35, 51, 52, 62
ბერელაშვილი გაიოზ 81, 83
ბერია ლავრენტი 26
ბილა/ბილანიშვილი გრიგოლ 28, 37, 50, 61, 63, 67, 71, 75, 79, 80, 81, 83
ბინანიშვილი გრიგოლ იხ. ბილანიშვილი გრიგოლ
გარსიაშვილი, კაპიტანი 63, 68, 72
გეგელაშვილი ვახტანგ 21
გელოვანი ნინო 34, 35, 37
გოგნიაშვილი 68
გოგუაძე ალფეს 44
გოგუაძე ვალოდია/გოგვაძე 43, 44, 45
გოგუაძე მელენტი 44
გოგუაძე ნოე 44
გოზალოვი 38
გორგაძე დათიკო 50
გოცორიძე, მაიორი 80
ებანოიძე 79, 80, 81, 83
ენუქიძე აბელ 50
ერისთავი გოგა 72
ვაზიანი 24
ვაჩნაძე, პოლკოვნიკი 17, 35
თოხაძე ნიკოლოზ (კუკური) 34
იაშვილი სეით 18
იედიგარაშვილი 26
კვინიტაძე გიორგი, გენერალი 8, 42, 65, 74, 78, 79, 83
კვინიტაძე თამი 8
კონიაშვილი, გენერალი 78
ლორთქიფანიძე გრიგოლ 59
მაზნიაშვილი გიორგი, გენერალი 19, 68, 74, 75, 81, 83, 84
მათიკაშვილი 36
მამაცაშვილი იოსებ 33
მაყაშვილი კოტე 14
მაყაშვილი მარო 14, 34
მაყაშვილი შალიკო/შალვა 14, 21, 22, 28, 35, 40, 50
მაჭავარიანი ელენე 88
მაჭავარიანი კოტე 45, 48
მახარაძე 21, 67, 68, 72
მგალობლიშვილი მიხეილ 31, 32, 35
მირზაშვილი, ოცისთავი 30
მჟავანაძე 62, 63, 74, 75
ნაკაშიძე ილიკო 34, 37, 83
ნაპოლეონი 85
ნიკოლაძე გიორგი 50
ჟლობა დიმიტრი 85
ჟლობა ლევ 85
ჟორდანია ნოე 3, 10, 44, 69
ჟორჟეტა იხ. ღამბაშიძე ჟორჟეტა
ჟღენტი 80
რამიშვილი ნოე 19
სააკაძე გიორგი 53
სიდამონ-ერისთავი, ლეიტენანტი 53
სიტინი პავლე 27
სტიუარტი ნილ 50
სუმბათაშვილი გიორგი, გენერალი 7, 63, 67, 68, 69, 72
სუნანა იხ. ღამბაშიძე სუნანა
ტყემალაძე ირაკლი 61

საქართველოს ეროვნული არქივი

ურუშაძე აპოლონ 26
ფაღავა 34
ქემალ-ფაშა/მუსტაფა ქემალ ათათურ-ქი 64
ქიაზიმ ბეი 84
ღამბაშიძე გივი 6, 7, 8, 9, 33, 38, 40, 54
ღამბაშიძე ვახტანგ 3, 7
ღამბაშიძე ჟორჟეტა 50
ღამბაშიძე სერგო 83
ღამბაშიძე სუნანა 34, 50
შარაშიძე გიგო 18
შარაშიძე ქრისტინე (ჩიტო)18
შარაშიძე შალვა 18
ჩხუნაშვილი სერგო 41
ჩიგოგიძე ნიკოლოზ 10
ჩიქოვანი, ჯარისკაცი 30
ჩიჩერინი გიორგი 39
ჩხეიძე ალექსანდრე 53
ცხაკაია ვ., პოლკოვნიკი 53
ჭაჭიაშვილი გიორგი (გოგი) 7, 87, 88
ჯიღა/ჯიღაური გიორგი 28, 50, 61, 63, 67, 73
ჯივჯიხია არტემ, გენერალი 7, 26, 27, 68
ჯუღელი ვალიკო 6, 11, 12, 78
ხიპაშვილი 68
ხუნდაძე ტროფიმე 18, 19, 28, 35
ჰოპე ვანდა 3

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ავჭალა 43, 44
აზარმა 68
ალი 68
არდაგანი 84
ართვინი 84
აღარა/აგარები 68
აღსტაფა 39
აფხაზეთი 65, 74
ახალსოფელი 68, 69
ახალუბანი 68
ახალქალაქი (კასპის რაიონი) 53, 84
ახალქალაქის ოლქი 84
ახალციხე 84
ახალციხის ოლქი 84
ბათუმი/ბათომი 7, 44, 63, 65, 74, 83, 84, 85
ბათუმის ოლქი 84
ბამბაკის ხეობა 63
ბაქო 28, 82
ბელაგორი 83
ბორჩალო 26
ბორჯომი 64
ბოსლევი 68
ბუნეული (მდ.) 68
გომი 58, 59, 64, 66
გორი 51, 53, 54, 56, 57, 62
გორის ციხე 53
გრაკალი 26
გრენობლი 8
დარიალის ხეობა 51
დასავლეთ საქართველო 7
დიდი ბრიტანეთი 14
დუშეთი 52
ევროპა 7, 87

საქართველოს ეროვნული არქივი

ერევანი 85
ზემო გომი 68
ზემო ოსიაური 74, 75
ზესტაფონი 83, 84
თბილისი 6, 7, 14, 16, 18, 19, 20, 24, 27, 28, 30, 31, 32, 34, 35, 36, 37, 39, 41, 42, 43, 48, 50, 51, 59, 61, 63, 65, 67, 69, 74, 82, 84
თელეთის ქედი 19, 38
ინგლისი 40
კავთისხევი 53
კავკასია 43
კავკასიის სამხედრო გზა 51
კარაჯალი იხ. ყარაჯალი
კავთისხევი 52
კახეთი 24
კლდისწყარო 68
კარპატოს მთები 85
კონსტანტინოპოლი 3, 7, 10, 34, 50, 80, 84, 85
ლილო 26
მამისონის უღელტეხილი 65
მამისონი 79
მიწობი 68
მოლითი 82, 83
მცხეთა 48, 50, 51, 52, 60
ნაბახტევი 68
ნატახტარი 51, 52
ნიგოეთი 44
ონი 79
ორხევი 26
ოსიაური 6, 7, 63, 66, 67, 72, 74, 82
პარიზი 7, 8, 87
რუსეთი 10
საბჭოთა კავშირი 50
სადახლო 14
სამთავისი 54
სამტრედია 84
სანაინი 6, 28
სარაჩლო 82
სატივე 68
საფრანგეთი 7, 8, 12, 34, 74
საქართველო 3, 7, 8, 10, 39, 40, 41, 42, 50, 52, 56, 59, 85, 87
საჩხერე 79, 83
სომხეთი 6, 82
სოღანლუღი 7, 19, 23, 32, 33, 34, 35, 38, 40, 41, 56
სოჭი 74
სოხუმი 79
სურამელა (მდ.) 68
სურამი 61, 78
სურამის ქედი 59, 61, 65, 67, 79, 82
სურამის უღელტეხილი 65
ტაბახმელა 38, 52, 53
ტროადა 52
ქარელი 65
ქემფერი 68
ქუთაისი 14, 59, 61, 62, 84
ყვირილა 83
შავნაბადა 19
შოტლანდია 50
შორაპანი 83
შროშა 83
შულავერი 82
ჩოლოქი 43, 74
ჩრდილო კავკასია 65
ყარაჯალი 24, 26
ყირიმი 87
შინდისი 52
ჩხერიმელა 82
ცხინვალი 79

საქართველოს ეროვნული არქივი

ძირულა 83
წავკისი 52, 52
წილკანი 51
წიფი 6, 79, 80, 81, 82, 83
წრომი 68
ჭალა 60, 61, 63, 66, 67
ხარაგაული/ხარაგოული 83, 84
ხაშური 59, 60, 61, 62, 64, 65, 66, 67, 72, 78, 79
ხაშურის რაიონი 65
ხულო 85
ჯავახეთი 78

GAU
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY

საქართველოს
ეროვნული
არქივი